საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
30 ივლისი ხუთშაბათი 2009
№ 175 (12854) ფასი 60 თეთრი




**მჭედლიძე და ისევ... ტრავმა**

ლეგიონერი » გვერდი 4



**გამყრელDEUTSCHER**

ტრანსფერი » გვერდი 12

# ახტით ზვეზდაზე მაღლა!

დღეს, ეროვნულზე
**დინამო**
**ცრვენა ზვეზდა**



» გვერდი 2,3 მატჩისწინა სალამო ეროვნულზე



## პროფლიგამ დინამოს უარი უთხრა

» გვერდი 2

LEGA CALCIO

იტალიური კალენდარი

## მილანური დერბი და რომა-იუვე უკვე მეორე ტურში

სერია A 2009/10. სრული განრიგი

» გვერდი 7




## ქეცბაიას ოფიციალური დებიუტი და მოგებული დუელი

» გვერდი 5

## აურზაური ძიუდოს სამყაროში

...კასპში ამტყდარი ჩხუბი ბორჯომში გაგრძელდა და გუნდური ჩხუბით დასრულდა

**შოთა ხაბარელი**

ზვიადაური და გუჯეჯიანი დაისჯებიან: ისინი ბოლო შეკრებაზე არ წამოვლენ...



» გვერდი 11

საქართველოს XXI ჩემპიონატი

# პროფლიგამ დინამოს უარი უთხრა

დღეს, 30 ივლისს თბილისის „დინამო" ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან" ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ თამაშში მასპინძლობს. 2 აგვისტოს კი საქართველოს თასის მფლობელს ჩემპიონატში „გაგრასთან" შეხვედრა დაუგეგმეს. თბილისელები განმეორებით მატჩს ბელგრადში 6 აგვისტოს გამართავენ, 8 აგვისტოს კი საქართველოს პირველობაზე ბოლნისში „სიონთან" გასვლითი თამაში ელით. ასეთი გადატვირთული კალენდრის გამო კლუბის ხელმძღვანელობამ პროფესიული ფეხბურთის ლიგას თხოვნით მიფორმაციით კი, ჯერჯერობით პროფესიული ფეხბურთის ლიგას თანხმობა არ უთქვამს.

ამის გამო „დინამოს" მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე გაოცებას ვერ მალავს:

- პროფესიულ ლიგას მივმართეთ თხოვნით, რომ თამაში გადაედო. ეს იმ ფაქტით დავასაბუთეთ, რომ მეორე შეხვედრა სერბეთში გასვლაზე გვაქვს. ამის შემდეგ უნდა დავბრუნდეთ საქართველოში და ბოლნისში გასვლითი შეხვედრა გავმართოთ. ყველამ იცის, უცხოეთის ვიზების მიღება საქართველოს მოქალაქეებისთვის სერიოზული პრობლემა გახდა, თვითმფრინავის რეისებიც ისეთი სიხშირით არაა, ჩვენ რომ გვსურს და ესეც დამატებით პრობლემებს გვიქმნის. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილსველაპარაკე და დავუსაბუთე, რატომ არის საჭირო შეხვედრის გადადება. რამიშვილმა კი მითხრა, რატომ უნდა გადაიდოს, თუკი თბილისში კარგად ითამაშებთ, ეს მაშინ არის შესაძლებელიო. არ ვიცი, „დინამოსადმი" ასეთი დამოკიდებულება რატომაა. ვერც უარის მიზეზს ვხვდები. სხვათა შორის, თამაშის გადადება „გაგრასთვის" არ გვითხოვია. ასეთ დროს კლუბმა ჩემპიონატის ორგანიზატორ ორგანიზაციას უნდა მიმართოს. თუმცა, „გაგრას" ხელმძღვანელობა ჩვენს სურვილს გაგებით მოეკიდა. ასეთ დროს პროფლიგის პოზიციაა უცნაური.

■ ■ ■

პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა **პაატა ბურჯალიანმა** საკითხის ასე რადიკალურად დაყენება გაიკვირვა:

- ჩვენ არ გვითქვამს, რომ თამაშებს არ გადავდებთ. ხვალ ამის თაობაზე ვიმსჯელებთ და საკითხი გადაწყდება.

**და „დინამოს" თხოვნა რა პრობლემა გახდა?**

- ვიმეორებ, შარშან 33 ტური გაიმართა, წელს კი სამით მეტი, 36 ტური ჩატარდება. ანუ მეტი დრო გვჭირდება. ამას გარდა, სანაკრებო მატჩებით გამოწვეული პაუზაც გავითვალისწინეთ, კალენდარი ტელევიზიებთანაც შეთანხმებულია და ა.შ. ვიმეორებ, პროფლიგას უარი არ უთქვამს, მაგრამ შედგენილ კალენდარში თავისუფალი დღის მოსაძებნად დრო გვჭირდება. უქმე დღეები თითქმის არ დაგვრჩა და რას ფიქრობთ, ორი ტურის სხვა დღეებში გადატანა რთული არ იქნება? ნაუცბათევ დაგანყვეტილებას კი ვერ მივიღებდით.



**ბურჯალიანი: დინამოსთვის უარი არ გვითქამს, უნდა ვიფიქროთ**



**ტყავაძე: არ ვიცი, დინამოს მიმართ ასეთი დამოკიდებულება რატომაა**

მართა, რომ ორი შეხვედრა სხვა დროისთვის გადაედოთ.

თბილისის „დინამო" მეტოქე „გაგრა" თანახმაა, ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრა, რომელიც 2 აგვისტოსაა დანიშნული, სხვა დროს გამართოს. მართალია, თბილისურ კლუბს მეტოქისთვის ამის თაობაზე არ მიუმართავს, მაგრამ „გაგრა" კეთილი ნება გამოავლინა და „დინამოს" ინტერესს ანგარიში გაუწია.

თუმცა, როგორც ჩანს, მხოლოდ კლუბების კეთილი ნება საკმარისი არ არის – მთავარი პროფესიული ფეხბურთის ლიგის თანხმობაა. ჩვენი ინ-

**- თამაშის გადადება ასეთი რთულია?**

- რა თქმა უნდა, რთულია! „დინამოს" 2 და 8 აგვისტოს ტურების გადადება სურს. ორი ტურის ასე გადადება და თავისუფალი დროის მოძებნა ადრეც ჭირდა, ახლა მით უმეტეს.

**- ახლა რა შეიცვალა?**

- მეტი ტური იმართება და პრობლემას ეს გვიქმნის. 8 აგვისტოს შეხვედრის გადადებას დავთანხმდით, 2 აგვისტოს მატჩზე კი ვფიქრობთ, რამდენადაა ეს შესაძლებელი. ეს ხვალ გადაწყდება.

**- შარშან „ვიტ ჯორჯიას" და „ზესტაფონის" თხოვნა გაითვალისწინეთ** თორემ, რა საკითხავია, რომ ევროთასებზე შემორჩენილ ერთადერთი ქართულ კლუბს ხელშეწყობა სჭირდება. ძალიან ცდება, თუკი ვინმე ფიქრობს, რომ პრობლემებს ხელოვნურად ვუქმნით. დრო სწორედ „დინამოს" ინტერესის გათვალისწინებისთვის გვჭირდება.

**- ასეთი ვარაუდიც გამოითქვა, პროფლიგა „დინამოს" „დია 2009-ის" დაჯილდოების იგნორირებისთვის სჯისო...**

- სისულელეა, ჯინაში არავის ვუდგებით ან ვინ მოიტანა ეს მიზეზი, აქ საქმე ქართული ფეხბურთის პრესტიჟს ეხება.

**მერაბ მამულაშვილი**

რეკონსტრუქცია

# როდის ითამაშებს ოლიმპი რუსთავში?

დამტკიცებული კალენდრის მიხედვით, რუსთავის „ოლიმპს" ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში საშინაო არენაზე ზუგდიდის „ბაიასთვის" უნდა ემასპინძლა. თუმცა, შეხვედრა ზუგდიდში გადაიდო. მიზეზებზე პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფიციალურ ვებ-გვერდი იუწყება.

*„პირველ ტურში მოხდა ცვლილება: კალენდრის მიხედვით, 1-ელ აგვისტოს რუსთავის „ოლიმპს" ზუგდიდის „ბაიასათვის" უნდა ემასპინძლა. თუმცა იმის გამო, რომ რუსთავის ცენტრალურ სტადიონზე განათების სისტემის დამონტაჟება იწყება, „ოლიმპი" ზუგდიდში ითამაშებს".*

ცნობილი იყო, რომ რუსთავში ფედერაციის გრანტით ხელოვნურსაფრიანი მოედნის დაგება იგეგმებოდა. განათება კი ორი წლის წინ, სტადიონის გენერალური რეკონსტრუქციის დროს დამონტაჟდა. როგორც გაირკვა, ევროპული სტანდარტებს ეს სისტემაც ვერ აკმაყოფილებს და მისი განახლება უნდა დაიწყოს.

რაც შეეხება მოედანს, ის ფედერაციისა და კლუბის ერთობლივი დაფინანსებით დაიგება. ახლა მთავარია, რუსთაველებმა თავისი წილი თანხა მოიძიონ. ცალკე ამას დასჭირდება დრო, შემდეგ საფარის დაგებას და როდის ითამაშებენ რუსთაველები საკუთარ არენაზე, ეს საკმაოდ რთული კითხვა აღმოჩნდა, რომლის პასუხიც კლუბში დღემდე არ გააჩნიათ.

## ბადრი ქარქაშაძე,
### ოლიმპის დირექტორი

**- ბატონო ბადრი, საშინაო შეხვედრებს „ოლიმპი" რუსთავში როდის გამართავს?**

- ეს ჯერ ჩვენთვისაც უცნობია, რადგან საკმაოდ სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი. მაგალითად, განათებაა დასამონტაჟებელი, მოედნის საფრის დაგებამდე კი დრენაჟია გასაკეთებელი. არსებობს შეთანხმება, ჩვენ უნდა დავაგოთ დრენაჟი, ფედერაციამ კი საფარი. თუკი დადგენილ ვადაში პირობა არ შევასრულეთ და დრენაჟი არ გავაკეთეთ, მაშინ საფარს სხვა კლუბს დაუგებენ.

**- მართალია, თითქოს, ხელოვნურსაფრიანი მოედნის დაგება სტადიონის სათადარიგო მოედანზე იგეგმება?**

- ეს ერთ-ერთი ვარიანტია, მაგრამ გადაწყვეტილი არაა.

**- განათება ხომ ორი წლის წინ დამონტაჟდა?**

- დიახ, მაგრამ უეფას უფრო მკაცრი მოთხოვნები გააჩნია და სანამ დროა, უნდა მივხედოთ. უეფაში უმცირესი დეტალებიც გათვალისწინეს, მაგალითად ეს - განათების სისტემა მოედანს 160 ადგილზე უნდა ანათებდეს. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მინიმუმ 1200 ლუქსია საჭირო, საქართველოს ჩემპიონატში - 800.

**- განათების სისტემა და საფარი როდის ჩამოვა?**

- პროჟექტორები უკვე ჩამოტანილია, ფედერაციას კი საფრის თანხა აქვს.

**- ამ სამუშაოების დასამთავრებლად რა დროა საჭირო?**

- განათებას მაქსიმუმ ათი დღე, მოედნის დაგებას კი სულ მცირე ერთი თვე სჭირდება. ეს სასწრაფოდაა გასაკეთებელი, რადგან ოქტომბერში მოედნის დაგება უკვე შეუძლებელი იქნება.

**- ანუ, შესაძლოა, პირველ წრის თამაშები სახლში არ ჩაატაროთ?**

- თუ სამუშაოები დროულად არ დამთავრდა, ალბათ, ასეც მოხდება.

**- ასეთ შემთხვევაში, საშინაო არენად რომელ სტადიონს შეიგულებთ?**

- თუ დაგვრთავენ ნებას, მაშინ „მერანის" სტადიონზე ვითამაშებთ. ჩვენ დღესაც ამ სტადიონზე ვვარჯიშობთ.

წელს „ოლიმპმა" ბრაზილიიდან რამდენიმე საკმოდ ძლიერი ფეხბურთელი დაიმატა. მართალია, ფინანსურად წამყვან კლუბებს ვერ გაუტოლდებიან, მაგრამ სამხრეთამერიკელთა კლასის იმედად ჩემპიონობისთვის ბრძოლას აპირებენ. ასეთ დროს საკუთარ მოედანზე უთამაშებლობა კლუბისთვის სერიოზული მინუსი გახდება - ნებისმიერი კლუბისთვის გულშემატკივართა თანადგომა და საკუთარი კედლები მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ასე რომ, გამოსავალი სამუშაოების დროულად დაწყებაა. წესით, ეს პრობლემა არც უნდა გახდეს, რადგან ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **დავით კირკიტაძე** კლუბის გაძლიერებით დაინტერესებულია და რამდენჯერმე განაცხადა, რომ შემოდგომაზე სტადიონის რეკონსტრუქცია დასრულდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ევროპის ლიგა

დინამო-ცრვენა ზვეზდა.

## ორი წარსული, ტრადიცია

..რამდენი შემთხვევა ყოფილა, გუნდს კონკრეტული შეხვედრის ბედი რომ... გულშემატკივრების მხურვალე ქომაგობით „შემოუტრიალებია"; რაღა შორს მივდივართ - ჩვენი დღევანდელი სტუმარი, სერბეთის „ცრვენა ზვეზდა", ადრე საკუთარ 100 000-იან (!) „მარაკანაზე" რომ ასპარეზობდა, ნებისმიერ მეტოქეს ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე ფსიქოლოგიურ წნეხში აქცევდა. ჰო, როგორია, ამხელა აუდიტორია რომ გიჭერს მხარს; თუმცა, რახან წარსულზე ვლაპარაკობთ, „დინამოს" გადაჭედილ სტადიონსაც ნუ დავივიწყებთ - საკავშირო ჩემპიონატების დროს თუ საერთაშორისო მატჩებზე, თითქმის უმეტეს შემთხვევაში გადაჭედილი რომ იყო. მოკლედ, დღეს ქართველმა გულშემატკივარმა მე-12 ფეხბურთელის როლი უნდა შეასრულოს!

რა თქმა უნდა, დღეს „დინამოს" დღეს ერთობ ძნელი მატჩი ელოდება: ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე სახელოვან „ცრვენა ზვეზდასთან"; თუმცა, სერბებზე არანაკლები ისტორია და ტრადიცია „დინამოსაც" აქვს; ხოლო თუ რას წარმოადგენს თანამედროვე „ცრვენა ზვეზდა", ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. ერთი კი, ფაქტია: თამაში ყველასთან შეიძლება და, რაც მთავარია, ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებს... მეტოქის მიმართ შიშის გრძნობა არ უნდა ჰქონდეთ. ანუ, ქართული სტუმართმოყვარეობა... „სხვაგან", აი, მოედანზე კი ბალკანელ სტუმრებს ფიცხელი ბრძოლა უნდა გავუმართოთ! თანაც, როცა ქომაგი ხედავს, საყვარელი გუნდის ფეხბურთელი წარმატების მოსაპოვებლად „ჯიგარს" დებს, ამ დროს, ყველაფერიც შეიძლება აპატიოს. აი, უგულოდ და უპასუხისმგებლო თამაშს კი ქართველი გულშემატკივარი ვერასდროს ჰგუობდა - ასე იყო „კარგ დროშიც" და ასეა - ახლაც...

...ვატყობთ, ძალიან გაგვიგრძელდა წინასამატჩო ამბების თხრობა; არადა, მართლაც ძალიან გვინდა, რომ დღეს ჩვენს უმთავრეს სტადიონზე, სრული ანშლაგი თუ არა, ხალხმრავლობა მაინც იყოს. აი, ის კი ნამდვილად არ გვინდა და არც გვესიამოვნება, სერბეთიდან ჩამოსულმა 50-მდე ფანმა... ქართველი ქომაგების ხმა გადაფაროს! ჰო, სერბებმა (მით უმეტეს - „ცრვენა ზვეზდამ") თამაშიც იციან და მშობლიური გუნდის მხურვალე მხარდაჭერაც!..

...50-მდე გულშემატკივარი, 20 ჟურნალისტი, კლუბის ოფიციალური წარმომადგენლები - სულ სერბულ დელეგაციაში 105 კაცია; იმედი დავიტოვოთ, რომ დღევანდელი შეხვედრის მერე ქართველები და სერბები აბსოლუტურად განსხვავებულ ხასიათზე იქნებიან...

>> მე-3 გვერდზე

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზქდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# ორი წარსული, ორი ტრადიცია

« მეორე გვერდიდან

## ათლეტურობამ არ შეგვაშინოს

გუშინ „დინამომ" და „ცრვენა ზვეზდამ" ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშეს. ჯერ ჩვენი გუნდი გამოჩნდა - „დინამოს" მთავარი მწვრთნელის, **კახა კაჭარავას** ხელმძღვანელობით 20 ფეხბურთელი ვარჯიშობდა: **შ. კაშია, ნერგაძე, გ. კაშია, თომაშვილი, ხმალაძე, დილმელაშვილი, კოშკაშე, მერებაშვილი, ვაწაძე, ნემსაძე, კაკუბავა, ჩადუნელი, მამუჩაშვილი, ჯიშკარიანი, ლომია, სიხარულიძე, დოლიძე, აკირემი, კრშკო** და **ფირცხალავა**. განსაკუთრებით ამ ორი უკანასკნელის გუნდთან ერთად დანახვა გაგვიხარდა - კრშკოც და ფირცხალავაც ხომ დიდი ხანია მკურნალობენ. მეკარეების მწვრთნელ **გელა ჭანტურიას** „განკარგულებაში" კი „დინამოს" სამივე მეკარე იყო - **ლორია, სომხიშვილი** და **ლოსაბერიძე**. მოგვიანებით ვარჯიშის გაძღოლა „დინამოს" ფიზმომზადების მწვრთნელმა, **ივო კატუშიჩმა** ითავა. სულ ბოლოს კი, ჩვენმა გუნდმა მოედნის ერთ ნახევარზე ორკარა გააჩაღა; ოღონდ, თამაშში მონაწილეობა არ მიუღია მილოშ კრშკოს - „დინამოს" სლოვაკი ლეგიონერი ინდივიდუალურად ვარჯიშობდა. ვარჯიშის დასრულების შემდეგ კი „დინამოს" მთავარ მწვრთნელ კახა კაჭარავს დღევანდელი მატჩისათვის კომენტარი ვთხოვეთ: *„ყველამ კარგად ვიცით, თუ რა მნიშვნელოვანი მატჩი გველოდება; სამწუხაროდ, დღევანდელ შეხვედრაში ვერ დაგვეხმარებიან კრშკო და დოლიძე: სლოვაკმა მცველმა ახლახან დაიწყო გუნდთან ერთად ვარჯიში, ხოლო ჩვენს ახალწვეულს ევროტურნირებზე ასპარეზობის უფლება არა აქვს. ერთადერთი მიზანი გვაქვს - როგორც „მეტალურგსის" ბარიერი გადავლახეთ, იგივე გვინდა „ცრვენა ზვეზდასთანაც" გავიმეოროთ. რა თქმა უნდა, სერბულ გუნდს „მეტალურგსს" არც შევადარებ, თუმცა ჩვენ მაინც მხოლოდ მოსაგებად გავალთ მოედანზე. მეტოქის სიძლიერესა და უდიდეს ტრადიციებზე ლაპარაკი ზედმეტია; რამდენჯერმე ვნახე ამ გუნდის თამაში და მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ თანამედროვე ფეხბურთს აჩვენებენ. ფაქტობრივად, ზედმეტს არაფერს აკეთებენ - უმაღლეს დონეზე ჰყავთ აყვანილი სათამაშო დისციპლინის დაცვა და მაქსიმალურად ცდილობენ თავისუფალი სივრცეების მოძებნას. თან, არ დაგავიწყდეთ - ტრადიციულად სერბებმა „ბურთიც იციან". ოღონდ, იმას კი ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ჩვენზე უფრო ტექნიკურები არიან. მთავარია, რომ ჩვენც „სწორად" ვითამაშოთ..."*

კახა კაჭარავას, რაღა თქმა უნდა, „დინამოდან" მოულოდნელად „გამქრალ" **დონალ ჯუისზეც** დავეკითხეთ. სამწუხაროდ, „დინამოს" კამერუნელი ლეგიონერის შესახებ სასიამოვნო სიახლე კვლავაც არაფერია...

...ის-ის იყო, კაჭარავასთან საუბარს მოვრჩით, რომ ეროვნულ სტადიონზე სერბული დელეგაციაც გამოჩნდა. ერთ-ერთი პირველი, ვინც მოედანზე გავიდა და საკმაოდ დიდი დრო დაყო, „ცრვენა ზვეზდას" მთავარი მწვრთნელი და ფეხბურთელობისას ამ კლუბის ცოცხალი ლეგენდა **ვლადიმირ პეტროვიჩი** გახლდათ. სტუმართა თავკაცი, ალბათ, 15-20 წუთი მაინც „ზვერავდა" თუ ამოწმებდა ეროვნული სტადიონის მოედნის საფარს; მერე კი, ნელ-ნელა მოედანზეც და... ტრიბუნებზეც უკვე „სერბული ატმოსფეროც" შეიქმნა. სანამ „ცრვენა ზვეზდა" ვარჯიშს დაიწყებდა, ვერ გეტყვით, რომ დიდი ხალისით, მაგრამ ვლადიმერ პეტროვიჩმა 2 წუთი მაინც დაუთმო ქართველ ჟურნალისტებს: *„თქვენი გუნდისა და „მეტალურგსის" შეხვედრა რამდენჯერმე ვნახე და დავრწმუნდი, რომ „დინამოში" რამდენიმე მართლაც მაღალი დონის შემსრულებელი თამაშობს. ისაც ლოგიკურად მიმაჩნია, რომ იმ შეხვედრაში ქართველებმა გაიმარჯვეს - მეტოქეს თითქმის ყველა კომპონენტში აჯობეს. რაც მთავარია, „დინამოს" საკუთარი ხელწერა ეტყობა; ეს კი, ნამდვილად არ არის პატარა ამბავი. მით უმეტეს, რომ ჩემთვის კარგად არის ცნობილი ქართული ფეხბურთის ტრადიციები. რაც შეეხება „ცრვენა ზვეზდას" პლუს-მინუსებს, ნება მომეცით, ამ თემაზე არ ვისაუბრო. უფრო ზუსტად, ეს, უშუალოდ, მატჩის მსვლელობისას გამოჩნდება. რაც მთავარია, ჩემმა გუნდმა ის ფეხბურთი უნდა უჩვენოს, მას რომ ხელეწიფება; მიზანი კი, რაღა თქმა უნდა, მომდევო ეტაპზე გასვლაა და ვეცდებით, პირველსავე მატჩში ჩვენთვის სასურველ შედეგს მივაღწიოთ."*

ვერაფერს ვიტყვით, მართლაც ოპტიმისტურად არის განწყობილი ვლადიმირ პეტროვიჩი; ვინც, ფაქტობრივად, არც ჩარეულა თავის გუნდის ვარჯიშში - „ცრვენა ზვეზდას" ფიზმომზადების მწვრთნელისგან განსხვავებით. სხვათა შორის, სტუმრებს ერთობ სახალისო და ორიგინალური ვარჯიში ჰქონდათ. თუმცა, ყველაზე თვალში საცემი, მაინც, „ცრვენა ზვეზდას" ლამის ყველა ფეხბურთელის შესაშური ათლეტური აღნაგობა იყო...

**გია ტუხაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები











ლეგიონერი

# მჭედლიძე, ისევ ტრავმა!


ლევან მჭედლიძე

ორიოდე დღის წინათ „პალერმოში" ფაქსი მივიდა, რომელიც იტყობინებოდა, რომ სიცილიური კლუბის 19 წლის ფორვარდი **ლევან მჭედლიძე** ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული, თუმცა გაირკვა, რომ ლევანი 12 აგვისტოს მალტასთან ამხანაგურ შეხვედრაში **ექტორ კუპერის** გუნდს ვერაფრით დაეხმარება, ამის მიზეზი კი ტრავმაა. მჭედლიძე იშვიათი ტალანტის ახალგაზრდა ფორვარდია, მაგრამ იშვიათად გვინახავს ქართველი ფეხბურთელი, რომელიც ასე ხშირად ილებდეს ტრავმებს.

მჭედლიძე „პალერმოსთან" ერთად ავსტრიაში ემზადებოდა, მან შესანიშნავი ურთიერთობა ააწყო კლუბის ახალ თავკაც **ვალტერ ძენგასთან**, ტესტმატჩებში გოლებიც გაიტანა და ისეთი პირი უჩანდა, ძენგა მას „პალერმოს" სასტარტო შემადგენლობაში მოიაზრებდა და უცბად ახალი ტრავმა (მარცხენა ფეხის კუნთის პრობლემა) და ქართველს „პალერმოს" ლაზარეთში 3 კვირით მოუწევს გაჩერება. „კალჩომერკატოს" ცნობით, რომ არა ეს ტრავმა, ძენგა „დენიზლისპორის" წინააღმდეგ მჭედლიძეს 90 წუთით თამაშს აპირებდა. სერბულ „რადთან" მატჩისთვის კი მხოლოდ ლევანი იყო ტრავმირებული მთელ გუნდში, ის „პალერმოს" ფიზიოთერაპევტთან მკურნალობდა.

ლევან მჭედლიძემ ბოლოს ნაკრებში 28 მარტს ითამაშა კვიპროსთან გასვლით მატჩში და 28-ე წუთზე ტრავმის გამო შესაცვლელი გახდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პრეცედენტი

# თოთაძემ კიეველებს უარი უთხრა

ქართველი ფეხბურთელების დიდი ნაწილი უცხოეთში წასვლის დროს ყურადღებას არც აქცევს, რა დონის კლუბში მიდის, პრესტიჟულია თუ არა კლუბი და ქვეყანა. მიზეზი მარტივია - საქართველოში ფული ორიოდე კლუბის გარდა, არავის აქვს, უცხოელები კი სულის მოსათქმელ თანხას მაინც იძლევიან. ასეთ დროს პრესტიჟისთვის ვის სცალია.

ძალზედ იშვიათად, ქართველს უცხოეთში მინ-ვევაზე, მით უფრო ასე თუ ისე სახელოვან კლუბთან კონტრაქტზე უარი ეთქვას. ერთი ასეთი **დათო ოდიკაძე** გვახსენდება, რომელიც ზაფხულში უგრეთის „დიორი ეტოდან" საკუთარი ნებით წამოვიდა. კიდევ შეიძლება **ლევან ელიზბარაშვილი** ხსენებაც - 16 წლის ბიჭმა „ემპოლის" უარი მიუღებელი პირობების გამო უთხრა.

ამ იშვიათი კატეგორიის ფეხბურთელების არაფორმალური კლუბის „ახალი წევრი" **ლაშა თოთაძეა**: საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 19 წლის მცველი კიევის „დინამოს" ძირითად გუნდში მოხვედრის რეალური კანდიდატი გახლდათ. ქართველებით იმედგაცრუებული უკრაინელები მისი შრომისუნარიანობით გაოცებული იყვნენ და ქების ნიშნად, „არატიპურ ქართველს" უწოდებდნენ.

„არატიპურმა" კიევის „დინამოში" ორი წელიწადი გაატარა, დუბლებიდან დაიწყო, „დინამო 2-ში" გადაიყვანეს და ახლა ძირითად გუნდში მისი გადასვლის საკითხი რომ წყდებოდა, ტიპური ქართველივით არ მოქცეულა - ლაშამ კლუბი მიატოვა.

ასეთ ნაბიჯს ბევრი ვერ გადადგამდა. რა გახდა ამ გადაწყვეტილების მიზეზი, თბილისში ჩამოსულ ლაშა თოთაძე გველაპარაკება...

**- ლაშა, ამტკიცებენ, თითქოს კივის „დინამოდან" საკუთარი სურვილით წამოხვედი. მართლა ასეა თუ გამოგიშვეს?**

- არა, საკუთარი სურვილით წამოვედი.

**- უკრაინულ კლუბში მოხვედრაზე ბევრი ოცნებობს და „დინამოში" რამ არ დაგაკმაყოფილა, საკუთარი პერსპექტივა ვერ დაინახე?**

- უკმაყოფილო არ ვყოფილვარ, კიეველები კარგად მექცეოდნენ, მათ ყურადღებას და თანადგომას არც ვივიწყებ, მაგრამ კონტრაქტი დამიმთავრდა და ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს. ეს კი ჩემთვის მიუღებელი იყო.

**- კიევის „დინამოზე" უარს რომ ამბობ, უკეთეს კლუბში გადასვლის იმედიც უნდა გქონდეს. შენ რის იმედად წამოხვედი?**

- მაქვს კიდეც უკეთეს ლიგაში თამაშის იმედი, გაუაზრებლად კი არ წამოვსულვარ, მაგრამ ახლა კლუბის დასახელება არ მთხოვოთ, მაინც არაფერს ვიტყვი. წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს. იმას კი გაგიმხელთ, რომ ევროპის ძალიან ძლიერი ლიგის კლუბია. უკრაინის ჩემპიონატში გამოსვლას ევროპაში თამაში ბევრად მირჩევნია. ორი წინადადებაა და ორივე ძალიან ძლიერი ლიგიდან.

**- ანუ შენს ტრანსფერს უახლოეს დღეებში უნდა ველოდეთ?**

- არა მგონია, საქმე ასე სწრაფად მოგვარდეს. შესაძლოა, ზამთრამდე საქართველოში დავრჩე და მერე წავიდე.

**- მანამდე სად ითამაშებ?**

- ველაპარაკე „გაგრას", საიდანაც მოვხვდი კიევის „დინამოში" და პირველ წრეს ამ კლუბში ჩავატარებ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# სპასოევიჩი? არანაირი დინამო



ასე გადაწყდა - **ილია სპასოევიჩი** საქართველოში აღარ ითამაშებს, ყოველ შემთხვევაში, ახლო თვალსაწიერში. ჩერნოგორიის ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ფორვარდი მეორე ბუნდესლიგაში გავარდნილ ბილეფელდის „არმინიაში" ისინჯებოდა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ერთთვიანი სინჯების შემდეგ „არმინიამ" 21 წლის თავდამსხმელი დაიწუნა. ბუნებრივია, დაიბადა კითხვა - ხომ არ აპირებს ჩერნოგორიელი თბილისურ კლუბში დაბრუნებას? სწორედ ამ კითხვით მივმართეთ „დინამოს" მმართველ დირექტორს **ბუბა ტყავაძეს**:

*„შევიტყვეთ, რომ სპასოევიჩი „არმინიიდან" გაუშვეს. მას უცხოეთში სურდა კარიერის გაგრძელება. სპასოევიჩს „დინამოსთან" კონტრაქტი დაუმთავრდა. მის მომავალზე ვერაფერს გეტყვით, ალბათ, ახალ კლუბს ისევ ევროპაში მოძებნის".*

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

## ლევან ცქიტიშვილი

# შეიძლება, საქართველოში ვითამაშო...

ნაკრებში ლევან ცქიტიშვილის გამოძახება ქართველი ქომაგებისთვის სასიამოვნო სიურპრიზად იქცა. ექტორ კუპერის გუნდში მას არასოდეს უთამაშია. ასე რომ, ამ ფორმაციაში ის დებიუტანტია. ლევანს გუშინ დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ:

**- ბევრი მიიჩნევს, რომ ეროვნულ გუნდში აქამდეც უნდა ყოფილიყავით. თბილისის „ლოკომოტივში" ასპარეზობისას მართლაც კარგ ფორმაში იყავით, თუმცა ნაკრებში მოხვდით ახლა, როცა უკლუბოდ ხართ...**

- რა გითხრათ, ასე გადაწყვიტა ნაკრების მწვრთნელმა... ხომ გაგიგონიათ - სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო... ჩავალ მალტაზე და იმედია, ვითამაშებ... რაც შეეხება კონდიციებს, რომ გითხრათ, კარგ ფორმაში ვარ-მეთქი, დამიჯერებთ? რა თქმა უნდა, არ არის ასე. იცით, ალბათ, რომ ახალ გუნდს ვეძებ. „ვეენის" ხელმძღვანელობას ვთხოვე და ნება დამრთეს, რომ ამ გუნდის ბაზაზე მევარჯიშა. რამდენადაც შესაძლებელი იყო, ვეცადე, ფორმა შემენარჩუნებინა.



**- ეროვნულში გუნდში ბოლოს გასული წლის 31 მაისს, პეტარ შეგრტის ხანმოკლე მწვრთნელობისას, პორტუგალიასთან სტუმრად ითამაშეთ. მას მერე წელიწადზე მეტი გავიდა. გექნებოდათ საშუალება, საქართველოს ნაკრების მატჩები გენახათ. როგორც ეროვნული გუნდის სტაჟიანი წევრი, როგორ შეაფასებდით ნაკრების დღევანდელობას?**

- ჩემი აზრით, კუპერის ხელში ნაკრები ტაქტიკურად გამართულად თამაშობს. მისი მეცადინეობით არაერთი კომპონენტი დაიხვეწა, თუნდაც „სტანდარტულები", მაგრამ ცხადია, ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო. შედეგს რაც შეეხება, ნაკრებს უელსში გამარჯვების შემდეგ აღარ მოუგია. მოკლედ რომ ვთქვათ, გაკეთებული ჩანს, მაგრამ წარმატება ვერ მოდის...

**- და რით ავხსნათ ეს?**

- იმით, რომ კუპერი ახალ გუნდს ქმნის, ამას კი დრო სჭირდება. არ იფიქროთ, რომ საკუთარი თავი მყავს მხედველობაში, მაგრამ უნდა ვთქვა - ნაკრებს აუცილებლად სჭირდება გამოცდილი ფეხბურთელები. ეს ახალგაზრდები სწორედ მუჯირისა და ასათიანის გვერდით უნდა გაიზარდონ. არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ასეთ ფეხბურთელებზე უარი ვთქვათ. ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელები არიან ამისულაშვილიც, გოგუაც, ტატანაშვილიც... ისინიც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ... როგორც გავიგე, ნაკრებში ორ დებიუტანტი ყოფილა - ანანიძე და ღონღაძე... მერე ისიც მითხრეს, რომ ივნისის ამხანაგურ მატჩებში კარგად უთამაშია თავდამსხმელ ლადო დვალიშვილს, რომელიც ლატვიიდან ისრაელში გადასულა და ჩემპიონთა ლიგაშიც გაუტანია გოლები... გაჭირვებაა ახლა ქართულ ფეხბურთში და კუპერი რაც უფრო მეტ ახალ ფეხბურთელს ნახავს, მით უკეთესი.

**- გაჭირვებაში საკადრო დეფიციტს გულისხმობთ თუ მოუგებელ სერიას?**

- ორივეს ერთად. მოუგებელ სერიას სწორედ რომ მაღალი კლასის ფეხბურთელების დეფიციტი განაპირობებს. მწვრთნელის კომპეტენციაში ნამდვილად არ მინდა ჩავერიო, მაგრამ ალბათ სხვა ცვლილებებიცაა საჭირო, თუნდაც ტაქტიკური...

**- ამბობენ, ამ კონტინგენტის პირობებში 4-3-3 სქემა მომგებიანი არ არის, სჯობს ისევ კლასიკურ 4-4-2-ზე გადავიდეთო. ამ მოსაზრებას რამდენად ეთანხმებით?**

- 4-3-3-მა რომ ეფექტურად იმუშაოს, ფლანგებზე სწრაფი გარემარბები უნდა გვყავდეს. მაგრამ გვყავს კი დღეს ასეთი გარემარბები? სამწუხაროდ, არა. ჩემი აზრით, სქემას კი არ უნდა მოვარგოთ გუნდი, პირიქით, რა ხარისხის შემადგენლობაც გვყავს, იმის შესაფერისი ოპტიმალური სისტემა უნდა შევარჩიოთ. მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი მოკრძალებული აზრია, მწვრთნელის კომპეტენციაში არ ვერევი.

**- მალტასთან ამხანაგური შეხვედრა გენერალური რეპეტიცია იქნება შემოდგომის შესარჩევი მატჩების წინ. თუ კარგად ითამაშებთ, კუპერი ალბათ იტალიისთვისაც გამოგიძახებთ...**

- მალტაზე გულიანად ვითამაშებ, ანუ ისე, როგორც მჩვევია, ხოლო გამომიძახებს თუ არა მწვრთნელი იტალიასთან მატჩისთვის, ეს მისი გადასაწყვეტია. აბა, ახლა რა გითხრათ?

**- 1 აგვისტოს წელიწადი გახდება, რაც კუპერი ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცია. მოდით, გავიხსენოთ, როგორი იყო კლაუს ტოპმიოლერის ნაკრები ამავე ეტაპზე? რისი გაკეთება მოასწრო კლაუსმა ერთ წელიწადში?**

- კუპერის გუნდს ისე კარგად არ ვიცნობ და ცოტა გამიჭირდება ამგვარი შედარების გაკეთება. ეს, რაც შეეხება ხარისხს, მაგრამ შედეგი - ერთი წლის თავზე ტოპმიოლერს უკეთესი ჰქონდა. თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ კლაუსს მაშინ კონტინგენტიც უკეთესი ჰყავდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გავიწყდებათ, ვინ თამაშობდა მაშინ თავდასხმაში?

**- შოთა არველაძე...**

- მერე? ეს ხომ ძალიან დიდი ძალა იყო?

**- ახლა საკლუბო მომავალზეც გკითხავთ - სად აპირებთ კარიერის გაგრძელებას?**

- ჯერჯერობით, ხელმოსაჭიდი არაფერია. რამდენიმე ვარიანტი კი იყო, მაგრამ... რეალური - არც ერთი.

**- „არმინია" და „კაიზერსლაუტერნი"? ამბობდნენ, რომ ეს გუნდები იყვნენ თქვენით დაინტერესებულნი...**

- რა გითხრათ, აბა, ამ გუნდებზე მე არაფერი მსმენია... სხვები კი იყო - გერმანულიც, არაგერმანულიც... თუმცა კიდევ გეუბნებით, რომ ამ მომენტისთვის რეალური ვარიანტები არ მაქვს.

**- ხომ არ არის შანსი, რომ ალექსანდრე იაშვილთან ერთად „კარლსრუეში" გიხილოთ? თქვენ ერთი აგენტი გყავთ...**

- არა მგონია, ეს ტრანსფერი ასე იოლი იყოს.

**- „ფრაიბურგში" დაბრუნებაც გამორიცხულია?**

- ფრაიბურგელებმა ახალგაზრდებზე გააკეთეს აქცენტი, ასე რომ...

**- მაინც რამდენ ხანში გაირკვევა, თუ სად ითამაშებთ მომავალ სეზონში?**

- სატრანსფერო პერიოდი აგვისტოს ბოლოს იწურება. თუ ამ დროის განმავლობაში სასურველი ვარიანტი არ გამოჩნდა, სამშობლოში დავბრუნდები და საქართველოს ჩემპიონატში ვითამაშებ.

**- ისე, ხომ არ დაგიკავშირდათ უკვე რომელიმე ქართული კლუბი?**

- არა, ჯერ არავის დაურეკავს. ვნახოთ, ყველაფერი აგვისტოს ბოლომდე გადაწყდება.

**დავით ცაბაძე**

# ლელო წარმოგიდგენთ
# ქართული სპორტის ქრონიკები

# მსოფლიოს ჩემპიონატები

**ოქროს მედალი მოიპოვეს**

1. ზაზა კედელაშვილმა - 2006
2. კობა კურტანიძემ - 1989
3. გიორგი ბაინდურაშვილმა - 2006
4. ლაშა გუჯეჯიანმა - 2006
5. გრიგოლ მამრიკიშვილმა - 2006
6. ამირან ტოტიკაშვილმა - 1989
7. დავით ქევხიშვილმა - 2006
8. ირაკლი ცირეკიძემ - 2006, 2007
9. გიორგი ყიზილაშვილმა - 2006
10. ზვიად ხანჯალიშვილმა - 2006
11. ნესტორ ხერგიანმა - 2006
12. ვახტანგ ხოსიტაშვილმა - 2006
13. თემურ ხუბულურმა - 1979, 1981

**ვერცხლის მედალი**

1. გიორგი ვაზაგაშვილმა - 1995
2. ზურაბ ზვიადაურმა - 2001, 2003
3. აკაკი კიბორძალიძემ - 1989
4. დავით მარგოშვილმა - 2002
5. გიორგი რევაზიშვილმა - 1977
6. ანზორ ქიბროწაშვილმა - 1965
7. დავით ხახალეიშვილმა - 1993
8. ნესტორ ხერგიანმა - 2007

**ბრინჯაოს მედალი**

1. დავით ბოდაველმა - 1981
2. ვლადიმერ დგებუაძემ - 1991
3. გიორგი ვაზაგაშვილმა - 1993, 1997
4. გიორგი თენაძემ - 1989
5. ანზორ კიკნაძემ - 1967
6. თამაზ ნამგალაურმა - 1979, 1983
7. გივი ონაშვილმა - 1969
8. გიორგი რევაზიშვილმა - 1999
9. შენგელი ფიცხელაურმა - 1973
10. შოთა ჩოჩიშვილმა - 1975
11. შოთა ხაბარელმა - 1983
12. რამაზ ხარშილაძემ - 1975
13. დავით ხახალეიშვილმა - 1991, 1993, 1995
14. ნესტორ ხერგიანმა - 1999
15. ჯიბილო ნიჟარაძემ - 1975
16. ლაშა გუჯეჯიანმა —2007

**მსოფლიოს ჩემპიონი - 13, ოქროს მედალი – 15.
მეორე პრიზიორი - 8, ვერცხლის მედალი - 9.
მესამე პრიზიორი - 16, ბრინჯაოს მედალი - 20.**

სულ: 44 მედალი (15 ოქრო, 9 ვერცხლი, 20 ბრინჯაო).

## ევროპის ჩემპიონატებზე მედლები მოიპოვეს

**ოქროს მედალი**

1. დავით ბოდაველმა - 1981
2. გურამ გოგოლაურმა - 1972, 1973, 1974
3. ალექსი დავითაშვილმა - 2003, 2002
4. ვლადიმერ დგებუაძემ - 1993
5. გიორგი ვაზაგაშვილმა - 1993, 1997
6. ზურაბ ზვიადაურმა - 2002, 2003
7. ოლეგ ზურაბიანმა - 1977
8. მორის თადუმაძემ - 2002
9. ზაზა კედელაშვილმა - 2006, 2007, 2008
10. ანზორ კიკნაძემ - 1962, 1964, 1965, 1966 + (4 ოქრო გუნდურში)
11. კობა კურტანიძემ - 1987, 1989
12. გიორგი მამრიკიშვილმა - 2003
13. დავით მარგოშვილმა - 2002
14. ანზორ მარტყოფლიშვილმა - 1968
15. როინ მალალთაძემ - 1968
16. დავით ნადარაიამ - 2003
17. თამაზ ნამგალაურმა - 1984, 1985
18. ჯიბილო ნიჟარაძემ - 1975
19. ამირან ობგაიძემ - 1979
20. გივი ონაშვილმა - 1970, 1974, 1975
21. გიორგი რევაზიშვილმა - 1996, 2002, 2003
22. შენგელი ფიცხელაურმა - 1973, 1974, 1975
23. დავით ქევხიშვილმა - 2002
24. ანზორ ქიბროწაშვილმა - 1962-2, 1963-2, 1966, 1967
25. ფარნაოზ ჩიკვილაძემ - 1965
26. შოთა ჩოჩიშვილმა - 1975
27. შოთა ხაბარელმა - 1979, 1983
28. დილარ ხაბულიანმა - 1977
29. ზვიად ხანჯალაშვილმა - 2006
30. დავით ხახალეიშვილმა - 1993 – 2, 1996
31. ნესტორ ხერგიანმა - 1998, 2003
32. თემურ ხუბულურმა - 1976, 1977
33. ამირან ტოტიკაშვილმა - 1988, 1989
34. ივერი ჯიქურაულმა - 2002, 2003

**ვერცხლის მედალი**

1. აბდულა ბარკალაევმა - 1975
2. დავით ბოდაველმა - 1982
3. ბორის გოგიჩაიშვილმა - 1972
4. გურამ გოგოლაურმა - 1971, 1972
5. ლაშა გუჯეჯიანმა - 2007
6. გიორგი ვაზაგაშვილმა - 1995
7. ოლეგ ზურაბიანმა - 1976
8. ანზორ კიკნაძემ - 1967, 1968
9. აკაკი კიბორძალიძემ - 1988
10. სოსო ლიპარტელიანმა - 1993
11. დავით მარგოშვილმა - 2001, 2003
12. ჯემალ ნათელაშვილმა - 1968
13. ჯიბილო ნიჟარაძემ - 1977, 1978
14. გივი ონაშვილმა - 1969, 1972, 1976
15. გიორგი რევაზიშვილმა - 1997
16. შენგელი ფიცხელაურმა - 1971, 1973, 1975
17. დავით ქევხიშვილმა - 2002, 2007
18. ანზორ ქიბროწაშვილმა - 1963, 1967, 1969
19. ფარნაოზ ჩიკვილაძემ - 1964, 1966
20. შოთა ჩოჩიშვილმა - 1973, 1974, 1975
21. ირაკლი ცირეკიძემ - 2007
22. შოთა ხაბარელმა - 1979, 1982
23. რამაზ ხარშილაძემ - 1976
24. თემურ ხუბულურმა - 1981
25. ივერი ჯიქურაულმა - 1995, 2000

**ბრინჯაოს მედალი**

1. გიორგი ბაინდურაშვილმა - 2006
2. გურამ გოგოლაურმა - 1973
3. ალექსი დავითაშვილმა - 1994, 2000, 2001
4. გიორგი ვაზაგაშვილმა - 1999, 2000
5. ზურაბ ზვიადაურმა - 2002, 2006
6. გიორგი თენაძემ - 1989
7. აკაკი კიბორძალიძემ - 1987, 1988
8. კობა კურტანიძემ - 1990
9. ანზორ მარტყოფლიშვილმა - 1971
10. ამირან მუზაევმა - 1973
11. ჯიბილო ნიჟარაძემ - 1973, 1976
12. გივი ონაშვილმა - 1971
13. ადამ ოქრუაშვილმა - 2006
14. ლომერ ჟორჟოლიანმა - 2006
15. გიორგი რევაზიშვილმა - 1994, 1998, 2000
16. ამირან ტოტიკაშვილმა - 1990
17. შენგელი ფიცხელაურმა - 1974
18. დავით ქევხიშვილმა - 2002, 2003, 2008
19. ანზორ ქიბროწაშვილმა - 1966
20. რამაზ ჩოჩიშვილმა - 1996, 2001
21. შოთა ჩოჩიშვილმა - 1977
22. შოთა ხაბარელმა - 1981, 1983
23. რამაზ ხარშილაძემ - 1975, 1980
24. დავით ხახალეიშვილმა - 1990
25. ვახტანგ ხოსიტაშვილმა - 2006
26. ნესტორ ხერგიანმა —1999, 2000, 2001, 2002, 2006, 2007, 2008
27. მინდია ხომიზურმა - 2006
28. ივერი ჯიქურაულმა - 1994, 2001
29. ირაკლი ცირეკიძემ - 2008

**ევროპის ჩემპიონი - 35, ოქროს მედალი – 68.
ვერცხლის მედალოსანი - 25, ვერცხლის მედალი - 41.
ბრინჯაოს მედალოსანი - 31 კაცი, ბრინჯაოს მედალი - 49.**

სულ: 158 მედალი (68 ოქრო, 41 ვერცხლი, 49 ბრინჯაო).

*დასაწყისი: ლელო №52 (12731).*
*გაგრძელება იქნება*

**გურამ ძაგანია**, პროფესორი

## მადლობა უფალს!

**ერთ-ერთი ფინალური ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინების შემდეგ ვახტანგ ბლაგიძემ გადაიწერა პირჯვარი, შემდეგ დაიჩოქა ხალიჩაზე და ასე გამოხატა თავისი მადლობა უფლისადმი. საბჭოთა მთავრობამ ყველა ოლიმპიური ჩემპიონი ორდენებით დააჯილდოვა... გარდა ვახტანგ ბლაგიძისა.**

**პირველი** ოლიმპიელი ქალი, რომელიც საქართველოდან მონაწილეობდა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში, არის **სოფიო ახმეტელი.**

**პირველმა** სამოყვარულო კრივში საქართველოდან ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა **დავით კვაჭაძემ** -1977 წელს. მაშინ დავითი 26 წლის იყო.

**პირველად** ცურვა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს 1896 წელს. საქართველოდან ოლიმპიურ თამაშებში სპორტის ამ სახეობაში მონაწილეობდნენ: **ვლადიმერ ლავრინენკო** (1952), **ბორის ნიკიტინი** (1960), **ალექსანდრე ტუტაკაევი** (1964), **თინათინ ლეკვეიშვილი** (1968, 1972),**იგორ ომელჩენკო** და **იგორ კუმპელიოვი** (ორივე -1976), **ირინა გერასიმოვა** (1980), **ზურაბ ბერიძე** და **ზურაბ ხომასურიძე** (ორივე - 2004), **ანა სალნიკოვა** და **ირაკლი რევიშვილი** (ორივე - 2008)

30 ივლისი-5 აგვისტო
ქართულ სპორტში



**30 ივლისი-2 აგვისტო. კალათბურთი.** ეროვნული ნაკრების საერთაშორისო ტურნირები. იტალია.

**1-ელი აგვისტო. ქვიშის ფეხბურთი, ფრენბურთი, რაგბი.** საქართველოს ჩემპიონატი. ურეკი, სტუდენტები.

**1-ელი აგვისტოდან. ტაეკვონდო.** საერთაშორისო ტურნირი. თურქეთი. დიდები. ახალგაზრდები.

**3 აგვისტოდან. ძალოსნობა.** საქართველოს პირველობა. ქუთაისი. ჭაბუკები.

**3 აგვისტოდან. ხელბურთი.** საერთაშორისო ტურნირი. თურქეთი. დიდები.

30 ივლისი-5 აგვისტო

**30 ივლისი. 1970 წ.** დაიბადა **ლევან თიბილოვი.** ციგაობა.

**30 ივლისი. 1932 წ.** ლოს-ანჯელესში (აშშ) გაიხსნა ზაფხულის X ოლიმპიური თამაშები.

**31 ივლისი. 1970 წ.** დაიბადა **ქრისტინა ფალასანიდი.** სინქრონული ცურვა.

**1 აგვისტო.** დაიბადნენ **მედეა (მზია) ჯუღელი** (1952 წ). ტანვარჯიში; **ქეთევან ლოსაბერიძე** (1949 წ). მშვილდოსნობა.

**1 აგვისტო. 1936 წ.** ბერლინში გაიხსნა ზაფხულის XI ოლიმპიური თამაშები.

**2 აგვისტო. 1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ეროვნული ფედერაცია.

**2 აგვისტო. 1945 წ.** დაიბადა **შენგელი ფიცხელაური.** ძიუდო.

**3 აგვისტო. 1922 წ.** დაიბადა **ავთანდილ ღოღობერიძე.** ფეხბურთი.

**ეხლანდელი სკოლა ბევრში უკან ჩამორჩომილია უწინდელზედ. დღეს ყოველიფერი შეწირული აქვს მარტო გონების გახსნას და დავიწყებულია, რომ ადამიანს, ჭკვა-გონების გარდა, გულიც აქვს, რომელსაც კაიკაცობისათვის ისეთივე წვრთნა და გახსნა უნდა, როგორც ცოდნისათვის ჭკვა-გონებასა; დავიწყებულია, რომ კაცს ტანი და აგებულებაცა აქვს, რომელიც წვრთნითა და ვარჯიშობით უნდა გაღონიერდეს, გაჯანიანდეს, გამაგრდეს, რადგანაც ჯანმრთელობა უდიდესი მადლია, რომელსაც ღმერთი მიანიჭებს ხოლმე თავისთა რჩეულთა.**

ილია ჭავჭავაძე



1951 წელი. თბილისის დინამო პოლონეთში

## ფალავნები

**ჭიდაობის მსოფლიო ფალავნებს — ქართველ მოჭიდავეებს**

*„...მათ ჯარში მყოფი ორი ქრისტიანი ქართველი მათივე განჩევით ორ თათარს დაეჭიდა და ორივე დასცა, მაგრამ ისე კი, რომ მათთვის არაფერი დაუშავებიათ. სხვა თათრები გაბრაზდნენ, ქართველებს გააფთრებით ეცნენ, თითოს თითო ხელი მოჰგლიჯეს და დაამტვრიეს“.*

პლანო კარპინი

---

**ვერ შეანანეს ვაჟკაცებს შებმა,
თუმც დააწყვიტეს ბრაზით მხარ-მკლავი,
უფრო აანთეს იმ წამში მტრებმა
საქართველოში მათი ვარსკვლავი.**

**ახრჩობდათ ჯავრი ამაოხრებლის,
თათრის — სიმრავლით ზარის დამცემის...
მონგოლების წინ შავი ჩოხებით
დადგნენ ქართველი ჯარისკაცები.**

**დადგნენ და მიხვდნენ, რომ დაჰკრა ჟამმა,
ეყოთ, რაც შერცხვა გმირთა სახელი,
რომ საქართველომ, რაც ჯავრი სჭამა,
იმ ერთ წუთს იყო გადასახდელი.**

**შორს შეწყდა იმ დროს დედების მოთქმა,
გული მღეროდა აღტაცებულად:
“თუ არ სიმრავლით ჯერ ქართველთ მოდგმა
თანასწორ ომში არ დაცემულა“.**

**და მოსწყდნენ უცებ... იმ წუთს ნატრულებს
ფრთები შეესხათ, მოსწყდნენ ჯმუხები
და მტრებს მიწაზე მხრებით გაკრულებს
ზედ დააჭირეს ყელთან მუხლები.**

**გარშემო თვალის მოვლება უნდათ,
მათი ამაყი მზერა ქართული
ლაპარაკობდა, რომ მთელი ურდო
მათ ფეხქვეშ იყო იმ წამს გართხმული.**

**და შეხვდა მათ თვალს ათასჯერ ათი
მოსისხლე თვალის მზერა მზაკვრული:
ქვეყნის დამპყრობლებს სისხლ-ხორცი მათი
ჯერ არ ენახათ მიწას გაკრული.**

**ქედმაღალ მონის სახე მღიმარი!
ვით აიტანდნენ ამ თავხედობას...
უცებ გათავდა შავი სიზმარი
და გონს მოეგო თათრის მხედრობა.**

**უცებ მტვრის დადგა კორიანტელი,
ბრბო აიშალა თავბრუდასხმული
და სულ ერთ წამში გოლიათები
ქვიშას გარიეს მკვლავებგასხლული.**

**სისხლს დაეძებდნენ შმაგი თვალები,
ვის ჰქონდა თავი გამოდავების,
და მძლე თათრები, ბრაზით მთვრალები,
იმ წუთში იყვნენ საცოდავები.**

**სულით ვერ სძლიეს ფეხქვეშ გათელილთ,
ორ ქედმოუხრელ ქართველ გოლითს,
და სიკვდილის წინ მიხვდნენ ქართველნი,
რა საცოდავი მტრები ჰყოლიათ.**

**ვერ შეანანეს ვაჟკაცებს შებმა,
თუმც დააგლიჯეს ბრაზით მხარ-მკლავი,
უფრო აანთეს იმ წამში მტრებმა
საქართველოში მათი ვარსკვლავი.**

**ვერ გაუთხარეს გმირებს საფლავი,
ვერც დაიტირა მოძმემ ბედშავმა.
ცოდვა არ იყო? მათი მხარ-მკლავი
უდაბნოს ცხელმა ქვიშამ შესჭამა!**

**ცოდვა არ იყო? ქარმა თავხედად
რომ ააკვნესა მათი მარჯვენა!
ნეტავი წამით წამოახედათ
და საქართველო წამით აჩვენათ.**

**აჩვენათ: მათი შვილიშვილები,
ქვეყნად რომ არ ჰყავთ ტოლის დამდები,
როგორ დადიან მხარგაშლილები —
ახალი ქართლის გოლიათები.**

**ღონე თუ დაჰყვათ ზღაპრული დევის,
არ ჩანს მხარ-ბეჭზე მათი დამხლელი,
და ტოკიოდან რომამდის ძლევით,
დიდებით ისმის მათი სახელი.**

**იქ მეტოქენი თუმც გუნდად აკრავთ,
ხელს ვერვინ ასწევს მათ შესარცხვენად,
იქნება შურით შეხედონ, მაგრამ
ვინ შეეხება მათ მძლე მარჯვენას.**

...

**და ნეტავ წამით წამოახედათ,
ეს ფალავნები წამით აჩვენათ,
მათ, ვინც თათრებმა მოჰკლეს თავხედად
და დააგლიჯეს ბრაზით მარჯვენა.**

**გ. აბაშიძე**

# უცხოური სპორტი

## სხვადასხვა

კალათბურთი

### ტიმ ტომასი დალასშია

„დალას მავერიქსმა“ კონტრაქტი გააფორმა ფორვარდ **ტიმ ტომასთან**, რომელიც თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობდა. გასულ სეზონში 32 წლის კალათბურთელმა სამ კლუბში თამაში მოასწრო. სულ „ლეიკერსის“, „ნიუ იორკისა“ და „ჩიკაგოს“ შემადგენლობაში ტომასმა 66 მატჩი ჩაატარა. ის საშუალოდ მოედანზე 19 წუთს იმყოფებოდა და 8.5 ქულას აგროვებდა.

### მაიამი ოდომს თავისკენ ექაჩება

ლოს ანჯელესის ტელევიზიით გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ფორვარდი **ლამარ ოდომი** და მისი აგენტი „მაიამი ჰიტის“ პრეზიდენტ **პეტ რაილისა** და ამ გუნდის ლიდერ **დუეინ უეიდს** შეხვდნენ, რომლებიც ლოს-ანჯელესში საქმიანი და პირადი ვიზიტით იყვნენ ჩასულნი.

შეგახსენებთ, რომ ოდომს, რომელიც თავისუფალი აგენტი გახლავთ, ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, სად გააგრძელოს კარიერა. მას „ლეიკერსმა“ და „მაიამიმ“ დაახლოებით ერთნაირი წინადადებებით მიმართეს.

### ფავორიტი ლეიკერსი იქნება

ლას-ვეგასის ბუკმეიკერებს მიაჩნიათ, რომ მომავალი სეზონის ფავორიტი NBA-ის მოქმედი ჩემპიონი „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ იქნება. კალიფორნიელთა ძალაზე არ იმოქმედებს **ლამარ ოდომის** სავარაუდო წასვლა, ვინაიდან **ფილ ჯექსონის** გუნდმა ამ ზაფხულს **რონ არტესტით** გააძლიერა შემადგენლობა.

*„არტესტის შეძენა ოდომის დაკარგვაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. გუნდმა შეინარჩუნა ძირითადი ბირთვი და რაც მთავარია, სანამ „ლეიკერსში“ არიან კობი ბრაიანტი და ფილ ჯექსონი, ამ გუნდის დამარცხება ძალიან რთული იქნება“,* - აცხადებს MGM/Mirage Race-ის შეფი **ჯეი რუდი**.

### ბლეიკი სასტარტოში დარჩება

„პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის“ დამრიგებელი **ნეიტ მაკმილანი** ამბობს, რომ მისი გუნდის ძირითადი გამთამაშებელი კვლავინდებურად **სტივ ბლეიკი** იქნება. ის შეინარჩუნებს ადგილს სასტარტო ხუთეულში იმის მიუხედავად, რომ „პორტენდმა“ ცოტა ხნის წინ, „ფილადელფია სიქსერზიდან“ **ანდრე მილერი** გადაიბირა. თუმცა, „ბლეიზერსის“ მთავარი მწვრთნელი არ გამორიცხავს, რომ ბლეიკის სათამაშო დრომ შეიძლება შესამჩნევად იკლოს.

გასულ სეზონში 29 წლის მცველი მოედანზე საშუალოდ 32 წუთს ატარებდა და საშუალოდ 11 ქულასა და 5 შედეგიან პასს უგროვდა თავს.

### მილუოკიმ ჯენინგსი გაიფორმა

„მილუოკი ბაქსმა“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა **ბრენდონ ჯენინგსთან**. „ირმებმა“ 19 წლის კალათბურთელი წლევანდელი დრაფტის პირველ რაუნდში აირჩია. კონტრაქტის თანახმად, ჯენინგსი პირველ ორ სეზონში 4.5 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

*„აღფრთოვანებული ვარ NBA-ის კლუბთან ჩემი პირველი კონტრაქტით, - განაცხადა კალათბურთელმა. - მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებ და მახარებს სკოტ სკაილზთან მუშაობის პერსპექტივა. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გუნდს წარმატების მიღწევაში დავეხმარო“.*

### უოტსონი ინდიანაში ჩაირიცხა

„ინდიანა პეისერსმა“ მრავალწლიანი კონტრაქტი გაუფორმა გამთამაშებელ **ირლ უოტსონს**, რომელიც ამ თვის დასაწყისში, „ოკლაჰომადან“ გაშვების შემდეგ თავისუფალი აგენტი გახდა.

ამ მცველს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში რვა სეზონი აქვს გატარებული - „სიეტლის“, „მემფისისა“ და „დენვერის“ შემადგენლობაში მისი საშუალო შედეგიანობა 7.3 ქულას აღწევდა. შარშან, უოტსონმა 6.6 ქულისა და 5.8 პასის მოგროვება შეძლო.

### დანიელსი ბოსტონში გადადის

როგორც გაზეთ The Boston Herald-სთვის გახდა ცნობილი, „ბოსტონ სელტიქსმა“ და „ინდიანა პეისერსმა“ ტრეიდზე მოილაპარაკეს, რომლის მიხედვითაც ბოსტონელთა რიგებში **მარკის დანიელსი** უნდა გადავიდეს. თუმცა ეს გუნდები გაცვლის განსახორციელებლად მესამე კლუბს ეძებენ, რადგან „ინდიანას“ არ აწყობს ის კომპენსაცია, რომელსაც 28 წლის დანიელსში სთავაზობენ. კერძოდ, „ბოსტონი“ მარკისის სანაცვლოდ მცველებს - **ტონი ალენსა და გრეიბ პრიუტს** და ფორვარდ **ბილ უოკერს** თმობს.

შარშანდელ რეგულარულში დანიელსის საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 13.6 ქულას, 4.6 მოხსნასა და 2.1 შედეგიან გადაცემას უდრიდა.

ფორმულა 1

### დიდ ცირკში რუმინეთსაც უნდა

ბულგარეთის შემდეგ, აღმოსავლეთი ევროპის კიდევ ერთმა ქვეყანამ გამოთქვა ფორმულა 1-ის ეტაპის ჩატარების სურვილი. რუმინეთში სერიოზულად განიხილავენ მსოფლიო დონის ავტოდრომის აშენების პერსპექტივას.

ამ პროექტისთვის რუმინულმა მხარემ უკვე გამოყო სამი ადგილი დედაქალაქ ბუქარესტის გარეუბანში და მათგან ექსპერტები ერთ-ერთზე შეაჩერებენ არჩევანს.

კრივი

### პავლიკმა ბარში იჩხუბა

WBC-ის ვერსიით საშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონი **კელი პავლიკი** ჩხუბის ორგანიზებაშია ეჭვმიტანილი. ინციდენტი ამერიკელი მოკრივის მშობლიური ქალაქის იანგსტაუნის ერთ-ერთ ბარში მოხდა.

როგორც ადგილობრივი პოლიციის შეფი აცხადებს, მათ განცხადებით მიმართა 45 წლის **რონალდ კეპიტმა**, რომელმაც მოკრივე თავდასხმაში დაადანაშაულა. როგორც კეპიტი ჰყვება, ბარში ის პავლიკს მიუახლოვდა და მიესალმა, რაზეც კელიმ დარტყმით უპასუხა. დაზარალებული იატაკზე დაეცა, რის შემდეგაც პავლიკი და მისი მწვრთნელი **ჯეკ ლევი** კეპიტის ცემას განაგრძობდნენ.

პავლიკის დამრიგებლის თქმით, არანაირ ჩხუბს ადგილი არ ჰქონია, იყო მხოლოდ სიტყვიერი კონფლიქტი, რომლის დროსაც კეპიტი ძალიან უხეშად და გამომწვევად იქცეოდა. როგორც სააგენტო AP იუწყება, პოლიციას მოკრივისთვის ბრალდება ჯერ არ წაუყენებია.

ჰოკეი

### ამერიკამ ლეგენდები დააფასა

ამერიკის ნაკრების შემადგენლობაში 1996 წლის კანადის თასის მფლობელი **ტონი ამონტე**, სტენლის თასის ორგზის გამარჯვებული **ტომ ბარასო** და 90-იან წლებში ჰოკეის ეროვნული ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერი **ჯონ ლეკლერი** ამერიკული ჰოკეის დიდების დარბაზში შეიყვანეს.

ამ სამეულთან ერთად, დიდების დარბაზის წევრი გახდება ამერიკის ქალ ჰოკეისტთა ნაკრები, რომელმაც ნაგანოს ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა.

**კალათბურთი.** NBA საზაფხულო ლიგა

# მომავალი თაობა




**ცოტა ხნის წინ, NBA-ის საზაფხულო ლიგა დასრულდა. ეს ტურნირი შესანიშნავი შემოწმება გახდა იმათთვის, ვისაც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სადებიუტო სეზონი ელის. აქ თამაშობდნენ დრაფტის პირველ რაუნდში არჩეული მოთამაშეები, რომლებიც იმის დამტკიცებას ცდილობდნენ, რომ მათ შეუძლიათ მწვრთნელთა ნდობის გამართლება. მეორე რაუნდში არჩეულ მოთამაშეებს კი უნდა ეჩვენებინათ, რომ მათ სულ უსაფუძვლოდ აუარეს გვერდი გენერალურმა მენეჯერებმა. ESPN-მა ერთკვირიანი ტურნირის შედეგები შეაჯამა და საზაფხულო ლიგის 10 საუკეთესო კალათბურთელი გამოავლინა.**

### 10. დეჟუან ბლერი (სან ანტონიო)

16.3 ქ + 8.7 მ + 53% რეალიზაცია

სამი თამაში იკმარა **ბლერმა** იმის დასამტკიცებლად, რომ ამ დრაფტში 37-ზე მაღალ ნომერს იმსახურებდა. საბოლოოდ, ეს კალათბურთელი „სან ანტონიომ“ აიყვანა და სწორადაც მოიქცა. როგორც მოსალოდნელი იყო, ლას-ვეგასში ბლერმა უჩვეულოდ პროდუქტიულად ითამაშა. 16.3 ქულა, 8.7 მოხსნა და თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციის მაღალი პროცენტი ამტკიცებს „სპურსის“ მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სისწორეს. ამ ზაფხულს „სან ანტონიომ“ წინა ხაზის გასაძლიერებლად **ანტონიო მაკდაესი** და **მარკუს ჰეისლიპი** აიყვანა, მაგრამ დეჟუანმა დაამტკიცა, რომ მისი პიროვნებაც გასათვალისწინებელია. მოხსნაზე ბრწყინვალე თამაში და შეტევაში უნარიანი მოქმედება შეიძლება კარგი საშუალება გახდეს „სპურსის“ დაბერებული ორგანიზმის გაახალგაზრდავებისთვის. საზაფხულო ლიგამ ეს ნათლად დაგვანახვა.

### 9. ჯოდი მიქსი (მილუოკი)

19 ქ + 2.2 მ + 1 ჩ + 55.7%

„ბაქსმა“ სასწრაფოდ გაიფორმა დრაფტის მეორე რაუნდში არჩეული **მიქსი** და ლიგის მატჩებმა დაადასტურა ამ ნაბიჯის სისწორე. 55-პროცენტიანი სიზუსტით საშუალო 19 ქულის დაგროვება, ჯოდის სრულ უფლებას აძლევს „ბაქსის“ როტაციაში მოსახვედრად იბრძოლოს. „ირმებმა“ **რიჩარდ ჯეფერსონი** გაუშვეს, რითაც სათამაშო დრო გამოუთავისუფლეს მსუბუქ ფორვარდებს. თამამად შეიძლება იმის მტკიცება, რომ მიქსს აქვს შანსი, მომავალ სეზონში არა უბრალოდ გავიდეს პარკეტზე, არამედ დიდ პროგრესსაც მიაღწიოს. მწვრთნელების ნდობა მან უკვე მოიპოვა.

### 8. დაჟუან სამერსი (დეტროიტი)

18 ქ + 5.4 მ + 1 პ

ამ, კვირიან მარათონში „პისტონსის“ ბოლო მატჩმა ოდნავ გააუფერულა **სამერსის** სტატისტიკა (მან მხოლოდ ტყორცნების მესამედი გამოიყენა - 5/15), მაგრამ ვერაფერი დააკლო იმ დადებით შთაბეჭდილებას, რომელიც ამ ბიჭმა მოახდინა. მართალია, მისი პარტნიორი **ოსტინ დეი** უფრო მეტს ხსნიდა და უკეთესი პროცენტით ისროდა, მაგრამ დაჟუანი უფრო შედეგიანიც იყო და ეფექტურიც... სამერსმა ყველაფრით დაამახსოვრდა იმათ, ვინც მის თამაშს ადევნებდა თვალს. და ეს იმ დროს, როცა ეს ფორვარდი 35-ე ნომრად აირჩიეს.

### 7. დარენ კოლისონი (ნიუ ორლეანი)

18.5 ქ + 2.3 მ + 3.8 პ + 1 ჩ + 45%

როგორც იქნა, **კრის პოლმა** მიიღო რეალურად კარგი და ნიჭიერი დუბლიორი. **კოლისონი** წლევანდელი დრაფტიდან საზაფხულო ლიგაში მოხვედრილ კალათბურთელებს შორის ყველაზე სტაბილური გამთამაშებელი გახდა და მუდმივად ამტკიცებდა, რომ მას უფრო მაღალი ადგილი ეკუთვნოდა, ვიდრე დრაფტის 21-ე ნომერი. არანორმალური სისწრაფე და ტყორცნის სიზუსტე მას უკვე დღეს აძლევს NBA-ში თამაშის უფლებას. ის ყველაზე უკეთ უწევდა კოორდინირებას თავის პარტნიორებს და მართავდა მათ მოქმედებას.

### 6. ტარიკ ევანსი (საკრამენტო)

19.2 ქ + 6.2 მ + 4.2 პ + 1 ჩ

მიუხედავად იმისა, რომ დრაფტის მეოთხე ნომერი ცუდად ისროდა (40.3 პროცენტი), მისი საერთო მახასიათებლები დადებითი იყო. **ევანსის** შესაძლებლობები მის მაღალ პერსპექტივებზე მეტყველებს. ტარიკს შთამბეჭდავი საშუალო მაჩვენებლები ჰქონდა და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მისი სტატისტიკა ერთმა მატჩმა გააფუჭა, რომელშიც ის ტრავმით თამაშობდა, მისი საქმეები უკვე კარგად მიდის. ევანსს ბრწყინვალე გარღვევები გამოსდის, ის მუდმივად აიძულებს მსაჯებს, ჯარიმები უსტვინონ მის მეურვეებს - ეს ამ კალათბურთელის დიდ პლიუსად ითვლება. მან თავისი შესაძლებლობები ძალიან მნიშვნელოვან ელემენტში გამოავლინა - არაფრისგან ქმნიდა ხიფათს მეტოქის ფართან. ეს ის არის, რაც „კინგზს“ მომდევნო სეზონში ძალიან დასჭირდება. ეს მცველი NBA-ში კარიერას სუსტ გუნდში იწყებს, სადაც პლეიმეიკერის პრობლემა არსებობს. ცხადია, რომ მას სადებიუტო წელს დიდი სათამაშო დრო ელოდება.

### 5. ოსტინ დეი (დეტროიტი)

17 ქ + 8.8 მ + 1 პ + 1.4 ჩ + 47%

**დეიმ** ყველა გააკვირვა. მისი თამაში სიურპრიზი გახდა გულშემატკივრებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ის დრაფტზე მე-15 ნომრად აირჩიეს, ბევრს ეგონა, რომ ფიზიკური სისუსტე ხელს შეუშლიდა საკუთარი პოტენციალის გამოვლენაში, მაგრამ ოსტინმა დაამტკიცა ამ მოსაზრების სიმცდარე. მომავალში მისგან შთამბეჭდავ სპექტაკლებს ველით. ოსტინს ყველაზე მეტად „ნიუ იორკთან“ მატჩი გამოუვიდა, რომელშიც მის ანგარიშზე 27 ქულა და 13 მოხსნა იყო. ასევე არავინ ელოდა მისგან ამდენ მოხსნას. ფარქვეშ უნარიანი ბრძოლის წყალობით, მომავალ რეგულარულში მას დიდი სათამაშო დროის იმედი უნდა ჰქონდეს.

### 4. როდრიგ ბობუა (დალასი)

17 ქ + 3.4 მ + 3.8 პ + 1.4 ჩ + 47.8%

სწრაფმა ფრანგმა გამთამაშებელმა აჩვენა, რომ თავისი კომპლექსური თამაშით შეუძლია, ძალიან პროდუქტიული იყოს. ის თავს არ ზოგავდა იმისთვის, რომ მაქსიმალურად გამოეჩინა თავი. „ჰიუსტონის“ წინააღმდეგ დაგროვებულმა 34-მა ქულამ, რვა პასმა და შვიდმა სამქულიანმა მომენტალურად მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. **ბობუა** ჯერ არასტაბილურია და შესაძლოა, ამის გამო წააგო „მავერიქსმა“ ხუთიდან ოთხი მატჩი. 21 წლის ლეგიონერს ყველა შანსი აქვს მომავალ სეზონში **ჯეისონ კიდის** შემცვლელი გახდეს. რა თქმა უნდა, საზაფხულო ლიგის მატჩებით რთულია წინასწარ დასკვნების გამოტანა, მაგრამ ბობუამ პოტენციალი გამოავლინა, რაც მას დრაფტზე არჩეული კალათბურთელების საუკეთესო ათეულში შესვლის უფლებას აძლევს.

### 3. ჩეიზ ბადინგერი (ჰიუსტონი)

17.8 ქ + 2 მ + 0.8 პ + 1 ჩ + 68%

**ბადინგერი** დრაფტის 44-ე ნომერი გახდა, მაგრამ მინიმუმ საუკეთესო ოცდაათეულში იმსახურებდა ადგილს. ეს ბიჭი საშუალოდ 22 წუთს ატარებდა მოედანზე, მაგრამ მაინც ასწრებდა საშუალოდ 18 ქულის დაგროვებას. მას თამაშიდან ტყორცნების ფანტასტიკური პროცენტი ჰქონდა - 68 (!), სამქულიანებს კი 73 (!!!) პროცენტის სიზუსტით იყენებდა. დაუჯერებელი მაჩვენებელია. „როკეტსის“ დამრიგებელს **რიკ ადელმანს** უყვარს მოთამაშეები, რომლებსაც დაცვა შეუძლიათ, მაგრამ ჩეიზი განსაკუთრებულია. ის ნებისმიერ გუნდში შეძლებს ადგილის მოპოვებას.

### 2. ბრენდონ ჯენინგსი (მილუოკი)

14.6 ქ + 2.6 მ + 8.2 პ + 3.6 ჩ

**ჯენინგსი** ცუდად ისროდა (38 პროცენტი), მაგრამ თამაშის ნებისმიერ სხვა კომპონენტში აოცებდა ექსპერტებს. ის საზაფხულო ლიგის ლიდერი გახდა ჩაჭრებით და პირველი ადგილი გაიყო პასების რაოდენობით. ბრენდონმა დაგვიმტკიცა, რომ უკვე დღეს შეუძლია სათავეში ჩაუდგეს NBA-ის გუნდს და როგორც მინიმუმ, დიდი სათამაშო დრო მიიღოს, მით უმეტეს, რომ „მილუოკის“ ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა **რამონ სეშენსთან** კონტრაქტის გაგრძელებაზე. ჯენინგსმა კლუბის მენეჯმენტს მომავალი მოქმედებების მიმართულება დაანახვა. არ არის გამორიცხული, რომ მომავალში მასზე აიწყოს ახალი გუნდი. სწორედ ბრენდონის დამსახურებაა, რომ „მილუოკიმ“ ხუთი მატჩიდან ოთხი მოიგო.

### 1. ბლეიკ გრიფინი (კლიპერსი)

19.2 ქ + 10.8 მ + 3.2 პ + 1 ჩ + 50%

რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი ინტერესი დრაფტის პირველი ნომრისკენ იყო მიპყრობილი. ზოგიერთ მომენტში, ის ახალბედებს შორის დაბრძენებული მოთამაშის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ისევე როგორც ეს NCAA-ის ჩემპიონატში „ოკლაჰომას“ შემადგენლობაში იყო. **გრიფინი** საუკეთესო მომხსნელი გახდა და მესამე იყო შედეგიანობით. მან თავისი მრავალმხრივი თამაში აქაც აჩვენა, იგრძნობოდა მისი უდიდესი უპირატესობა როგორც მეტოქეებს, ასევე მის ოპონენტებს შორის. ერთი-ერთზე იოლად ამარცხებდა თავის ოპონენტებს, რის შემდეგაც ბურთს ფარში ტენიდა. შემდეგი წელი ძალიან დამაინტრიგებელი იქნება გულშემატკივრებისთვის. ბლეიკი უმაღლესი დონის მოთამაშეების წინააღმდეგ გავა სათამაშოდ და მაინც, შთამბეჭდავი სანახავი იქნება მათ გვერდით.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ბორჯომი

# იმ გუნდით უმაღლესიდან არ გავვარდებოდით

## მაისურაძე: ბორჯომმა ქართულ ფეხბურთს არაერთი ლამაზი თამაში და ფეხბურთელი აჩუქა...



**დასანანია, მაგრამ სწორედ ეს არის ქართული საკლუბო ფეხბურთის რეალობა - „ბორჯომი", ერთ დროს ჩემპიონობის ფავორიტთა რისხვა, ახალ ჩემპიონატს პირველ ლიგაში კი არა, მგონი, მეორეშიც ვერ დაიწყებს...**

წინა ჩემპიონატი გუნდმა რამდენიმე მწვრთნელის ხელში გაიარა - **გიორგი სუხიაშვილი, იგორ დენისკინი, ლერი გოგოლაძე, ჯუნგლი ქართველიშვილი**. ერთი ხანობა **ოთარ გაბელიაც** კი ჩაიყვანეს ბორჯომში, მაგრამ... უსახსრობის გამო გაბელიასა და ბორჯომელთა გზებიც მალე გაიყარა. ბოლოს კი გუნდს მწვრთნელი არ ჰყავდა და კლუბის დირექტორი **ვახტანგ მაისურაძე** ხელმძღვანელობდა ფეხბურთელებს. მწვრთნელთა ცვლილებით კლუბში სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა. პირიქით, უკუსვლა გაგრძელდა. ერთი სიტყვით, სამცხელთა გუნდის საქმე ისე წავიდა, როგორც აქამდე, სხვა ქართული კლუბებისა, რომლებიც ჟამთა სიავემ ქართული საკლუბო ფეხბურთის ორბიტიდან გააქრო თუ ჩაყლაპა - უკუსვლა, ნისიაზე თამაში, დავალიანების დაგროვება ფეხბურთელების მიმართ და საბოლოოდ გაკოტრება...

არადა ფინანსურად, გუნდს ცოტა მეტი ფული რომ ჰქონოდა, ალბათ უმაღლესი ლიგის განწირული აუტსაიდერიც აღარ იქნებოდა. „ბორჯომის" დირექტორმა ვახტანგ მაისურაძემ „ლელოსთან" ინტერვიუში დანანებით აღნიშნა:

*„ზამთრის პაუზამდე ცხრილში ქვედა ნაწილში კი ვიმყოფებოდით, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რაც მერე იყო, იმას ათასჯერ ჯობდა. ზამთრის პაუზისას გუნდი ფაქტობრივად დაგვეშალა... „ბორჯომი" გამოცდილმა ფეხბურთელებმა ქარქუზაშვილმა, ლაცაბიძემ დატოვა, ასევე გამოგვაკლდა მნიშვნელოვანი ძალა, ძმები ხორგუაშვილები, ახალგაზრდა ფორვარდი კიკნაძე, ნახევარმცველი ვაშაძე... სეზონი წვალებწვალებით ჩავამთავრეთ. არა და ის გუნდი რომ შეგვენარჩუნებინა, რომლითაც სეზონი დავიწყეთ, უმაღლესი ლიგიდან ნამდვილად არ გავვარდებოდით. იმ კარგი შემადგენლობით 12 ქულა მოვიპოვეთ, მერე კი მხოლოდ ქულა ავიღეთ. თავდაპირველი კონტინგენტით, შეგვეძლო მეტი ქულა აგველო. ცხინვალის „სპარტაკი" სტუმრად დავამარცხეთ, ზესტაფონში კარგად ვითამაშეთ, „მგლებთან" და „მესხეთთან" შინ მოგებაც შეგვეძლო. ასე კიდევ არაერთი თამაში ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ... ერთი სიტყვით, უსახსრობის გამო გუნდს წამყვანი ძალა გამოაკლდა, გაზაფხულიდან ბავშვების ამარად დავრჩით, რომლებიც მანადე ჭაბუკთა ლიგაში ასპარეზობდნენ. ფული რომ ყოფილიყო, ოთარ გაბელიასაც შევინარჩუნებდით და უმაღლესშიც დავრჩებოდით. ბავშვებით კი ჩემპიონატში მოვალეობის მოხდის მიზნით ვთამაშობდით".*

მაისურაძემ იმაზეც გააკეთა აქცენტი, თუ რა მისცა „ბორჯომმა" ქართულ ფეხბურთს:

*„გაზაფხულიდან ჭაბუკი მოთამაშეებით ვიასპარეზეთ ჩემპიონატში. შედეგიანობის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა ეს წამგებიანი იყო, მაგრამ ქართული ფეხბურთის მომავალზე რომ იყო გათვლა, ამაში ალბათ ყველა დაგვეთანხმება. ამის დასტურად მაგალითსაც მოგიყვანთ - გამოჩნდა ილია პავლიაშვილი, რომელიც „გაგრაში" გააგრძელებს კარიერას და კიდევ არაერთხელ დაამახსოვრებს თავს ქართული ფეხბურთის ქომაგებს. კარგად წარმოჩნდა ასევე ბაქარ ბაქრაძე... ზამთრის პაუზამდე, შედეგიანი თამაშით, ირაკლი კიკნაძემ მიიქცია ყურადღება, რომელიც ჩვენთან „ვიტ ჯორჯიადან" იყო განათხოვრებული. გარდა ამისა, ჭაბუკებმა უმაღლეს ლიგაში ასპარეზობით გამოცდილება შეიძინეს. იმ კონტინგენტიდან კიდევ არაერთი ფეხბურთელი ისახელებს თავს".*

საინტერესოა, თუ რა ვითარებაა ამჟამად „ბორჯომში" და საერთოდ - როგორი მომავალი აქვს კლუბს?

*„სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია - დღეს „ბორჯომი" ფაქტობრივად აღარ არსებობს. 3-4 წლის განმავლობაში მუდმივად მოწინავეთა ხუთეულში ვიყავით, ჩვენი გუნდი ფავორიტთა რისხვად ითვლებოდა... ნათქვამია, დრონი მეფობენ და მჯერა, მოვა დრო, „ბორჯომი" ისევ მრისხანე გუნდი იქნება და ჩვენ კიდევ არაერთ ლამაზ თამაშს, კარგ ფეხბურთელს ვაჩუქებთ ქართულ ფეხბურთს. მანამდე კი, გვინდა, როგორმე მცირედი სახსრები მაინც გამოინახოს, რათა მეორე ლიგაში მაინც ვიასპარეზოთ. 1993 წლებში დაბადებულთა შორის კარგი ჭაბუკები გვყავს. ეს თაობა ახლა 15-16 წლისაა. მჯერა, მათგან ერთ-ორ წელიდაში 3-4 ტალანტი მაინც გამოიკვეთება".*

**დავით ცაბაძე**

ქალთა ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა

# ხვალ გინტრასთან, შაბათს ბაიერნთან...



მიუნხენის ბაიერნის ქალთა გუნდი

დღეს ქალ ფეხბურთელთა ჩემპიონთა ლიგის გათამაშების საკვალიფიკაციო ეტაპი იწყება. ტურნირზე საქართველოს წარადგენს თბილისის „ნორჩი დინამოელი", რომლის თავკაციც **მამუკა სვანაძეა**. წილისყრამ კი ჯგუფის მეტოქეებად შიაულიაის (ლიტვა) „გინტრა", მიუნხენის „ბაიერნი" და შოტლანდიური „გლაზგო" გვარგუნა. მატჩებს შიაულიაი უმასპინძლებს. 1/16 ფინალში მხოლოდ პირველადგილოსანი გადის.

„ნორჩი დინამოელი" ლიტვაში გუშინ გაემგზავრა. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში იძულებითი ცვლილება მოხდა - სამწუხაროდ, ერთი დაშავებული მეკარე ლიტვაში ვერ გაემგზავრა და დავრჩით ერთი გოლკიპერის ამარა. „ნორჩი დინამოელის" განაცხადი ასეთია:

მეკარე - **თამარ ნადირაშვილი**; მცველები - **ნინო სუთიძე, თამარ ქველიძე, ნინო პასიკაშვილი, ნათია სხირტლაძე, თამთა მალიძე, ლალი შენგელია, გვანცა დოლიძე**; ნახევარმცველები - **თეონა თოდაძე, ლელა ჭიჭინაძე, თეონა ლონლაძე, ანა პოლოსიანი, სალომე ხუბულური, თამარ ტატუაშვილი, ნინო კოჭლამაზაშვილი**; თავდამსხმელები - **გულნარა გაბელია, ნინო გაფრინდაშვილი, თამარ კვალიაშვილი.**

დღეს „ნორჩი დინამოელი" მასპინძელ „გინტრას" ეთამაშება. მატჩი თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება. 1-ელ აგვისტოს სვანაძის გუნდს „ბაიერნთან" მოუწევს დაპირისპირება, 4 აგვისტოს კი „გლაზგოსთან".

**დავით ცაბაძე**

ქართველები ევროპის ლიგაში



# ქეცბაია: ფავორიტობა მოედანზე დავამტკიცეთ

## თემურის დებიუტი და მოგებული დუელი

ჩემპიონთა ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე **თემურ ქეცბაიას** დებიუტი შედგა ბერძნული „ოლიმპიაკოსის" მწვრთნელის რანგში. ქეცბაიას დებიუტი წარმატებული გამოდგა, თემურმა ბრატისლავაში დუელი მოუგო **დუშან უჰრინს**, „ოლიმპიაკოსმა" 2:0 დაამარცხა „სლოვანი" და ფაქტობრივად გაინაღდა შემდეგი ეტაპის საგზური. გოლები პირველ ტაიმშივე გავიდა, თავი **პაპადოპულოსმა** და **ლეონარდომ** გამოიჩინეს. *„ჩვენ ფავორიტები ვიყავით და ეს მოედანზე დავამტკიცეთ. საერთო ჯამში ძალიან კარგი თამაში გამოვიდა. ჩვენ ნორმალურად გამოვიყურებოდით პირველი ოფიციალური მატჩისთვის. მიზანს მივაღწიეთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საპასუხო მატჩიც გვაქვს გასამართი. სლოვაკები თავიანთ მე-4 ოფიციალურ მატჩს თამაშობდნენ, თუმცა მეტოქე ყველა კომპონენტში დავჩაგრეთ და დამსახურებულად მოვიგეთ".*

ამავე ტურნირში **ვაჟა თარხნიშვილის** „შერიფი" შინ 0:0 დაუზავდა პრაღის „სლავიას". ტირასპოლური კლუბის ქართველმა კაპიტანმა ძალზე საიმედოდ ითამაშა დაცვაში, ის პარტნიორებს შორეული პასებითაც ამარაგებდა, თუმცა საპასუხო მატჩის წინ ფავორიტი ჩეხეთის ჩემპიონია. აღვნიშნავთ „ვიტ ჯორჯიას" მძლეველი „მარიბორის" გასვლით გამარჯვებას „ციურიხთან" - 3:2. როგორც ჩანს, საქართველოს ჩემპიონს სავსებით რეალური შანსი ექნებოდა სლოვენიური ბარიერი რომ გადაელახა.

უნგრეთის ლიგის თასზე „დიორი ეტო" „ფეჰერვარს" ეწვია და 1:1 დაუზავდა. **რატი ალექსიძეს** არ უთამაშია. ეს ლიგის თასის მე-2 ეტაპის მატჩი იყო, გუნდებს საპასუხო შეხვედრა ელით. ქართველი ფორვარდი ჯერ არ გამოჩენილა ოფიციალურ მატჩებში, თუმცა საგანგაშო არაფერია, ლიგის თასზე „ეტო" შერეული შემადგენლობით თამაშობს და თავის გამოჩენის შანსი სარეზერვო გუნდის ფეხბურთელებსაც ეძლევათ.

რუსეთის პირველ დივიზიონში ტურის და, შესაძლოა, ჩემპიონატის ცენტრალური მატჩი გაიმართა. მახაჭყალაში კავკასიური დერბი „ანჟისა" და „ალანიას" შორის 0:0 დასრულდა. არადა „ანჟი" 66-ე წუთიდან რიცხობრივ უპირატესობაში იყო და ბევრი საგოლე მომენტიც შექმნა. **ომარ თეთრაძემ** სასტარტოში **გიორგი ნავალოვსკი, ედიკ საჯაია, ზურაბ არზიანი, ოთარ მარცვალაძე** და **სანდრო იაშვილი** ათამაშა. ყველა მათგანმა 90-90 წუთი ითამაშ: **კახა ალადაშვილი** სათადარიგო იყო, ხოლო **გოჩა ხოჯავა**, მოგეხსენებათ, ტრავმირებულია. „ალანიას", „ანჟის" და „შინიკს" 40-40 ქულა აქვთ. სხვა უახლოეს მდევრებს ეს სამეული 5-5 ქულით უსწრებს. მატჩს 14,2 ათასი მაყურებელი დაესწრო. *„ბიჭები ცენტრალურ მატჩს შესაბამისი განწყობით შეხვდნენ. სამწუხაროდ, მომენტების რეალიზაცია მოიკოჭლებს გუნდში. ალადაშვილი იმიტომ არ შემოვიყვანე, რომ მის პოზიციაზე ცორაევი ძალზე აქტიური იყო",* - განაცხადა თეთრაძემ მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ვაჟა თარხნიშვილი

რას წერენ ქართველებზე



# მესი საქართველოდან

## გაძეტა დელო სპორტი ჩვენს ტალანტზე

„გაძეტა დელო სპორტმა" ვრცელი მასალა გამოაქვეყნა, რომელიც მომავალ სეზონს და ახალგაზრდა ტალანტებს მიეძღვნა. ავტორიტეტულმა გამოცემამ მკითხველებს 30 ახალგაზრდა ფეხბურთელი წარუდგინა, რომლებისგანაც მომავალ სეზონში განსაკუთრებულ თამაშს ელიან. ჩვენდა სასიხარულოდ, ამ სიაში ქართველი ტალანტი, **ლევან ყენიაც** მოხვდა. მეტიც, „შალკეს" შუახაზელი იტალიელებმა ყველასგან გამოარჩიეს და მას ცალკე სტატია მიუძღვნეს. სათაური შთამბეჭდავია - „მესი საქართველოდან". ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გთავაზობთ „გაძეტას" სტატიას ქართველ ტალანტზე:

*„ლევან ყენია იმ ქვეყნის შვილია, სადაც დღეს მაინცდამაინც არ ეფეხბურთებათ. საქართველო მძიმე პრობლემების და პოლიტიკური გამოწვევების წინაშე დგას, თუმცა ეს ხელს არ უშლის ამ ქვეყანაში ახალგაზრდა ტალანტების აღზრდის პროცესს. დიახ, მან სწორედ საქართველოში დაიწყო ფეხბურთის თამაში, ისევე როგორც „პალერმოს" უნიჭიერესმა ფორვარდმა, **ლევან მჭედლიძემ**. ყენია თბილისის „დინამოს" ბავშვთა გუნდებში გამორჩეული იყო, შემდეგ „ლოკომოტივში" გადავიდა და იქ მიიქცია ევროპელი სკაუტების ყურადღება. დაახლოებით სამი წლის წინ, მისით „ბარსელონა" დაინტერესდა, მოლაპარაკებებიც თითქოს კარგად მიდიოდა, თუმცა ბოლო მომენტში გარიგება ჩაიშალა. როგორც ჩანს, „ლოკომოტივის" მესვეურებს „ბარსელონას" შეთავაზება არ მოეწონათ, ან კატალონიელების ინტერესი არ იყო სათანადოდ სერიოზული.*

*ყენია ევროპაში რომ წავიდოდა, ცხადზე ცხადი იყო და სულ მალე მისით „შალკე" დაინტერესდა. ქართველი ტალანტი ბიძამისის, **გიორგი კიკნაძის** მსგავსად გერმანიაში გაემგზავრა და სწორედ იქ შეეცდება დიდ საფეხბურთო კარიერაში პირველი ნაბიჯების გადადგმას. ვშიშობთ, გიორგი კიკნაძე **გიორგი ქინქლაძეში** აგერევათ და აქვე განვიმარტავთ, რომ ორ სხვადასხვა ფეხბურთელზე გვაქვს ლაპარაკი. კიკნაძე „ფრაიბურგში" თამაშობდა, საკმაოდ ტექნიკური ფეხბურთელი იყო, თუმცა ბუნდესლიგაში განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიუღწევია. ქინქლაძე კი ინგლისში, „მანჩესტერ სიტიში" ასპარეზობდა და დღემდე, ამ გუნდის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევა.*

*დავუბრუნდეთ ყენიას, რომელიც ახლა იწყებს ნამდვილ საკლუბო კარიერას. „შალკეში" ლევანი 2008 წლის იანვარში გადავიდა, თუმცა საწყის თვეებში მხოლოდ დუბლშემადგენლობაში ვარჯიშობდა. არა იმიტომ, რომ მთავარი გუნდის დონეზე თამაშს ვერ შეძლებდა, უბრალოდ, არასრულწლოვანი გახლდათ და ამის უფლება არ ჰქონდა. გერმანიაში არაევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებზე განსაკუთრებული შეზღუდვებია და ყენიაც ამის მსხვერპლი გახდა. თუმცა, ეს ყველაფერი წარსულია - დღეს, ლევანი მთავარი გუნდის სრულფასოვანი წევრია და მომავალ სეზონში მისგან ბევრს ველოდებით.*

*თავის დროზე, „შალკემ" ქართველ ტალანტში დაახლოებით ნახევარი მილიონი ევრო გადაიხადა და ვფიქრობთ, ძალიან სწორადაც მოიქცა. ჩვენი გათვლებით, უკვე ერთი წლის თავზე, ყენიას ფასი მინიმუმ ხუთი მილიონი ევრო იქნება. შესაძლოა, თქვენ ახლა გაკვირვებული სახე გაქვთ და სვამთ კითხვას - რას თამაშობს ასეთს ეს ყენია? - კი ბატონო, ვეცდებით დაგიხასიათოთ: ლევანი მემარცხენეა, ძალიან ტექნიკური გახლავთ და შესაბამისად, უზადოდ ფლობს ბურთს. მოედნის იდეალური ხედვა აქვს, დრიბლინგის ოსტატია და ძალიან სწრაფად დარბის. მისი დაჭერა ნებისმიერი მცველისთვის პრობლემაა, რადგან არაპროგნოზირებადია და როდის რას მოიმოქმედებს, მხოლოდ ღმერთმა იცის. მოკლედ, ამ ყველაფერს მხოლოდ ორი სიტყვა უნდა დავამატოთ - **მესი საქართველოდან**. შესაძლოა ბევრს ასეთი შედარება ნაადრევი ეჩვენება, მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ თუ ყენია მოინდომებს, სულ მალე მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მოგვევლინება".*

**ლაშა ნიკლაური**

შალკე. მედლის მეორე მხარე

# ფელიქს მაგათი: თამაში ცეცხლთან

## არანაირი პანიკა! გთხოვთ, არანაირი პანიკა!

**ნაგებები ტესტმატჩებში, სავსე ლაზარეთი და უფულობა: თამამად ვიტყვით, „შალკეს" მთავარი მწვრთნელი ფელიქს მაგათი დიდ გასაჭირშია. მიუხედავად ამისა, „დესპოტი ფელიქსი" მაინც მინიმუმ ევროლიგის საგზურზე საუბრობს და გულშემატკივრებს იმედიანად განაწყობს. თამამად ვიტყვით: მაგათი რისკზე მიდის...**

სხვა გერმანულ კლუბებთან ერთად, ახალი სეზონისთვის „შალკეც" დიდი მონდომებით ემზადება, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ გელზენკირხენული კლუბის მოსამზადებელი პერიოდი წარმატებულია. თავად განსაჯეთ, **ლევან კობიაშვილისა** და **ლევან ყენიას** გუნდმა ზედიზედ სამი ტესტმატჩი წააგო და ამასაც რომ თავი დავანებოთ, მაგათს არ აქვს იმის ფული, გუნდი ისე გააძლიეროს, როგორც თვითონ უნდა. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, „შალკეს" მწვრთნელ-მენეჯერი მაინც საუკეთესო ხუთეულში მოხვედრაზე ლაპარაკობს. *„ჩვენ ევროპაში დავბრუნდებით,"* - თქვა **ფელიქს მაგათმა** კვირას, 100 000 გულშემატკივრის თვალწინ.

აღსანიშნავია, რომ „ვოლფსბურგსა" და თვით „ბაიერნშიც" მუშაობის დროსაც კი მაგათი გაცილებით თავდაჭერილი იყო და სეზონის წინ არასდროს ამბობდა, აუცილებლად ამა და ამ მიზანს მივაღწევთო. „შალკეში" კი გაცილებით თავდაჯერებული ჩანს და ზოგიერთი ექსპერტი უკვე ამბობს კიდეც, ფელიქსს „შალკეს" მარადიული ავადმყოფობა გადაედოო - ეს გუნდი ხომ ყოველთვის დიდ მიზნებს ისახავს, მაგრამ აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, გერმანიის ჩემპიონი არ გამხდარა.

მაგათის თქმით, „შალკე" ახალი სეზონისთვის მზადაა. *„ყველაფრისთვის მზად ვართ. ყველანაირად ვეცდები, რომ ემოციებს არ ავყვე და მშვიდად ვიმუშაო, რათა უახლოეს მომავალში „ვერცხლის სინიც" ავწიოთ,"* - უთხრა მაგათმა ფანებს. „დესპოტი ფელიქსი" „შალკეს" ფანტასტიკურ და ფანატიკურ ქომაგებს ძალიან კარგად იცნობს და მათ დამშვიდებას ისე არ ცდილობს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. არანაირი პანიკა, ძალიან გთხოვთ, არანაირი პანიკაო, - დაახლოებით ასე გამოსდის „შალკეს" მწვრთნელს, რომელმაც მიზნად მინიმუმ მეხუთე ადგილის დაკავება დაისახა. თუმცა მან ისიც არ უნდა დაივიწყოს, რომ სხვა არც ერთ გერმანულ კლუბში არ გადაედება ხოლმე გულშემატკივრების განწყობა ფეხბურთელებს ისე, როგორც „შალკეში". თვით „ბაიერნშიც" კი არ მოქმედებს ფანების ზეწოლა ფეხბურთელებზე ისე, როგორც „შალკეში".

გელზენკირხენელებმა ბოლო სამი ტესტმატჩიდან სამივე წააგეს: ბერლინის „უნიონთან" 1:2, „შტუტგარტთან" - 0:1 და „ბაიერნთან" - 1:2. მანამდე, „ხუმარებმა" „ტვენტესთან" 0:0 ითამაშეს, ვენის „რაპიდს" კი 2:1 მოუგეს. „შალკემ" სხვა ამხანაგური შეხვედრებიც ჩაატარა, მაგრამ არც ერთი მათგანი სათვალავში ჩასაგდები არ არის, რადგან ძალიან სუსტი მეტოქეები ჰყავდა – ხან მეექვსე და ხანაც მეშვიდე ლიგიდან. ერთი სიტყვით, ბალანსი უარყოფითია, რასაც მაგათი ასე ხსნის: *„ვარჯიშები ძალიან მძიმე იყო და ფეხბურთელები გადაღლილები იყვნენ. თუ ჩემს კარიერას გადახედავთ, სეზონისწინა მოსამზადებელ პერიოდში ჩემი გუნდები არასდროს აჩვენებდნენ საუკეთესო შედეგებს. ეს ინტენსიური ვარჯიშების ბრალია".*

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მაგათს ყველაზე დიდი ვაკუუმი ნახევარდაცვაში აქვს და რაც ყველაზე მთავარია, ბოსები ახალი კრეატიული ნახევარმცველების შესაძენად ფულს არ (ვერ) აძლევენ. სეზონის დასაწყისში საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციების შესრულება **ჰაიკო ვესტერმანს** მოუწევს. მართალია, ეს ფეხბურთელიც საკმაოდ დინამიკურია და ორთაბრძოლებშიც ისევე ვაჟკაცურად შედის, როგორც **ჯერმეინ ჯონსი**, რომელიც ახლა ტრავმირებულია, მაგრამ ცნობილია, რომ ვესტერმანი ცენტრალური მცველის პოზიციაზე უფრო კარგად თამაშობს. ამხანაგურ მატჩებში გამოჩნდა, რომ ვესტერმანს საყრდენი შუამარბის როლის შესრულება შეუძლია, მაგრამ ტაქტიკურად ძალიან იტვირთება.

ფლეიმეიკერის პოზიციაზე მაგათს **ივან რაკიტიჩის** იქით გზა არ აქვს. მართალია, ეს უკანასკნელი მხოლოდ 21 წლისაა, მაგრამ გელზენკირხენული კლუბის ნახევარდაცვაში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი დირიჟორია. რაკიტიჩმა ტრავმა მალე მოიშუშა და ისევ მწყობრშია. ნახევრად მემარცხენე ნახევარმცველის პოზიციაზე მაგათი სავარაუდოდ 18 წლის **ლუის ჰოლტბის** გამოუცხადებს ნდობას. ეს ფეხბურთელი „შალკემ" აახენის „ალემანიადან" იყიდა და ჰოლტბი გუნდის ერთადერთი ტოპახალწვეულია. მაგათი კი ამბობს, ბუნდესლიგისთვის ჯერ სრულად მზად არ არისო, მაგრამ ამხანაგურ შეხვედრებშიც გამოჩნდა, რომ ამ პოზიციაზე ფელიქსი სწორედ ჰოლტბის ანიჭებს უპირატესობას.

რაც შეეხება ნახევრად მემარჯვენე ნახევარმცველის პოზიციას. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ **ალბერტ შტრაიტი** და **კარლოს გროსმიულერი** ფაქტობრივად ჩამოწერილები არიან და მაგათს ერთი სული აქვს, როდის მოიშორებს ამ ფეხბურთელებს, ამ ადგილზე თამაშისთვის ერთბაშად 4 ისეთი ფეხბურთელი აცხადებს პრეტენზიას, რომელთაგან ყველა 22 წელზე პატარაა: 19 წლის **იან მორავეკი**, 19 წლის **დანი ლატცა**, 21 წლის **ვასილიოს პლიატსიკასი** და 18 წლის **ლევან ყენია**. დიახ, მაგათმა ქართველი ტალანტი სწორედ ამ პოზიციაზე გამოცადა და ყენიასაც თავი არ შეურცხვენია. თანაც, ვერ ვიტყვით, რომ ძალიან სერიოზული კონკურენტები ჰყავს.

როგორც ხედავთ, მაგათის ყველაზე პრობლემატური შუა ხაზია. სწორედ ამიტომ გაამწესა მან „უნიონთან" ვესტერმანისა და **ბენედიქტ ჰიოვედესის** სახით ორი მცველი საყრდენების პოზიციაზე. ფელიქსისთვის უმთავრესი ამოცანა ნახევარდაცვაში ბალანსის პოვნაა. ეს კი ისეთი ამოცანაა, რომელიც თავის დროზე ვერც **ფრედ რუტენმა** შეასრულა და ვერც **მირკო სლომკამ**. გელზენკირხენელებს ყოველთვის ჰყავდათ შემოქმედი, საკმაოდ კარგი ნახევარმცველები, რომლებიც ვერასდროს ამარაგებდნენ ფორვარდებს. თავდასხმა კი ცხადია, ნახევარდაცვაზეა დამოკიდებული.

წინა ხაზში, ორი ადგილისთვის სამი მოთამაშე იბრძვის: **ჰალილ ალთინთოფი, კევინ კურანი** და **ჯეფერსონ ფარფანი**. ამ სამეულიდან იმას ექნება ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული, ვინც მაგათს დაარწმუნებს, რომ კონკურენტებზე უკეთ შეუძლია, მომენტი საკუთარ თავს თვითონვე შეუქმნას.

დაცვის მარცხენა ფლანგზე თითქმის ყველა თამაშში კობიაშვილი იდგა და ჩვენი გერმანელი კოლეგები ამტკიცებენ, რომ მაგათისთვის ეს გადაწყვეტილება ნაძალადევია და იმით არის გამოწვეული, რომ **კრისტიან პანდერია** დაშავებული. „დესპოტი ფელიქსი" ლევანის ადგილს ნახევარდაცვაში უფრო ხედავს. კობის გარდა, მარცხენა მცველის პოზიციაზე მან ერთ-ორ მატჩში იან მორავეკიც ათამაშა, რომელიც ასევე არ არის მცველი.

ერთი რამ ფაქტია: თუ „შალკემ" ახალ სეზონში ხეირიანი სტარტი ვერ აიღო, მაგათის მისვლით გამოწვეული ეიფორია გუნდს ძალიან მალე პირიქით შემოუტრიალდება. *„გუნდი გარდატეხის სტადიაშია და სანამ საუკეთესო ფორმაში შევალთ, საკმაოდ დიდი დრო დაგვჭირდება. შეიძლება, ეს პროცესი მეორე წრემდეც კი გაგრძელდეს,"* - თავს იზღვევს ფელიქსი. ამრიგად, „შალკეს" დევიზი ამ ეტაპზე ასეთია: არანაირი პანიკა!



**გოტფრიდ ლენცი**

# უცხოური ფეხბურთი

## იტალია. სერია A 2009/10 კალენდარი

### I წრე

**I ტური**

**22/23 აგვისტო. 2009**

ბოლონია-ფიორენტინა
კატანია-სამპდორია
ჯენოა-რომა
ინტერი-ბარი
იუვენტუსი-კიევო
ლაციო-ატალანტა
ლივორნო-კალიარი
პალერმო-ნაპოლი
სიენა-მილანი
უდინეზე-პარმა

**II ტური**

**30 აგვისტო**

ატალანტა-ჯენოა
ბარი-ბოლონია
კალიარი-სიენა
კიევო-ლაციო
ფიორენტინა-პალერმო
მილანი-ინტერი
ნაპოლი-ლივორნო
პარმა-კატანია
რომა-იუვენტუსი
სამპდორია-უდინეზე

**III ტური**

**13 სექტემბერი**

ატალანტა-სამპდორია
ბოლონია-კიევო
ფიორენტინა-კალიარი
ჯენოა-ნაპოლი
ინტერი-პარმა
ლაციო-იუვენტუსი
ლივორნო-მილანი
პალერმო-ბარი
სიენა-რომა
უდინეზე-კატანია

**IV ტური**

**20 სექტემბერი**

ბარი-ატალანტა
კალიარი-ინტერი
კატანია-ლაციო
კიევო-ჯენოა
იუვენტუსი-ლივორნო
მილანი-ბოლონია
ნაპოლი-უდინეზე
პარმა-პალერმო
რომა-ფიორენტინა
სამპდორია-სიენა

**V ტური**

**23 სექტემბერი**

ატალანტა-კატანია
ბარი-კალიარი
ბოლონია-ლივორნო
ფიორენტინა-სამპდორია
ჯენოა-იუვენტუსი
ინტერი-ნაპოლი
ლაციო-პარმა
პალერმო-რომა
სიენა-კიევო
უდინეზე-მილანი

**VI ტური**

**27 სექტემბერი**

კატანია-რომა
კიევო-ატალანტა
იუვენტუსი-ბოლონია
ლაციო-პალერმო
ლივორნო-ფიორენტინა
მილანი-ბარი
ნაპოლი-სიენა
პარმა-კალიარი
სამპდორია-ინტერი
უდინეზე-ჯენოა

**VII ტური**

**4 ოქტომბერი**

ატალანტა-მილანი
ბარი-კატანია
ბოლონია-ჯენოა
კალიარი-კიევო
ფიორენტინა-ლაციო
ინტერი-უდინეზე
პალერმო-იუვენტუსი
რომა-ნაპოლი
სამპდორია-პარმა
სიენა-ლივორნო

**VIII ტური**

**18 ოქტომბერი**

კატანია-კალიარი
კიევო-ბარი
ჯენოა-ინტერი
იუვენტუსი-ფიორენტინა
ლაციო-სამპდორია
ლივორნო-პალერმო
მილანი-რომა
ნაპოლი-ბოლონია
პარმა-სიენა
უდინეზე-ატალანტა

**IX ტური**

**25 ოქტომბერი**

ატალანტა-პარმა
ბარი-ლაციო
კალიარი-ჯენოა
კიევო-მილანი
ფიორენტინა-ნაპოლი
ინტერი-კატანია
პალერმო-უდინეზე
რომა-ლივორნო
სამპდორია-ბოლონია
სიენა-იუვენტუსი

**X ტური**

**28 ოქტომბერი**

ბოლონია-სიენა
კატანია-კიევო
ჯენოა-ფიორენტინა
ინტერი-პალერმო
იუვენტუსი-სამპდორია
ლაციო-კალიარი
ლივორნო-ატალანტა
ნაპოლი-მილანი
პარმა-ბარი
უდინეზე-რომა

**XI ტური**

**1 ნოემბერი**

კალიარი-ატალანტა
კიევო-უდინეზე
ფიორენტინა-კატანია
იუვენტუსი-ნაპოლი
ლივორნო-ინტერი
მილანი-პარმა
პალერმო-ჯენოა
რომა-ბოლონია
სამპდორია-ბარი
სიენა-ლაციო

**XII ტური**

**8 ნოემბერი**

ატალანტა-იუვენტუსი
ბარი-ლივორნო
ბოლონია-პალერმო
კალიარი-სამპდორია
კატანია-ნაპოლი
ჯენოა-სიენა
ინტერი-რომა
ლაციო-მილანი
პარმა-კიევო
უდინეზე-ფიორენტინა

**XIII ტური**

**22 ნოემბერი**

ბოლონია-ინტერი
ფიორენტინა-პარმა
იუვენტუსი-უდინეზე
ლივორნო-ჯენოა
მილანი-კალიარი
ნაპოლი-ლაციო
პალერმო-კატანია
რომა-ბარი
სამპდორია-კიევო
სიენა-ატალანტა

**XIV ტური**

**29 ნოემბერი**

ატალანტა-რომა
ბარი-სიენა
კალიარი-იუვენტუსი
კატანია-მილანი
კიევო-პალერმო
ჯენოა-სამპდორია
ინტერი-ფიორენტინა
ლაციო-ბოლონია
პარმა-ნაპოლი
უდინეზე-ლივორნო

**XV ტური**

**6 დეკემბერი**

ბოლონია-უდინეზე
ფიორენტინა-ატალანტა
ჯენოა-პარმა
იუვენტუსი-ინტერი
ლივორნო-კიევო
მილანი-სამპდორია
ნაპოლი-ბარი
პალერმო-კალიარი
რომა-ლაციო
სიენა-კატანია

**XVI ტური**

**13 დეკემბერი**

ატალანტა-ინტერი
ბარი-იუვენტუსი
კალიარი-ნაპოლი
კატანია-ლივორნო
კიევო-ფიორენტინა
ლაციო-ჯენოა
მილანი-პალერმო
პარმა-ბოლონია
სამპდორია-რომა
სიენა-უდინეზე

**XVII ტური**

**20 დეკემბერი**

ბოლონია-ატალანტა
ფიორენტინა-მილანი
ჯენოა-ბარი
ინტერი-ლაციო
იუვენტუსი-კატანია
ლივორნო-სამპდორია
ნაპოლი-კიევო
პალერმო-სიენა
რომა-პარმა
უდინეზე-კალიარი

**XVIII ტური**

**6 იანვარი. 2010**

ატალანტა-ნაპოლი
ბარი-უდინეზე
კალიარი-რომა
კატანია-ბოლონია
კიევო-ინტერი
ლაციო-ლივორნო
მილანი-ჯენოა
პარმა-იუვენტუსი
სამპდორია-პალერმო
სიენა-ფიორენტინა

**XIX ტური**

**10 იანვარი**

ბოლონია-კალიარი
ფიორენტინა-ბარი
ჯენოა-კატანია
ინტერი-სიენა
იუვენტუსი-მილანი
ლივორნო-პარმა
ნაპოლი-სამპდორია
პალერმო-ატალანტა
რომა-კიევო
უდინეზე-ლაციო

### II წრე

**XX ტური**

**17 იანვარი. 2009**

ფიორენტინა-ბოლონია
სამპდორია-კატანია
რომა-ჯენოა
ბარი-ინტერი
კიევო-იუვენტუსი
ატალანტა-ლაციო
კალიარი-ლივორნო
ნაპოლი-პალერმო
მილანი-სიენა
პარმა-უდინეზე

**XXI ტური**

**24 იანვარი**

ჯენოა-ატალანტა
ბოლონია-ბარი
სიენა-კალიარი
ლაციო-კიევო
პალერმო-ფიორენტინა
ინტერი-მილანი
ლივორნო-ნაპოლი
კატანია-პარმა
იუვენტუსი-რომა
უდინეზე-სამპდორია

**XXII ტური**

**31 იანვარი**

სამპდორია-ატალანტა
კიევო-ბოლონია
კალიარი-ფიორენტინა
ნაპოლი-ჯენოა
პარმა-ინტერი
იუვენტუსი-ლაციო
მილანი-ლივორნო
ბარი-პალერმო
რომა-სიენა
კატანია-უდინეზე

**XXIII ტური**

**7 თებერვალი**

ატალანტა-ბარი
ინტერი-კალიარი
ლაციო-კატანია
ჯენოა-კიევო
ლივორნო-იუვენტუსი
ბოლონია-მილანი
უდინეზე-ნაპოლი
პალერმო პარმა
ფიორენტინა-რომა
სიენა-სამპდორია

**XXIV ტური**

**14 თებერვალი**

კატანია-ატალანტა
კალიარი-ბარი
ლივორნო-ბოლონია
სამპდორია-ფიორენტინა
იუვენტუსი-ჯენოა
ნაპოლი-ინტერი
პარმა-ლაციო
რომა-პალერმო
კიევო-სიენა
მილანი-უდინეზე

**XXV ტური**

**21 თებერვალი**

რომა-კატანია
ატალანტა-კიევო
ბოლონია-იუვენტუსი
პალერმო-ლაციო
ფიორენტინა-ლივორნო
ბარი-მილანი
სიენა-ნაპოლი
კალიარი-პარმა
ინტერი-სამპდორია
ჯენოა-უდინეზე

**XXVI ტური**

**28 თებერვალი**

მილანი-ატალანტა
კატანია-ბარი
ჯენოა-ბოლონია
კიევო-კალიარი
ლაციო-ფიორენტინა
უდინეზე-ინტერი
იუვენტუსი-პალერმო
ნაპოლი-რომა
პარმა-სამპდორია
ლივორნო-სიენა

**XXVII ტური**

**7 მარტი**

კალიარი-კატანია
ბარი-კიევო
ინტერი-ჯენოა
ფიორენტინა-იუვენტუსი
სამპდორია-ლაციო
პალერმო-ლივორნო
რომა-მილანი
ბოლონია ნაპოლი
სიენა-პარმა
ატალანტა-უდინეზე

**XXVIII ტური**

**14 მარტი**

პარმა-ატალანტა
ლაციო-ბარი
ჯენოა-კალიარი
მილანი-კიევო
ნაპოლი-ფიორენტინა
კატანია-ინტერი
უდინეზე-პალერმო
ლივორნო-რომა
ბოლონია-სამპდორია
იუვენტუსი-სიენა

**XXIX ტური**

**21 მარტი**

სიენა-ბოლონია
კიევო-კატანია
ფიორენტინა-ჯენოა
პალერმო-ინტერი
სამპდორია-იუვენტუსი
კალიარი-ლაციო
ატალანტა-ლივორნო
მილანი-ნაპოლი
ბარი-პარმა
რომა-უდინეზე

**XXX ტური**

**24 მარტი**

ატალანტა-კალიარი
უდინეზე-კიევო
კატანია-ფიორენტინა
ნაპოლი-იუვენტუსი
ინტერი-ლივორნო
პარმა-მილანი
ჯენოა-პალერმო
ბოლონია-რომა
ბარი-სამპდორია
ლაციო-სიენა

**XXXI ტური**

**28 მარტი**

იუვენტუსი-ატალანტა
ლივორნო-ბარი
პალერმო-ბოლონია
სამპდორია-კალიარი
ნაპოლი-კატანია
სიენა-ჯენოა
რომა-ინტერი
მილანი-ლაციო
კიევო-პარმა
ფიორენტინა-უდინეზე

**XXXII ტური**

**4 აპრილი**

ინტერი-ბოლონია
პარმა-ფიორენტინა
უდინეზე-იუვენტუსი
ჯენოა-ლივორნო
კალიარი-მილანი
ლაციო-ნაპოლი
კატანია-პალერმო
ბარი-რომა
კიევო-სამპდორია
ატალანტა-სიენა

**XXXIII ტური**

**11 აპრილი**

რომა-ატალანტა
სიენა-ბარი
იუვენტუსი-კალიარი
მილანი-კატანია
პალერმო-კიევო
სამპდორია-ჯენოა
ფიორენტინა-ინტერი
ბოლონია-ლაციო
ნაპოლი-პარმა
ლივორნო-უდინეზე

**XXXIV ტური**

**18 აპრილი**

უდინეზე-ბოლონია
ატალანტა-ფიორენტინა
პარმა-ჯენოა
ინტერი-იუვენტუსი
კიევო-ლივორნო
სამპდორია-მილანი
ბარი-ნაპოლი
კალიარი-პალერმო
ლაციო-რომა
კატანია-სიენა

**XXXV ტური**

**25 აპრილი**

ინტერი-ატალანტა
იუვენტუსი-ბარი
ნაპოლი-კალიარი
ლივორნო-კატანია
ფიორენტინა-კიევო
ჯენოა-ლაციო
პალერმო-მილანი
ბოლონია-პარმა
რომა-სამპდორია
უდინეზე-სიენა

**XXXVI ტური**

**2 მაისი**

ატალანტა-ბოლონია
მილანი-ფიორენტინა
ბარი-ჯენოა
ლაციო-ინტერი
კატანია-იუვენტუსი
სამპდორია-ლივორნო
კიევო-ნაპოლი
სიენა-პალერმო
პარმა-რომა
კალიარი-უდინეზე

**XXXVII ტური**

**9 მაისი**

ნაპოლი-ატალანტა
უდინეზე-ბარი
რომა-კალიარი
ბოლონია-კატანია
ინტერი-კიევო
ლივორნო-ლაციო
ჯენოა-მილანი
იუვენტუსი-პარმა
პალერმო-სამპდორია
ფიორენტინა-სიენა

**XXXVIII ტური**

**16 მაისი**

კალიარი-ბოლონია
ბარი-ფიორენტინა
კატანია-ჯენოა
სიენა-ინტერი
მილანი-იუვენტუსი
პარმა-ლივორნო
სამპდორია-ნაპოლი
ატალანტა-პალერმო
კიევო-რომა
ლაციო-უდინეზე

## აუდის თასი



# დიდი ფინალი: მანჩესტერი-ბაიერნი!

**მანჩესტერ იუნ-ბოკა 2:1**

**მანჩესტერ იუნაიტედი:** კუშჩაკი - და სილვა (77. ევრა), კეთკერტი, ბრაუნი (35. ფერდინანდი), ოში - პარკი (67. ბერბატოვი), კერიკი (77. სქოულზი), ანდერსონი (77. ფლეტჩერი), ვალენსია (67. გიგზი) - მაკედა (67. ნანი), რუნი.

**ბოკა ხუნიორსი:** აბონდანსიერი - მორელი, ფორლინი, კასერესი, სოტო - ინსუა (68. ხენტანი), ბატალია, რიკელმე (88. მარინო), დიასი (46. ჩავესი) - პალერმო (82. ვიატრი), ნოირი (46. მუჩე).

**გოლები:** 1:0 ანდერსონი (21), 2:0 ვალენსია (42), 2:1 ინსუა (55)

**მაყურებელი:** 61 000

**ბაიერნი-მილანი 4:1**

**ბაიერნი:** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი (64. დემიკელისი), ბადშტუბერი (64. ბრენო), ბრააფჰაიდი (46. შვაინშტაიგერი) - ჰამით ალტინთოფი (64. ტიმოშჩუკი), ვან ბომელი (64. ოტლი), სოსა (64. ბაუმიოჰანი), პრანჯიჩი - მიულერი, გომესი (80. სენე).

**მილანი:** სტორარი - ძამბროტა (74. კალაძე), ნესტა (64. ონიევუ), ტიაგო სილვა (74. დი ჯენარო), ფავალი (64. ოდო) - აბატე (74. ანტონინი), ფლამინი, პირლო, იანკულოვსკი (46. გატუზო) - რონალდინიო (46. ბორიელო), პატო.

**გოლები:** 1:0 მიულერი (12), 2:0 შვაინშტაიგერი (79), 2:1 პირლო (81), 3:1 სენე (89), 4:1 მიულერი (90)

**მაყურებელი:** 61 000

„აუდის“ ასწლიან იუბილესთან დაკავშირებით, მიუნხენში „აუდის“ თასი ტარდება. ეს გახლავთ ოთხთა ტურნირი, რომელშიც მიუნხენის „ბაიერნის“ გარდა, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „მილანი“ და „ბოკა ხუნიორსი“ მონაწილეობენ. გუშინ ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართა, დღეს კი მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალი შედგება.

პირველი ფინალისტი ინგლისის ჩემპიონისა და არგენტინული გრანდის დაპირისპირებამ გამოავლინა. **ალექს ფერგიუსონის** გუნდმა ძალიან საინტერესო შეხვედრაში „ბოკა“ 2:1 დაამარცხა. ალსანიშნავია, რომ ფერგიუსონმა მოედანზე ექსპერიმენტული შემადგენლობა გაიყვანა, თუმცა არც ძირითადი ვარსკვლავები დაასვენა. ასე მაგალითად, მანჩესტერელთა ძირითად შემადგენლობაში, თავდასხმაში **უეინ რუნისთან**, ერთად ახალგაზრდა იტალიელი თავდამსხმელი **ფედერიკო მაკედა** ვიხილეთ. ფერგიმ მეორე ტაიმში **ფერდინანდი, ბერბატოვი, გიგზი, ევრა** და **სქოულზიც** ათამაშა. „იუნაიტედი“ 23-ე წუთზე ბრაზილიელმა **ანდერსონმა** შესანიშნავი საჯარიმო დარტყმით დააწინაურა. მეორე გოლი კი ახალწვეულ **ანტონიო ვალენსიას** ანგარიშზეა, რომელიც მარჯვენა ნახევარმცველი გახლავთ და რომელიც შეეცდება, „მანჩესტერში“ **კრისტიანო რონალდო** შეცვალოს. არგენტინელთაგან ანგარიშში სხვაობა **ფედერიკო ინსუამ** შეამცირა, მაგრამ „ბოკამ“ მეტი ველარაფერი შეძლო და იმის იმედიღა უნდა ჰქონდეს, რომ მესამე ადგილს დაიკავებს.

რაც შეეხება მეორე ნახევარფინალურ მატჩს: „ბაიერნმა“ „მილანი“ 4:1 გაანადგურა. საინტერესო ის არის, რომ ბავარიელთა მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ვან გაალმა** ძირითად შემადგენლობაში **ანატოლი ტიმოშჩუკი** არ ათამაშა. სამაგიეროდ, რეკორდმაისტერის სასტარტოში, წინა ხაზში **მარიო გომესთან** ერთად ახალგაზრდა **თომას მიულერი** ვიხილეთ, ხოლო დაცვის ცენტრში კი **ჰოლგერ ბადშტუბერი**. ორივე მათგანმა ძალიან კარგად ითამაშა. მიუნხენელებმა ანგარიში მე-11 წუთზე გახსნეს, როცა **ალტინთოფისა** და **სოსას** ჩინებული კომბინაცია სწორედ მიულერმა დააგვირგვინა. უნდა ითქვას, რომ „მილანმა“ მთელი მატჩის განმავლობაში ვერ იპოვა თავისი თამაში. ესეც იმითაც აიხსნება, რომ „როსონერი“, რეკორდმაისტერისგან განსხვავებით, ჯერ კიდევ ვერ არის კარგ ფორმაში - იტალიაში სეზონი ხომ აგვისტოს ბოლოს იწყება. ვან გაალის შეგირდები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ და ამდენად, მათი გამარჯვება აბსოლუტურად დამსახურებულია.

საუკეთესო ფორმისგან აშკარად ძალიან შორსაა **ალესანდრო ნესტაც**, რაც „ბაიერნის“ ნებისმიერი შეტევის დროს იგრძნობოდა. მიუნხენელებს ყველა შანსი რომ გამოეყენებინათ, პირველი ტაიმის შემდეგ 1:0-ზე გაცილებით დიდი ანგარიში იქნებოდა. ბავარიელები მეორე ტაიმშიც ფლობდნენ უპირატესობას, რაც ანგარიშში ბოლოს მაინც აისახა. 79-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა **ბასტიან შვაინშტაიგერმა** სხვაობა ორამდე გაზარდა და მართალია, **ანდრეა პირლომ** ჯარიმით ერთი ბურთი გაქვითა, მაგრამ მატჩის მიწურულს მიუნხენელებმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს: ჯერ მოყვარულთა გუნდიდან აყვანილმა **სენემ** იხეირა (89), მერე კი ისევ მიულერმა, რომელმაც დუბლი გაიფორმა. საქართველოს ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** „მილანის“ რიგებში მეორე ტაიმში გამოჩნდა.

ასე რომ, დღეს მესამე ადგილისთვის გასამართ შეხვედრაში ერთმანეთს „მილანი“ და „ბოკა“ დაუპირისპირდებიან, ხოლო ფინალში კი, „აუდის“ თასისთვის „ბაიერნი“ და „მანჩესტერი“ იბრძოლებენ.

**გოტფრიდ ლენცი**

კომპეტენტური აზრი

სერ ალექს ფერგიუსონი



# ფერგი: რეალს ბარსა სჯობს

„მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი **სერ ალექს ფერგიუსონი**, მადრიდის „რეალს" მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ფავორიტად არ მიიჩნევს. ფერგიმ თქვა:

*„წარმოდგენა არ მაქვს, როგორ აპირებს მადრიდელთა მწვრთნელი მანუელ პელეგრინი გუნდის მართვას. შემადგენლობა ხომ აშკარად დაუბალანსებელი ჰყავს. კრისტიანო რონალდოს წასვლის წინ ვუთხარი, მგონი შუა ნახევარმცველად მოგიწევს თამაში, რადგან ამ ამპლუის კაცი ერთიც არ უნდა ჰყავდეთ მეთქი".*

მოგეხსენებათ, ამ ზაფხულს „რეალმა" რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა. კერძოდ, „მილანისგან" 56 მილიონ გირვანქად **კაკა** იყიდა, „ლიონისგან" 42 მილიონად **ქარიმ ბენზემა**, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედისგან" 80 მილიონად ზემოხსენებული რონალდო.

ფერგიუსონმა განაგრძო: *„პელეგრინის ნამდვილად არ მშურს. აშკარად არ მინდა, მას რომ ჰყავს, ისეთი შემადგენლობა მყავდეს. აი, „ბარსელონა" სხვა საქმეა. ამ გუნდს საოცარი ნახევარდაცვა ჰყავს და დარწმუნებული ვარ, ახალ სეზონშიც ჩემპიონთა ლიგის ფავორიტები იქნებიან".*

აი, „ჩელსის" ფრანგი თავდამსხმელი **ნიკოლა ანელკა** კი თავის მხრივ ფერგიუსონს აფრთხილებს, სჯობს პრემიერლიგის ჩემპიონობაზე ფიქრს თავი დაანებოთო.

*„ძალიან მეეჭვება, რომ რონალდოსა და კარლოს ტევესის წასვლის შემდეგ „იუნაიტედი" შარშანდელივით ძლიერი გუნდი იყოს. ვფიქრობ, წლეულს ჩვენ მათზე მეტი შანსი გვაქვს. ახალ სეზონში ჩვენ უფრო ძლიერები ვიქნებით. თავდასხმაში, ჩემი და დიდიე დროგბას წყვილი მთელ ინგლისში საუკეთესოა. მე ყოველთვის მინდა, რომ მას გავატანინო, ის კი ყოველთვის იმას ცდილობს, მე გამატანინოს. მოედანზე ერთმანეთისა ჩინებულად გვესმის და ერთად თამაში სიამოვნებას გვანიჭებს. და რას შეიძლება ასე მივაღწიოთ? ჩვენ შეგვიძლია პრემიერლიგის ჩემპიონები გავხდეთ. გიმეორებთ, მოედანზე ორივენი ვცდილობთ ერთმანეთს გოლი გავატანინოთ, ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს. „ჩელსიში" რომ გადმოვდიოდი მიხაროდა, რომ დიდიეს მხარდამხარ მომიწევდა თამაში".*

**ილია ბაბუნაშვილი**




ინტერი

# ეტოოს ცხრიანი, გლების უარი

გუშინ იტალიურ და ესპანურ პრესაში ერთობ მოულოდნელი ინფორმაცია გავრცელდა. საქმე **ალექსანდრ გლებს** ეხება, ფეხბურთელს, რომელიც წესით „ბარსელონადან" „ინტერში" უნდა გადასულიყო. როგორც იცით, სულ რამდენიმე დღის წინ „ნერაძურის" და „ბლაუგრანას" შორის დიდი გარიგება შედგა: **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** „ბარსელონას" მიაშურა, „ინტერს" კი სანაცვლოს 48 მილიონი ევრო, **სამუელ ეტოო** და ალექსანდრ გლები უნდა მიეღო. ეტოოს და იბრასთან დაკავშირებით ყველაფერი გარკვეულია და არაფერი იცვლება - სამაგიეროდ, ბელორუსი ფეხბურთელი გაურჩდა და განაცხადა, რომ „ინტერში" გადაბარგებას არ აპირებს. როგორც ჩანს, კლუბების მესვეურები ისე შეთანხმდნენ, რომ ფეხბურთელისთვის აზრიც კი არ უკითხავთ.

„გაძეტა დელო სპორტი" წერს, რომ ბელორუს ფეხბურთელს „ინტერში" გადაბარგების ორი გზა შესთავაზეს: სრულფასოვანი ტრანსფერი ან ერთწლიანი იჯარა. გლებს ორივეზე უარი უთქვამს - როგორც ჩანს, ის გაბრაზებულია. გაბრაზების მიზეზი? - სავარაუდოდ, მისი პერსონისადმი, ცოტა არ იყოს, აგდებული დამოკიდებულება. მართლაც და, თუ გლების საქმე მისი აზრის გაუთვალისწინებლად გადაწყვიტეს, ფეხბურთელს განაწყენების მიზეზი ნამდვილად აქვს. არის მეორე ვერსიაც, რომელსაც ჟურნალისტთა ნაწილი იზიარებს. შესაძლოა, ბელორუსი „ინტერში" გადასვლისგან იმიტომ ითრევს ფეხს, რომ მილანურ გრანდში არსებული დიდი კონკურენციის ეშინია. თავის კომენტარებში **ჟოზე მოურინიოს** არასდროს უხსენებია ალექსანდრ გლები, მასზე ერთი სიტყვაც არ დასცდენია, რამაც შესაძლოა დააფრთხო კიდეც სლავი შუახაზელი. ხურდაში მოყოლილ ფეხბურთელს „ინტერში" დიდ სათამაშო დროს არ მისცემენ და ეს კარგად ესმის ფეხბურთელს.

და სად არის გამოსავალი? - ყველაფერი იმაზე უფრო მარტივია, ვიდრე შეიძლება გეგონოთ. იბრაჰიმოვიჩი-ეტოოს ბარტერი, რა თქმა, უნდა ძალაში დარჩება და ამ მხრივ არაფერი შეიცვლება. სამაგიეროდ, თანხის ოდენა იცვლება - „ბარსელონა" „ინტერს" 48 მილიონი ევროს ნაცვლად, 52 მილიონს გადაურიცხავს. ანუ, გლები ოთხ მილიონ ევროდ შეფასდა და სწორედ ამ თანხას მიიღებს იტალიური კლუბი ბელორუსი ნახევარმცველის სანაცვლოდ. თავად გლები კი სავარაუდოდ „შტუტგარტში" გააგრძელებს კარიერას, სადაც თავის დროზე დიდი წარმატებით ასპარეზობდა.

„ინტერის" მესვეურები გაჩერებას არ აპირებენ და რამდენიმე ფეხბურთელის გადაბირება კიდევ სურთ. მით უფრო, მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ალექსანდრ გლები „ნერაძურიში" აღარ იასპარეზებს. პრესის ინფორმაციით, „ნერაძურის" მესვეურებს სამი ფეხბურთელის მიმართ აქვთ განსაკუთრებული ინტერესი. საუბარია **დეკუზე, უესლი სნეიდერსა** და **ანტონიო კასანოზე**. ამ უკანასკნელის გადაბირება მილანელებს დიდი ხანია უნდათ, თუმცა მათი ყველა მცდელობა უშედეგოდ მთავრდება. როგორც ჩანს, გამონაკლისი არც ეს ზაფხული იქნება. „სამპდორიას" პრეზიდენტმა **რიკარდო გარონემ** პირდაპირ განაცხადა, რომ მისი გუნდის ლიდერი შეუფასებელია და არ იყიდება.

უესლი სნეიდერის „ინტერში" შესაძლო გადასვლაზე აქამდე არაფერი გვსმენია. როგორც ჩანს, მისით მილანელები ახლახან დაინტერესდნენ. ამბობენ, ჰოლანდიელს მადრიდის „რეალის" თავკაცთან პრობლემები აქვსო და დიდია შანსი, გუნდის გამოცვლა მოუხდეს. შესაძლოა, სწორედ ამან უბიძგა „ნერაძურის" მესვეურებს აქტიურობისკენ. იტალიური პრესა გვარწმუნებს, რომ უახლოეს დღეებში ლომბარდიელები ესპანელებს წინადადებით მიმართავენ და სნეიდერის სანაცვლოდ სოლიდურ თანხას შესთავაზებენ. **მასიმო მორატი** იბრაჰიმოვიჩში აღებული თანხის ნაწილის დახარჯვას ტრანსფერებში აპირებს და სავარაუდოდ, ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ სნეიდერის გადაბირება იქნება. ჟურნალისტთა ვარაუდით, „ინტერი" „რეალს" ჰოლანდიელში 20-25 მილიონ ევროს შესთავაზებს. თუ უესლი **მანუელ პელეგრინის** გეგმებში არ ჯდება, დიდია შანსი, მადრიდელებმა წინადადება მიიღონ კიდეც. ვნახოთ, რეალური სურათი მალე გამოიკვეთება.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც შესაძლოა ამ ზაფხულს „ინტერში" აღმოჩნდეს, დეკუ გახლავთ. ბრაზილიური წარმოშობის პორტუგალიელი „ჩელსიში" ბოლომდე ვერ გაიხსნა და ნავსაყუდელის გამოცვლას გეგმავს. რაც მთავარია, სწორედ „ინტერში" სურს გადასვლა და ამის შესახებ ორიოდე დღის წინ, კიდევ ერთხელ განაცხადა: *„ჟოზე მოურინიოსთან მუშაობა ჩემი უდიდესი სურვილია და იმედია, მომავალ სეზონში სწორედ მისი თავკაცობით ვითამაშებ. „ნერაძურის" მესვეურებს ჩემ მიმართ მართლაც აქვს ინტერესი და ეს ძალიან მსიამოვნებს. თუ გარიგება შედგა და მილანში გადავბარგდი, უბედნიერესი ადამიანი ვიქნები".* როგორც ხედავთ, დეკუს „ინტერში" გადასვლა ძალიან უნდა და მის მიმართ არც „ინტერია" გულგრილი. თუმცა, ტრანსფერი რომ შედგეს, ამისთვის „ჩელსის" ნებაა საჭირო. **კარლო ანჩელოტის** არასდროს დასცდენია - დეკუ არ მჭირდება და შეგიძლიათ, გაყიდოთო.

ამასობაში, გულშემატკივრების წინაშე „შავ-ლურჯი" მაისურით პირველად წარდგა სამუელ ეტოო. კამერუნელმა თავდამსხმელმა თავისი ცხრანომრიანი მაისურა გამოამზეურა და ფოტორეპორტიორებისთვის იპოზიორა. შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე, ბურთი აკეწნლა, რამდენიმე ფინტის დემონსტრირება მოახდინა და პრესას სტანდარტულად გაესაუბრა: *„ამაღლებულ განწყობაზე ვარ, რაც ალბათ სახეზეც მეტყობა. ვგრძნობ, რომ წინ ძალიან საინტერესო და წარმატებული ხუთი წელიწადი მელის. „ინტერში" თამაში დიდი გამოწვევაა და მეც ენთუზიაზმით ვარ აღსავსე. მომავალ სეზონში ყველა იმ ტურნირის მოსაგებად ვიბრძოლებთ, რომელშიც მონაწილეობას მივიღებთ".*

**ლაშა წიკლაური**




რჩევა

# ეფენბერგი ბაიერნს: იყიდეთ ვიზე!

მიუნხენის „ბაიერნი" ახალი სეზონის პირველ ოფიციალურ მატჩს სამ დღეში ჩაატარებს: შაბათს რეკორდმაისტერს გერმანიის თასის პირველი რაუნდის თამაში აქვს. მეკარე, რომელიც ამ შეხვედრაში ბავარიული გიგანტის კარს დაიცავს, მთელი სეზონის განმავლობაში „ბაიერნის" კარის დარაჯი იქნება. გასულ სეზონში იმედები ვერც **მიხაელ რენზინგმა** გაამართლა, რომელიც სეზონის მიწურულს სათადარიგოთა სკამზე დასვეს და არც **ჰანს-იორგ ბუტი** თამაშობს ისე, რომ „ბაიერნის" გულშემატკივრები მშვიდად იყვნენ. ფაქტია, რომ ოლივერ კანის წასვლის შემდეგ, რეკორდმაისტერს ამ პოზიციაზე პრობლემა აქვს.

ყოფილი ბაიერნელი და მიუნხენური გუნდის ლეგენდარული ფეხბურთელი **შტეფან ეფენბერგი** ბავარიელებს ბრემენის „ვერდერის" კარის დარაჯის, **ტიმ ვიზეს** შეძენას ურჩევს. *„ბაიერნს" მანუელ ნოიერის შეძენა უნდოდა. ის მართლაც ძალიან კარგი მეკარეა, მაგრამ ტრანსფერი არ შედგა. მე რომ „ბაიერნის" შეფების ადგილზე ვიყო, ტიმ ვიზეს ვიყიდი*, - აცხადებს ეფენბერგი და იქვე დასძენს, - *„ვიზე ყველაფერთან ერთად, პიროვნებაა! რაც ასევე მნიშვნელოვანია, ცოტათი გიჟია და საერთაშორისო გამოცდილებაც აქვს. როცა საჭიროა, შეუძლია, მთელ გუნდს შემოუძახოს და ამავდროულად, ძალიან კარგი, ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. მეტსაც გეტყვით: ვიზე პატარა კანია. „ბაიერნმა" ტიმი რომ იყიდოს, ვფიქრობ, რამდენიმე წლის განმავლობაში მეკარის პრობლემა გადაჭრილი ექნება."*

„ბაიერნის" ყოფილი მწვრთნელი **ოტმარ ჰიტცფელდიც** ფიქრობს, რომ დიდი შანსია, მეკარის პოზიცია რეკორდმაისტერისთვის მომავალ სეზონში ძალიან პრობლემური იყოს. *„მნიშვნელობა არ აქვს ვინ დაიცავს „ბაიერნის" კარს, რენზინგი თუ ბუტი. როგორც კი რომელიმე მათგანი პატარა შეცდომას დაუშვებს, მაშინვე სჯა-ბაასი დაიწყება და მეკარეც უმძიმესი წნეხის ქვეშ მოექცევა, რაც გუნდს ძალიან ავნებს,"* - მიაჩნია ჰიტცფელდს.

**გოტფრიდ ლენცი**

ტრანსფერი

# არბელოას ჯანსაღი გული რეალისთვის უცემს

გუშინ მადრიდის „რეალის" ოფიციალური საიტი ახალი ამბების პირველწყარო იყო, მოქმედი გმირი კი „ლივერპულის" ან უკვე ყოფილი ფეხბურთელი **ალვარო არბელოა** გახლდათ. დღის პირველ ნახევარში ცნობილი გახდა, რომ ესპანელმა მცველმა „სანიტას ლა მორალეხას" ჰოსპიტალში სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა. იგი ჰოსპიტალში დილის 11 საათზე გამოჩნდა, ეზოში ფეხბურთელს „რეალის" გულშემატკივრების და მედიის მცირე არმია დახვდა. შემოწმებამ დაახლოებით 90 წუთი გასტანა. მას სისხლის და სხვა ანალიზები აუღეს, გადაუღეს ელექტრო და ეკოკარდიოგრამები, შეამოწმეს მაგნიტურ-რეზონანსული მეთოდით და რადიოლოგიური კვლევით. საბოლოოდ ექიმები აღფრთოვანებულნი დარჩნენ 26 წლის ფეხბურთელის ჯანმრთელობის მდგომარეობით და ის ორი სიტყვით შეაფასეს - „საუკეთესო მდგომარეობაშია". ჰოსპიტალში ყოფნისას არბელოამ „მარკას" განუცხადა, რომ კმაყოფილია „რეალში" გადასვლით, რომ ეს მისი ოცნება იყო და ერთი სული აქვს, როდის შეუერთდება თანაგუნდელებს.

მოგვიანებით საიტზე კლუბის ოფიციალური მიმართვა გამოჩნდა - *„ალვარო არბელოა „რეალის" ახალი ფეხბურთელია. „რეალი" და „ლივერპული" შეთანხმდნენ სატრანსფერო თანხაზე. ფეხბურთელი კლუბთან ხუთწლიან კონტრაქტს აფორმებს"*, - ვკითხულობთ ამ მიმართვაში. მაშ ასე, სამეფო კლუბმა კიდევ ერთი ტრანსფერი განახორციელა, აიყვანა მცველი, რომელმაც 2007 წლის იანვრიდან დღემდე კარიერა ნისლიან ალბიონზე, „ლივერპულში" გაატარა. არბელოა უნივერსალი მცველია, ის უფრო მარჯვენა ფლანგზე თამაშობს, თუმცა ალვაროს თანაბარი წარმატებით შეუძლია დაცვის ცენტრში და მარცხენა ფლანგზეც თამაში. „რეალს" არბელოა მარცხენა ფლანგზე ესაჭიროება. არბელოას ტრანსფერი სავარაუდოდ 4 მილიონი ევრო დაუჯდა სამეფო კლუბს. ალვარო გუნდთან ერთად კანადაში გაემგზავრება შეკრებაზე.



არბელოა სალამანკაში დაიბადა, „სარაგოსას" ახალგაზრდულ გუნდში დაიწყო თამაში და 2001 წელს „რეალის" აკადემიას შეუერთდა. ფეხბურთელად არბელოა ფაქტობრივად აქ ჩამოყალიბდა, თუმცა მას დიდ გუნდში მხოლოდ ორი მატჩი აღირსეს და მცველმაც 2006 წელს „დეპორტივოს" მიაშურა. ალვაროს ესპანეთის ნაკრებში 9 თამაში დაუგროვდა, დებიუტი კი უკვე როგორც „ლივერპულის" ფეხბურთელს ჰქონდა იტალიის ნაკრების წინააღმდეგ.

არბელოა ჰოსპიტალიდან „სანტიაგო ბერნაბეუზე" გაემგზავრა, სადაც მას „რეალის" გენერალური დირექტორი **ხორხე ვალდანო** და სპორტული დირექტორი **მიგელ პარდესა** დახვდნენ, სანამ ფეხბურთელი დირექტორის კაბინეტში კონტრაქტს ხელს მოაწერდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამხანაგური მატჩი

# ესეც კრისტიანოს გოლი...

მადრიდის „რეალმა" „კოპა დე ლა-პასის" (მშვიდობის) თასზე მეორე მატჩი გამართა, ეკვადორის „ლიგა დე უნივერსიდად კიტო" 4:2 დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა, რომელშიც ტურინის „იუვენტუსს" სევილიაში შეხვდება. მსოფლიოს უძვირფასესმა ფეხბურთელმა **კრისტიანო რონალდომ** „ლოს ბლანკოსის" მაისურით თავისი პირველი გოლი გაიტანა. მატჩის ყველა, ექვსივე (!) გოლი მეორე ტაიმში გავიდა. ანგარიში მადეირელმა 50-ე წუთზე გახსნა, მან მარცხენა ფლანგზე შესანიშნავი ფინტებით ჩამოიცილა მცველები, საჯარიმოში კი წააქციეს. პენალტი თავად დაზარალებულმა გამოიყენა. „სანტიაგო ბერნაბეუ" ოვაციით შეეგება რონალდოს, არადა ამავე პუბლიკამ პირველი ტაიმის ბოლოს პორტუგალიელს უსტვინა. მატჩს 45 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. მატჩის შემდეგ რონალდო აღფრთოვანებული იყო პირველი გოლის გატანით: *„ძალიან გახარებული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს ეს შევძელი"*.

„რეალის" სხვა გოლები **ესტებან გრანეროს, კრისტოფ მეტცელდერის და ალვარო ნეგრედოს** ანგარიშზეა. ამ შეხვედრაში ტრავმები მიიღეს **არიენ რობენმა და ქარიმ ბენზემამ**. თუკი რობენის ტრავმა სერიოზული არ ჩანს, ბენზემამ საკმაოდ სერიოზულად დაიშავა წვივის კუნთი მარჯვენა ფეხზე.

„რეალმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **დუდეკი - მიჩელ სალგადო, პეპე, მეტცელდერი, მარსელო - რობენი (გრანერო), გუტი (დრენტე), გაგო, კრისტიანო რონალდო (ლ. დიარა) - იგუაინი (რაული), ბენზემა (ნეგრედო).**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ამბები

## კაპელო: იბრა ვან ბასტენს აჯობებს

**ფაბიო კაპელო** ყოველთვის შვედი **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** ტალანტის დიდი დამფასებელი იყო. რომაული კარიერისას მან სცადა იბრაჰიმოვიჩის აყვანა, ხოლო 2004-2006 წლებში მასთან „იუვენტუსში" იმუშავა. ინგლისის ნაკრების თავკაცმა „ლა რეპუბლიკას" განუცხადა, რომ იბრას დიდი შანსი აქვს უფრო დიდი ფეხბურთელი გახდეს, ვიდრე ჰოლანდიელი **მარკო ვან ბასტენი** იყო: *„როცა ზლატანი იტალიაში ჩამოვიდა, ის დაუმუშავებელი ალმასი იყო. მაგრამ ახლა ის ყოველმხრივ ჩამოყალიბებული ვარსკვლავია. იბრა დღეისათვის საუკეთესო ფორვარდია და მისი განეიტრალება საჯარიმოში შეუძლებელია. ვიცი, ვან ბასტენისა და მისი შედარება დღეს ისე ჟღერს, როგორც პიკასოსი და როტკოსი (მარკ როტკო ლატვიელი მხატვარი - რედ.), მაგრამ ზლატანს თავისი ჯანით და ახალგაზრდული შემართებით კიდევ მეტის მიღწევა შეუძლია და ის უფრო დიდი ფეხბურთელი გახდება, ვიდრე მარკო".*

## მიგელიც რჩება

მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ „ვალენსია" არ დაკარგავს თავის უმთავრეს ვარსკვლავ **დავიდ ვილიას**, გაირკვა, რომ პორტუგალიელი მცველი **მიგელიც** „მესტალიაზე" რჩება. მიგელის წასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო, მას რამდენიმე ინგლისური კლუბი იწვევდა. თუმცა 29 წლის მცველმა გუშინ განაცხადა, რომ „ვალენსიაში" დარჩენას აპირებს: *„სიტუაცია შეიცვალა, ახლახან მწვრთნელს ვესაუბრე და გადაწყვეტილია - „ვალენსიაში" ვრჩები. მოხარული ვარ, რომ ყველაფერი ასე დასრულდა. არ ვიცი, რა მოხდება მომავალ სეზონში, მაგრამ ჩემს მეხუთე სეზონს „ვალენსიაში" ბოლომდე ჩავამთავრებ"*. მიგელი 2005 წელს ლისაბონის „ბენფიკადან" გადავიდა ესპანურ კლუბში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სეზონის წინ



ჟოზე მოურინიო

# განსაკუთრებული ჩხუბი პასადენაში

გასულ კვირას, ამერიკაში, „ჩელსისა" და „ინტერს" შორის ამხანაგური შეხვედრა გაიმართა და პრემიერლიგაში მესამე ადგილზე გასულმა „ლურჯებმა" სერია A-ს ჩემპიონს 2:0 მოუგეს, - ეს „ლელოს" მკითხველს კარგად მოეხსენება, თუმცა ის, რომ მატჩის შემდეგ **ჟოზე მოურინიო** და **ფრანკ არნესენი** კინაღამ ყელში სწვდნენ ერთმანეთს, აქამდე უცნობი იყო. ალბათ, საკუთრივ კლუბები მალავდნენ, ვის სიამოვნებს აყალმაყალის გამომზეურება. მაგრამ დაფარული არაფერი რჩება და შესაბამისად ამ ჩხუბის ამბავსაც აეხადა ფარდა.

მოურინიო, მოგეხსენებათ, „ინტერის" თავკაცია, რომელიც მანამდე „ჩელსის" მწვრთნელი იყო და თუკი ბოლო წლებში ლონდონელებს რაიმე აქვთ სატრაბახო, სულ თუ არა, მეტწილად მისი დამსახურებაა. არნესენი კი ყოფილი დანიელი ვარსკვლავი გახლავთ, რომელიც 2005 წლის შემდეგ ლონდონური კლუბის ფეხბურთის საქმეთა დირექტორია და მოურინიოსთან იმთავითვე საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. თვით საინტერნეტო ენციკლოპედია, „ვიკიპედიაშიც" კი წერია, რომ „განსაკუთრებულის" აზრით, ის, რომ „ჩელსის" ახალგაზრდული სტრუქტურები მთავარ გუნდს ნიჭიერ შემცვლელებს ვერ აწვდის, არნესენის ბრალია.

კაცმა რომ თქვას, არნესენის „ჩელსიში" გამოჩენა კლუბის მეპატრონე **რომან აბრამოვიჩს** სწორედ რომ მოურინიოს წინააღმდეგ, მისი უსასრულო ავტორიტეტისა და გავლენის შესაკვეცად ჰქონდა ჩაფიქრებული, ასე რომ, ამ ორ კაცს შორის ზიზღი დაგეგმილი გახლავთ. ის მილიარდერმა დაგეგმა, ოღონდ, დრო რომ გამოხდა და მოურინიოს ავტორიტეტს მაინც ვერაფერი მოუხერხა, მწვრთნელს შარად მოსდო, ჩემს გუნდს ულამაზო ფეხბურთს ათამაშებო და თანამდებობიდან გაუშვა.

თუმცა ძველმა ამბებმა ძალიან რომ არ გაგვიტაცოს და ინფორმაციის ჩარჩოებსაც არ გავცდეთ, ამერიკულ ჩხუბს დავუბრუნდეთ. კალიფორნიაში, კერძოდ კი პასადენის „როუზ ბოულზე" მომხდარის შესახებ ინგლისურ ტაბლოიდებს მავანმა თვითმხილველმა ასეთი რამ უამბო:

*„ნანახმა ყველას პირი დაალებინა. ისინი გამწარებულები ლანძღავდნენ ერთმანეთს. თუმცა, რასაკვირველია, ჟოზე უფრო აქტიურობდა. ძალიან უსიამოვნო სცენა იყო. არა, ერთმანეთს ფიზიკურად არ შეხებიან, მაგრამ სიტყვებით, იცოცხლეთ. მოკლედ, ის, რაც ყველამ იმთავითვე ვიცოდით ახლა აშკარად დამტკიცდა. ამ ორ ადამიანს ერთმანეთი სძულს. სკანდალი კი იმით დაიწყო, რომ გასახდელებისკენ მიმავალ გვირაბში ჟოზე თამაშის შემდეგ თავის ყოფილ ფეხბურთელებს ესალმებოდა. შემდეგ იქვე კლუბის სხვა თანამშრომლებმაც ჩაიარეს და მოურინიო მათაც შეეხმიანა, მაგრამ გამოჩნდა თუ არა არნესენი, უცბათ, ყველაფერი ყირაზე დადგა".*

**ილია ბაბუნაშვილი**





ფრენკ ლემპარდი

ვარსკვლავის ნააზრევი

# ყველაზე მთავარი შენაძენია

ჩელსის" ვარსკვლავმა **ფრენკ ლემპარდმა** და News of the world-ის ჟურნალისტმა ამ საუბრის ჩასაწერად ჰოლივუდში დათქვეს შეხვედრა, რაც ჟურნალისტს სიმბოლურად ეჩვენა - საქმე ის გახლავთ, რომ „მანჩესტერ სიტის" გადამკიდე, ამ ზაფხულს, ინგლისური ფეხბურთის მთავარი თემა ვარსკვლავები და დიდძალი ფულია, ვარსკვლავებსა და დიდძალ ფულზე ლაპარაკისთვის კი ჰოლივუდზე კარგი ადგილი არსებობს, განა?

დოლარი, რასაკვირველია დოლარია და ლემპარდის გუნდიც მისი ეშხით დახეტიალებს ამერიკაში, სეზონისწინა შეკრებაზე, თუმცა „ლურჯების" ნახევარმცველმა სწორედ აქ, ტინსლთაუნში (ჰოლივუდის მეტსახელი გახლავთ) თქვა, რომ ზედმეტი არც ვარსკვლავი ვარგა და არც გაფლანგული ფული. დიახ, მაშინ, როდესაც მსოფლიოში რეგისტრირებულ ფეხბურთელთა უმრავლესობა მდიდარი გუნდის პირველსავე დასტვენაზე მისკენ თავქუდმოგლეჯილი გაიქცეოდა, თავის კლუბს, პოზიციასა და სტატუსს კარგად მორგებული ლემპარდი სხვას ბრძანებს.

ის ხალხი, ვინც ამ სატრანსფერო ზაფხულს ინგლისში მიმდინარე ამბებს აკვირდება, დაგვეთანხმება, რომ „სიტის" თავკაცს, **მარკ ჰიუზს** დიდი საყვირი უჭირავს და ყველას, ვისაც ბურთის ნიჭიერად გორება ეხერხება, თავისთან უხმობს. აი, ლემპარდის აზრით, „ჩელსიმ" ამას ყურადღება არ უნდა მიაქციოს და ბაზარზე თავის მოგიჟიანებასა და ისტლენდერთათვის ვარსკვლავების ცხვირწინ აწაპნაში არ უნდა ჩაებას.

*„არ მგონია, რომ „ჩელსის" დღეს ბაზარზე გავარდნა და ვარსკვლავების ყიდვაში სასაცილოდ გაბერილი თანხების გადახდა სჭირდებოდეს".*

შეგახსენებთ, რომ თავის დროზე არც „ლურჯებმა" დაინანეს დიდძალი ფული ფეხბურთელების შეძენისთვის რის წყალობითაც შექმნეს გუნდი, რომელმაც ბოლო შვიდ წელიწადში ორჯერ ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოიგო, სამჯერ ინგლისური ანუ ფეხბურთის ასოციაციისა და ლიგის თასები, ხუთჯერ გახლდათ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში და ერთხელ - ფინალში. ლემპარდს სწამს, რომ დღევანდელ „ჩელსის" გაუმჯობესება აღარ სჭირდება.

*„დარწმუნებული ვარ, თუკი დღეს ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობას საშუალება მიეცემა, რომელიმე უმაღლესი დონის ფეხბურთელი იყიდოს, ის ამას გააკეთებს. რასაკვირველია, ამქვეყნად იქნება ერთი-ორი ვარსკვლავი, რომელიც „ჩელსის" კიდევ უფრო გააძლიერებს, მაგრამ იმაშიც აბსოლუტურად დარწმუნებული გახლავართ, რომ სხვადასხვა კლუბში მოთამაშე ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელი არაფრად გვარგია. რატომ? იმიტომ, რომ ისედაც ძალიან ძლიერები ვართ".*

საკუთარ თავსა და კლუბში აბსოლუტურად დარწმუნებული ლემპარდი აცხადებს, რომ „ჩელსი" ყოველგვარი ახალი შენაძენის გარეშეც იბრძოლებს უდიდესი ჯილდოებისთვის. აი, რაც შეეხება „სიტის"... ამ გუნდთან დაკავშირებით ინგლისის ნაკრების 31 წლის ნახევარმცველი ეჭვს გამოთქვამს:

*„ისინი ყიდულობენ და ყიდულობენ, უამრავი მაღალი დონის ფეხბურთელი შეიძინეს, ფულს არ ინანებენ, მაგრამ რა გამოუვათ, კაცმა არ იცის. საქმე ის არის, რომ თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი იყიდოთ გუნდის ერთსულოვნებისა და შეთამაშების გარდა. რასაკვირველია, „სიტისგან" წარმატებას პირველივე წელიწადს ელიან, მაგრამ შეძლებს კი გუნდი ამას ასე უცბად?"*

და აქ, ლემპარდი თავად იგონებს იმ პერიოდს, როდესაც რუსმა მილიარდერმა, **რომან აბრამოვიჩმა** „ჩელსი" იყიდა.

*„კარგად მახსოვს, როდესაც რომანი გამოჩნდა, ჩვენთანაც ამდაგვარი სიტუაცია იყო. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩემპიონობა პირველსავე წელიწადს არ მოგვიგია. კლაუდიო რანიერის ხელმძღვანელობით მეორე ადგილზე გავედით. დიდი წარმატებები მერე მოვიდა, როდესაც მწვრთნელად ჟოზე მოურინიო დავინიშნეს და ზედიზედ ორჯერ ჩემპიონები გავხდით. მაგრამ ხომ გეუბნებით, ამას დრო დასჭირდა. ასეთ ეტაპზე ფეხბურთელების ერთმანეთთან შესაწებებლად მწვრთნელის ზუსტად შერჩევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. უმთავრესია მიხვდე, რომ ფეხბურთელებმა, გინდაც ვარსკვლავებმა, არა ინდივიდუალური ოსტატობის, არამედ ერთსულოვნების ხარჯზე უნდა სცადონ ფონს გასვლა. სწორედ ამას ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, ვნახოთ, „სიტი" რას იზამს-მეთქი.*

*წარმატების ყიდვა თუ შეიძლება? რა თქმა უნდა, შეიძლება, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთელებს სწორად იყიდი. საჭიროა ისეთი ხალხი, რომელიც შენს გუნდს მოედანზეც გამოადგება და მის გარეთაც. ჩვენ, „ჩელსიში" სწორედ ამის წყალობით მივაღწიეთ წარმატებას. სწორედ ეს იყო ჩვენი მთავარი კოზირი".*

დაუშვა თუ არა ამ წლების განმავლობაში „ჩელსიმ" სატრანსფერო შეცდომები? რასაკვირველია, დაუშვა. მაგალითების მოყვანაც, ცხადია, შეიძლება: **ხუან სებასტიან ვერონი, ადრიან მუტუ** და **ერნან კრესპო**.

სამაგიეროდ, არის მშვენიერი მიგნებებიც: **ანჯელო დი სანტო** და **დენიელ სტარიჯი**. ისინი ჯერ ოცი წლისანიც არ გახლავან. შეგახსენებთ, რომ სტარიჯმა სწორედ „სიტისა" და „ჩელსის" შორის გააკეთა არჩევანი „ჩელსის" სასარგებლოდ. მოტივი - დიდი ფეხბურთის თამაში მინდაო. ის კი არა და, თავად ლემპარდმა თქვა, რომ ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდების მონოლამ შესაძლოა, მალე მისი კარიერა შეავიწროოს.

*„სტარიჯს უდიდესი მომავალი აქვს. ნიჭით უხვად დაჯილდოებული ახალგაზრდა შესაფერის გუნდში მოხვდა. თავის განსაკუთრებულ ტალანტს ის ყოველდღიურად, ვარჯიშზეც ამტკიცებს და ამხანაგურ შეხვედრებშიც. ახლა მან ბევრი უნდა იმუშაოს, დიდიე დროგბასა და ნიკოლა ანელკასგან ბევრი უნდა ისწავლოს და როდესაც თავის გამოჩენის შანსი მიეცემა, ნამი უნდა იგრძნოს და ჩაებღაუჭოს. ვგრძნობ, რომ სტარიჯი გუნდს კარგად შეეწყო და ვარჯიშებს თავისი ხიბლიც კი შემატა".*

თუმცა, ფრენკ ლემპარდის ღრმა რწმენით, ყველაზე დიდი შენაძენი გუნდის ახალი მწვრთნელი, **კარლო ანჩელოტია**:

*„იმედი მაქვს, რომ კარლო ყველაზე დიდი შენაძენია, რადგან მან გუნდში სტაბილურობა უნდა მოიტანოს. ვუყურებ და ვხვდები, რომ მას ეს ხელეწიფება. ყველამ კარგად იცის მისი მილანური საქმეები. მთელ მსოფლიოს მოეხსენება, რა ააშენა იქ ანჩელოტიმ. ის კარგი ადამიანი და ძლიერი მწვრთნელია, რომლის ხელმძღვანელობით, იმედი მაქვს, ჩვენც უდიდეს სიმაღლეებს დავიპყრობთ. მან თავისი კლასი ორიოდ გუნდურ კრებასა და პირად საუბრებში უკვე დაგვიმტკიცა. ჩვენთვის უკვე ნათელია, რა უნდა კარლოს, რას ითხოვს ყველასგან ერთად და თითოეულისგან ცალ-ცალკე.*

*მეტსაც გეტყვით, ანჩელოტისთან ვარჯიშიც ძალზე სახალისოა. მწვრთნელი თავადაც ერევა მარაქაში და საკმაოდ ბევრ სახალისო მომენტს ქმნის".*

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

ინტერვიუ შოთა ხაბარელთან



# ოლიმპიადაზე ახალი გუნდით

საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრებმა გერმანულ სინდელფინგენში სამი ბრინჯაო მოიპოვა და სამივე ახალ წონებში გადასულთა მონაგარია - ლევან ნიკლაურის (90), ირაკლი ცირეკიძისა და დავით ლორიაშვილის (ორივე - 100). მათგან ნიკლაური ახალ წონაში მხოლოდ ამ ტურნირზე გამოვიდა, დუეტმა კი საბოლოოდ გადაწყვიტა 100-ში გადაბარგება.

> დაპირისპირება მაღალჩინოსნებიდან სპორტსმენებზეც გადავიდა. ეს უკვე ძალიან ცუდი ტენდენციაა და ნაკრებისა თუ ფედერაციის ხელმძღვანელობა მოვალეა, მოვლენები აკონტროლოს.

26-30 აგვისტოს როტერდამში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა ადრევე გაინაღდეს ნესტორ ხერგიანმა, ლევან ნიკლაურმა და ვალერი ლიპარტელიანმა (90), სხვა წონებში მონაწილენი კი გერმანულ ტურნირს უნდა გამოევლინა. საბოლოოდ ასეც მოხდა, მაგრამ ნაკრების თავკაცი შოთა ხაბარელი დასკვნითი შეკრების დაწყებამდე მათ ვინაობას არ ასახელებს. ნაკრები 9 აგვისტომდე თბილისში მოემზადება, მერე კი ბორჯომში გადაბარგდება და საბოლოო შემადგენლობასაც 2-3 დღის მერე გავიგებთ. თუმცა, როგორც მწვრთნელი გვპირდება, გუნდში სერიოზული საკადრო ცვლილებები იქნება. კაცმა რომ თქვას, ეს არცაა მოულოდნელი - ნაკრებში მიმდინარე მოვლენები ამის წინა პირობაა, მაგრამ კიდევ უფრო ცუდია, რომ დაპირისპირება მაღალჩინოსნებიდან სპორტსმენებზეც გადავიდა. ეს უკვე ძალიან ცუდი ტენდენციაა და ნაკრებისა თუ ფედერაციის ხელმძღვანელობა მოვალეა, მოვლენები აკონტროლოს. მოარული ხმებით, იმ ინციდენტმა პირდაპირი გავლენა იქონია გერმანიაში წამსვლელ შემადგენლობაზე, თუმცა ხაბარელი ამას კატეგორიულად უარყოფს და ამბობს, რომ ეს სულ სხვა თემაა. რაკილა ის ოფიციალური პირია, ჩვენ კი ძირითადად კულუარულ ცნობებს ვეყრდნობით, სხვა რა გზაა - უნდა დავუჯეროთ. დანარჩენზე მწვრთნელი თავად ისაუბრებს, ჩვენ კი დავძენთ, რომ მოსალოდნელი საკადრო ცვლილებები ახალ ოლიმპიურ ციკლში ახალი გუნდის შენების დასაწყისი გვგონია.

**- გამოავლინა თუ არა გერმანიის ტურნირმა მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელები?**

- ძირითადში, გამოავლინა, მაგრამ ჯერ არ მინდა ამაზე ღიად ლაპარაკი. 9 აგვისტოს ბორჯომში დასკვნით შეკრებას დავიწყებთ და შემადგენლობასაც იქ დავასახელებ. ამის შესახებ თვითონ ბიჭებმაც იციან და წინასწარ ლაპარაკი არ მინდა.

**- კარგი, მაშინ ტურნირზე გუნდის გამოსვლა შევაფასოთ - ვისი ჭიდაობით დარჩით კმაყოფილი, ვისით - უკმაყოფილო?**

- ამ ტურნირზე ჩვენი ძირითადი მიზანი იყო, ბიჭებს 2-3 შეხვედრა ეჭიდავათ. ეს მისია შესრულებულია. ბევრმა 4-5 ორთაბრძოლაც ჩაატარა და სასტარტო პრაქტიკა მიიღო.

**- ეყოფათ კი სასტარტოდ 3 შეხვედრა? ან, ამ ბრძოლებში კარგად იჭიდავეს?**

- სასტარტოდ ეყოფათ, ჭიდაობით კი ზოგმა კარგად იჭიდავა, მაგრამ ზოგიერთის უკმაყოფილოც ვარ. მეტს ველოდი პაპოშვილის, ქევხიშვილის, ავალიანის და კიდევ ზოგიერთისგან. არც მძიმეწონოსნებით ვარ კმაყოფილი, თუმცა მსოფლიოსთვის არჩევანი მაინც მათ შორის უნდა გავაკეთო. გუჯეჯიანს საწვრთნელი შეკრებები სრულად არ გაუვლია და ის აქამდეც გამოაკლდა კონკურენტებს.

**-ალბათ, ახლა მცირე უპირატესობა რამდენადმე ხანჯალიაშვილის მხარეს იყო...**

- ამ ტურნირზე ორივემ თანაბრად იჭიდავა, ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე უკეთესი იყო და უპირატესობას მივანიჭებ. სეზონის შედეგებს თუ გადავხედავთ, წლეულს ორივემ მოიგო მსოფლიო თასი, მაგრამ ჯერ მაინც ვერ ვიტყვი, რომელს მივანიჭებ უპირატესობას.

**- ხერგიანისა და ნიკლაურის გამოსვლაზე ცოტა დაწვრილებით ხომ ვერ გვეტყვით? მათ ხომ ადრევე გაინაღდეს მსოფლიოზე ჭიდაობა.**

- ორივემ მოლოდინს გადააჭარბა, ძალიან კარგად იჭიდავეს. შემიძლია ვთქვა, რომ ახლავე მზად არიან მსოფლიოს ჩემპიონატზე საჭიდაოდ.

**- წონა? ბევრის დაკლება მოუწევთ?**

- ბევრის არა. ხერგიანს 5 კილო აქვს დასაკლები, ნიკლაურს - 3, რაც არც ერთისთვის არაა პრობლემა.

**- მსოფლიოზე წამსვლელ კიდევ ერთ ფალავანს - ვალერი ლიპარტელიანს არც ამ ტურნირზე უჭიდავია. საშეჯიბრო პრაქტიკის დეფიციტი არ დაეტყობა?**

- არც ლიპარტელიანს სჭირს რაიმე საგანგაშო. მას ფეხი გაუმიზეზდა და ამ ტურნირზე ამიტომ არ ვაჭიდავეთ. შეიძლებოდა, წაგვეყვანა - არ იყო იმდენად საშიში ტრავმა და იასპარეზებდა კიდეც, მაგრამ ვაითუ ისევ გამიზეზებოდა და ამიტომ ვამჯობინეთ დასვენება. სხვა მხრივ ის გრაფიკით ემზადება და ყველაფერი ნორმალურად მიდის.

**- ამ ეტაპზე იმის თქმა მაინც ხომ შეიძლება, გადახალისდება თუ არა გუნდი?**

- ამაში დასამალი არაფერია - გუნდი აუცილებლად გადახალისდება. ოლიმპიურ გუნდთან შედარებით, ბევრი ცვლილება მოხდება.

**- ამ მოსალოდნელ ცვლილებებთან რამდენადაა კავშირში რამდენიმე დღის წინ კასპში მომხდარი ინციდენტი, რომელიც მერე ბორჯომში გაგრძელდა და გუნდური ჩხუბით დასრულდა? არსებობს ვარაუდი, რომ გერმანიაშიც რამდენიმემ ამ მიზეზით არ იჭიდავა.**

> კასპში ამტყდარი ჩხუბი ბორჯომში გაგრძელდა და გუნდური ჩხუბით დასრულდა. „ზვიადაური და გუჯეჯიანი დაისჯებიან იმით, რომ ბოლო შეკრებაზე არ წამოვლენ“ — ამბობს შოთა ხაბარელი.

- ის ჩხუბი ამასთან არაფერ შუაშია. მისი მონაწილეებიდან გერმანიაში უმეტესობამ იჭიდავა. მაგალითად, იმავე ცირეკიძემ, ჟორჟოლიანმა, ხუციშვილმა, ხომიზურმა... კედელაშვილიც წავიყვანეთ, მაგრამ ხელი იტკინა და ამიტომ არ იჭიდავა. ეს რომ ყოფილიყო მიზეზი, ამათაც არ წავიყვანდი. არც ის მოსალოდნელი საკადრო ცვლილებები უკავშირდება ამ მართლაც უსიამოვნო ამბავს. ამის გამო ზურაბ ზვიადაური და გუჯეჯიანი დაისჯებიან იმით, რომ ბოლო შეკრებაზე არ წამოვლენ.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ალმათია თუ თბილისი

ალმათის ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი $) ყაზახებზე მეტად ქართველ გულშემატკივარს დააინტერესებს - ძირითად ბადეში 6 ქართველი თამაშობდა და მხოლოდ 5 ყაზახი. პირველი წრის შემდეგ ჩვენებურთა რიცხვი განახევრდა, **თათია მიქაძისა** და მე-7 ნომრად განთესილი **სოფიო შაფათავას** (285) მატჩის პერიპეტიებზე, აგრეთვე **ეკა გორგოძის** (510) მარცხზე უკვე მოგახსენეთ. გავარდნას ვერც ურეიტინგო **სოფიკო შარანგია** გადაურჩა, რომელმაც ვერაფერი დაუპირისპირა მე-8 ნომრად განთესილ რუმინელ **აგნეშ სატმარის** (275). მოგვიანებით კიდევ ორი ჩვენებური ჩაერია ბრძოლებში, ორივემ იმარჯვა - მე-3 ნომრად განთესილმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** (228) მასპინძელ **ნატალია ბერეჟნაიას** მოუგო - 6:1, 6:3. **სოფიო ქვაცაბაიას** (528) უკრაინელ **განა პივენთან** (435) ბრძოლამ მოუწია - 6:1, 3:6, 6:3.

მერვედფინალში კიდევ ერთი ქართული დუელი ვიხილეთ, კვლავ 21 წლის **თათია მიქაძის** მონაწილეობით. თათიას მეტოქე ამჯერად სოფიო ქვაცაბაია იყო. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კორტებს დაბრუნებულმა მიქაძემ კვლავ მოიგო - 6:2,6:3. ოქსანა კალაშნიკოვას მეტოქე რუსი **ავგუსტა ციბიშევა** (622) იყო, კალაშნიკოვა გამარჯვებული დარჩა - 6:4, 6:1. ალმათიში ისე მოხდა, რომ ყველა განთესილი მეოთხედფინალში გავიდა, გარდა მიქაძის მიერ დამარცხებული შაფათავასი. თათიას კიდევ ერთი სერიოზული მეტოქე ელის, რუსი **ელენა ჩალოვა** (223), კალაშნიკოვა კი **აგნეშ სატმარის** შეხვდება.

ჩვენთვის არანაკლებ საინტერესოდ მიმდინარეობს წყვილთა ბადის თამაშები. ბადეში ხუთი ქართველი მონაწილეობდა, აქედან ერთი „სუფთა“ ქართული წყვილი ეკა გორგოძემ და თათია მიქაძემ შექმნეს. ოქსანა კალაშნიკოვა ელენა ჩალოვას შეუწყვილდა და პირველი განთესვის ნომერი მიიღო, სოფიო შაფათავა - რუს **ელინა გასანოვას** (703). სოფიო ქვაცაბაია და ავგუსტა ციბიშევა კი ლამის ყველა ტურნირზე პარტნიორები არიან. ბოლო ორი დუეტი პირველ წრეში ერთმანეთის წინააღმდეგ დადგა, ანუ კიდევ ერთი ქართული დაპირისპირება ვიხილეთ. მე-3 ნომრად განთესილმა შაფათავამ და გასანოვამ მოუგეს ქვაცაბაიასა და ციბიშევას - 6:4, 6:3. კალაშნიკოვას და ჩალოვას პირველ წარმატებაზე უკვე ვწერდით. მოიგეს გორგოძემ და მიქაძემაც, მათ **მალხაზიანი** (უკრაინა) და **პაშკოვა** (რუსეთი) დაამარცხეს - 6:4, 6:7, 10:5.

მეოთხედფინალიდან ბრძოლას გორგოძე და მიქაძე გამოეთიშნენ, მათ ავსტრიელ **ჰოფმანოვასა** და ჩეხ **ფრანკოვასთან** წააგეს - 2:6, 4:6. კალაშნიკოვასა და ჩალოვას არ გაჭირვებიათ უზბეკურ-ტაჯიკური ბარიერის (**აზიმოვა, პრენკო**) გადალახვა - 6:1, 6:3. გასანოვამ და შაფათავამ „უაილდ ქარდით“ მიწვეულ მასპინძლებს, **პლევაკოს** და **სუშკოვას** მოუგეს - 6:1, 6:2. კალაშნიკოვასა და ჩალოვას ჰოფმანოვა და ფრანკოვა ელიან, შაფათავას და მის მეწყვილეს კი - რუსი **ბრატჩიკოვა** და სატმარი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ოქსანა კალაშნიკოვა

პლაჟბურთი

მსოფლიო ტური

# ოთხიდან სამი ქალიან-კაციანად

ავსტრიის საკურორტო ქალაქ კლაგენფურტში მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი დაიწყო. ვაჟთა შორის ქართული წყვილი **გეორ-გია** შეჯიბრებაში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთო. პირველ შეხვედრაში ჩვენმა ფრენბურთელებმა, რომლებიც მე-2 ნომრად იყვნენ განთესილნი, 31-ე ნომრად განთესილი ავსტრიელები **რაინერი** და **ნაუში** დაამარცხეს სამ სეტში - 21:13, 27:29, 15:13.

მეორე, ძირითად ბადეში გამსვლელ მატჩში გეორ-გია უფრო მობილიზებულად გაისარჯა და მე-15 ნომრად განთესილ ჩეხებს **ტიჩს** და **დუმეკს** იოლად სძლია ორ სეტში - 21:13, 21:14. გეორ-გია ძირითად ტურნირში დღეიდან ჩაებმება.

წარმატებული სტარტი აიღო ქალთა ქართულმა წყვილმა **საქა-რთველომ.** ჩვენი ფრენბურთელები, რომლებიც ტურნირზე 21-ე ნომრად არიან განთესილნი, E ჯგუფში მოხვდნენ. პირველ მატჩში საქა-რთველომ სამ სეტში მე-12 ნომრად განთესილი გერმანული დუეტი **ჰოლტვიკი-ზემლერი** დაამარცხა სამ სეტში - 14:21, 21:16, 15:8.

მეორე შეხვედრა ჩვენმა ფრენბურთელებმა ჯგუფის ფავორიტებთან, მე-5 ნომრად განთესილ ამერიკულ დუეტ **აკერსი-თერნერთან** გამართეს და ორ სეტში დამარცხდნენ - 13:21, 14:21.

საქა-რთველო ბოლო, მესამე შეხვედრას დღეს გამართავს ჯგუფის აუტსაიდერთან, 28-ე ნომრად განთესილ უკრაინულ წყვილ **ოშეიკო-ბაბურინასთან,** რომელმაც აქამდე ორივე შეხვედრაში მარცხი იგემა. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი ფრენბურთელები პლეი ოფში გაალწევენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**



## მილოცვა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან საიუბილეო 70 წელს ულოცავს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორს, სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონს და მესამე პრიზიორს, ხალხთა სპარტაკიადის ორგზის ჩემპიონს, ი. პოდდუბნის საერთაშორისო ტურნირის ორგზის გამარჯვებულს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **ომარ ეგაძეს.**

კალათბურთი

ტრანსფერი

## საქართველოს ჩემპიონატის MVP გერმანიაში

# გამყრელDEUTSCHER

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი **ლაშა გამყრელიძე** გერმანულ „მიტელდოიჩერში" გადავიდა. ასეთი ინფორმაცია გერმანულმა სააგენტოებმა კლუბის ოფიციალურ საიტზე დაყრდნობით გაავრცელეს. ვიდრე ვებგვერდიდან აღებული ინფორმაციის სრულ თარგმანს შემოგთავაზებდეთ, შეგახსენებთ, რომ „მიტელდოიჩერში" 2004 წლის ზამთარში **მანუჩარ მარკოიშვილი** გადავიდა. მართალია, მაშინ გუნდს ფინანსური პრობლემები შეექმნა, მაგრამ ამის მიუხედავად, ფიბაევროპის თასი მოიგო. მანუს თანაგუნდელებმა თასის ფინალში **ვიქტორ სანიკიძისა** და **ვატო ნაცვლიშვილის** „დიყონი" დაამარცხეს.



იმ სეზონის (2004-05) შემდეგ „მიტელდოიჩერი" გერმანიის მეორე ლიგაში დაქვეითდა. ერთი წლის მერე „ჰალეს" შეუერთდა და 2009-ში ისევ ალზევდა ბუნდესლიგაში.

გერმანულ საიტზე ლაშა გამყრელიძის განვლილი კარიერის მოკლე აღწერაა, სადაც ერთი დეტალია გამოტოვებული: ლაშა ბუნდესლიგაში ერთხელ უკვე თამაშობდა, ოღონდ ავსტრიისაში - 2005-06 წლების სეზონში „ფიურსტენფელდ პანტერსის" ღირსებას იცავდა.

ახლა ერთად წავიკითხოთ, რა დაწერა „მიტელდოიჩერის" ოფიციალურ საიტზე ჟურნალისტმა **ანა ბლუმენტრიტმა.**

*„საქართველოს ნაკრების წევრმა, 183სმ. სიმაღლის წევრმა ლაშა გამყრელიძემ „მიტელდოიჩერთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი გასულ სეზონში ქართული „ენერჯი-ინვესტის" ღირსებას იცავდა.*

მის შესახებ საკუთარი აზრი გამოთქვა კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **ბიორნ ჰარმსენმა**: *„გამყრელიძე აგრესიული დამცველია, აქვს თამაშის წარმართვის კარგი უნარი და ძალიან სწრაფია. იგი დიდ დახმარებას გაგვიწევს.*

ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად (23 წლისაა) ლაშა გამყრელიძეს საკმარისი გამოცდილება აქვს. იგი 2004 წლიდან საქართველოს ნაკრების წევრია. 2006 წელს გამყრელიძე B დივიზიონის საუკეთესო გამთამაშებლად დასახელდა.

2006 წლის შემდეგ „მიტელდოიჩერის" ახალწვეული რუსთავის „ენერჯის" ღირსებას იცავდა და მასთან ერთად ევროჩელენჯზე ორჯერ ითამაშა, საქართველოს ჩემპიონატში კი სამჯერ გაიმარჯვა. 2009 წელს იგი სუპერლიგის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. ლაშა გასულ სეზონში საშუალოდ 26 წუთში 15.3 ქულას, 4.1 მოხსნას და 6.1 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

„მიტელდოიჩერში" გამყრელიძე გამთამაშებელ **რადენკო პალჩევიჩს** შეუწყვილდება. აი, რა კომენტარი გააკეთა ახალ კლუბთან დაკავშირებით ქართველმა უკანახაზელმა: *„მოხარული ვარ ასეთი დონის გუნდში გადასვლით. ძალიან მაინტერესებს ჩემი შესაძლებლობების ბუნდესლიგაში გამოცდა. ეს ჩემთვის სერიოზული გამოწვევაა და იმედი მაქვს, რომ გუნდს წარმატებულ თამაშში დავეხმარები".*

როგორც ჩანს, „მიტელდოიჩერის" გენერალურ მენეჯერს,. მარტინ გისლერს ახალწვეული გამყრელიძე მანუჩარ მარკოიშვილმაც დადებითად დაუხასიათა: „მანუმ ლაშა გამყრელიძის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მოგვაწოდა. მოხარულები ვართ, რომ ასეთი კალათბურთელი დავიმატეთ. ასევე, სასიამოვნოა, რომ მანუჩარ მარკოიშვილი დღესაც პოზიტიურად ლაპარაკობს ჩვენი გუნდის შესახებ", - განაცხადა მარტინ გისლერმა.

ამჟამად „მიტელდოიჩერის" ახალწვეული საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან ერთად ავსტრიულ შეკრებაზეა. გამყრელიძე გერმანიაში სანაკრებო მატჩების დასრულების შემდეგ, დაახლოებით სექტემბრის შუ რიცხვებში ჩამოვა.

„გამყრელიძე „მიტელდოიჩერს" მოგვიანებით შეუერთდება, რადგან იგი ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული. თუმცა მისი სექტემბერში დამატება პრობლემას არ შექმნის და ვიმედოვნებთ, რომ გუნდს კარგად მოერგება."

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები. B დივიზიონი

# 49 მოხსნა აქტივში, 91 ქულა პასივში

**29 ივლისი. სარაევო. ბოსნია**

**საქართველო-შვეიცარია 87:91**

22:8, 21:29, 17:30, 27:24

საქართველო: თავართქილაძე (32 წთ, 12ქ, 4პ, 5ფ), ჩიკვილაძე (35 წთ, 20ქ, 7მ, 4პ), ბოქოლიშვილი (25 წთ, 15ქ, 5ფ), იოსელიანი (21 წთ, 11ქ, 7მ), დვალიშვილი (38 წთ, 10ქ, 16მ, 3პ), ბაქრაძე (20 წთ, 8ქ), ლომოური (5 წთ, 2ქ), თენიეშვილი (12 წთ, 9ქ), ჯავახიშვილი (10 წთ, 5მ), სულაბერიძე

შვეიცარია: პეტკოვიჩი (30ქ, 7მ), დუბასი (15ქ, 6მ), ბოზოვიჩი (15ქ), კაზადი (11ქ, 7პ)

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. ავსტრია | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. შოტლანდია | 2 | 1 | 1 | 3 |
| 4. საქართველო | 2 | 0 | 2 | 2 |

**30 ივლისი**

18:15 საქართველო-ავსტრია

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა B დივიზიონში მეხუთე მატჩი ჩაატარა და მეოთხედ დამარცხდა. წაგებულ მატჩებში გამარჯვებასთან ახლოს სწორედ გუშინ ვიყავით: შვეიცარიელებთან მეოთხე პერიოდს 7-ქულიანი ჩამორჩენით შევხვდით (60:67), თუმცა ბოლო რაუნდის მეხუთე წუთზე **თენიეშვილის** სამქულიანის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა – 78:78. ისევ თენიეშვილისა და **დვალიშვილის** ზუსტი ტყორცნების შედეგად სირენამდე 3 წუთით ადრე ქულით დავწინაურდით. ორი წუთით ადრე **ჩიკვილაძის** სამიანს ორქულიანი უპირატესობა მოჰყვა – 87:85. მატჩი კი იმიტომ წავაგეთ, რომ ბოლო ორ წუთში კალათში ერთი ქულაც ვერ მოვათავსეთ. არადა, 3 სამქულიანი, 4 ორქულიანი და 2 საჯარიმო ვისროლეთ.

მოსაგები თამაში გვქონდა, იღბალმა გაგვწირა, თუ მსაჯმა, ამაზე აღარ ვიმსჯელებთ. ფაქტია, რომ ასეთ დაძაბულ თამაშებში ჩვენი ჭაბუკები გამოცდილებას იღებენ, რაც მათ სამომავლოდ უნდა წაადგეთ. 18-წლამდელებში ფავორიტი გუნდი რომ არ გვყავს, ეს შოტლანდიასთან სადებიუტო მარცხმაც დაგვანახვა. დავინახეთ ისიც, რომ არც გაისად უნდა ველოდეთ 18-წლამდელთა ელიტაში ალზევებას.

იმედი დავიტოვოთ, რომ ჩვენი ჭაბუკები სამომავლოდ ფარქვეშ მოპოვებული უპირატესობის საბოლოო შედეგში გარდასახვასაც ისწავლიან. მათ ხომ შვეიცარიელებს მოხსნებში 49:32 აჯობეს. 17-ით მეტი მოხსნის მქონე გუნდი თამაშს არ უნდა აგებდეს.

აკაკი დვალიშვილმა ამჯერადაც ორმაგი დუბლი მიითვალა – 10 ქულა და 16 მოხსნა მოაგროვა და ლიგის ლიდერ მომხსნელებში გაერია. **ტატო თავართქილაძემ** შვეიცარიასთან 4-შედეგიანი გადაცემა შეასრულა და პასების საშუალო მაჩვენებლით (4.8) დივიზიონში პირველი ადგილი შეინარჩუნა.

შვეიცარიასთან თავისი ჩვეული თამაში უჩვენა ბექა ჩიკვილაძემ. მან 20 ქულა ჩააგდო. გუნდის ვიცე-სნაიპერი კი **მერაბ ბოქოლიშვილი** გახდა – 15 ქულა.

დღეს, ქართველები შვეიცარიელთა მეზობლებს, ავსტრიელებს დაუპირისპირდებიან. მოგების შემთხვევაში ჯგუფში ავსტრიას მაინც გადაასწრებენ...

**ვაჟა სიმონიშვილი**

რაგბი

საქართველოს ჩემპიონატი



ალექსანდრე თოდუა (ბურთით) ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# მთავარი ბრძოლები ჯერ წინაა

საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის რეგულარულ გათამაშებაში ათი ტური მიილია და გუნდები ერთთვიან შესვენებაზე წავიდნენ. განვლილმა თამაშებმა გაორებული შთაბეჭდილება დატოვა.

წლეულს პირველადაა, რომ არ ჩანს გამოკვეთილი აუტსაიდერი. ეს იმის მაჩვენებელია, რომ გუნდების სათამაშო დონე მეტ-ნაკლებად გათანაბრდა, რაც სათამაშო დონის ამაღლებას სულაც არ ნიშნავს. ტექნიკური და ტაქტიკური არსენალი ქართული კლუბების უმრავლესობას საკმაოდ მწირი აქვს, რაც თამაშის ხარისხზე პირდაპირ ახდენს გავლენას.

სამაგიეროდ, პირველადაა ისიც, რომ ჩემპიონატს გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს. შარშანდელი თასის მფლობელი „ლელო" ჯერჯერობით ერთადერთი გუნდია, რომელსაც მარცხის სიმწარე არ განუცდია და უახლოეს მდევარს, ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ „ლოკომოტივს" ექვსი ქულით უსწრებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ლელო" მეტოქეებზე ერთი თავით მაღლა დგას. წლების განმავლობაში სწორი საკლუბო, საკადრო და აღმზრდელობითი პოლიტიკის წყალობით ეს გუნდი ერთ-ერთ წამყვან, სმაგალითო გუნდად იქცა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ლელომ" ათიდან ათი შეხვედრა მოიგო და თასის ნახევარფინალშიც გააღწია. ეს ყოველივე კი იმითაა განპირობებული, რომ „ლელო" სხვა გუნდებისგან განსხვავებით ყველა რგოლში უკეთესადაა დაბალანსებული. გუნდის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოყოფა ცოტა ძნელია. შერკინება, ისე, როგორც უკანა ხაზი, საკმაოდ დინამიური, კომბინაციური თამაშის მიმდევარია და არც ძალისმიერ ბრძოლებში ჩამოუვარდება ვინმეს.

ერთი სიტყვით, „ლელო" იმ იშვიათ გამონაკლისს განეკუთვნება, რომელზეც ალალად შეიძლება ითქვას, რომ შარშანდელთან შედარებით პროგრესს განიცდის, ვითარდება, წინ მიდის.

საკმაოდ შთამბეჭდავია ამ გუნდის სტატისტიკური მონაცემები. ლელოელებმა ყველაზე მეტი, 322 ქულა დააგროვეს. თუმცა საპასუხოც საკმაოდ ბევრი მიიღეს -152. ამ მაჩვენებლით ისინი მხოლოდ სამ გუნდს უსწრებენ. დასკვნა ასეთია, დაცვაში თამაშის დახვეწას უფრო მეტი გარჯა სჭირდება. ამაზე ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის წინ, გუნდის მწვრთნელები ალბათ გაამახვილებენ ყურადღებას.

შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად დასუსტდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი „ლოკომოტივი". რკინიგზელთა გუნდმა ათ ტურში სამი მარცხი იწვნია და აქედან ორი - რაც უნდა საკვირველი იყოს - აუტსაიდერებთან ორთაბრძოლაში.

„ლოკომოტივის" ხელმძღვანელებისთვის საგანგაშო პირველივე ტურში უმაღლესი ლიგის დებიუტანტ რუსთავის „ხარებთან" მარცხი უნდა ყოფილიყო. მაშინ ყველამ ერთხმად მომხდარი მეტოქის შეუფასებლობასა და ზედმეტად თავდაჯერებულობას დააბრალა. თუმცა, როგორც შემდეგ გამოჩნდა, პრობლემა გუნდს უფრო სერიოზული, დამაფიქრებელი აქვს.

„ლოკომოტივის" ყველაზე ძლიერი მხარე შერკინების მოთამაშეების საგრძნობი უპირატესობა იყო სხვებთან შედარებით, როგორც დინამიკურ, ისე ძალისმიერ თამაშში. ეს უპირატესობა ამჟამად აღარ იგრძნობა. საკმაოდ პრობლემურია უკანა ხაზის თამაშიც. შესაბამისად, თითქმის ყველა გამარჯვება „ლოკომოტივმა" უდიდესი ჯაფითა და გაჭირვებით მოიპოვა.

მიუხედავად ყველა ნაკლოვანებისა, რკინიგზელთა გუნდმა მაინც მოახერხა სატურნირო ცხრილის მეორე ადგილზე დამკვიდრება. ეჭვიც არავის ეპარება, „ლოკომოტივი" პლეი ოფში თამაშის უფლებას რომ მოიპოვებს. აქ კი, როგორც არაერთხელ ყოფილა, ამ გუნდს მთლიანდ გარდაქმნა, მაქსიმალურად მობილიზება სჩვევია და გამორიცხული არაა, ისევ ერთ-ერთ უმთავრეს პრეტენდენტად წარმოჩნდეს.

სასიამოვნო მოულოდნელობაა მიმდინარე გათამაშებაში თბილისის „აკადემიის" თამაში. გუნდმა სტარტი ბრწყინვალედ აილო და ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ სატურნირო ცხრილს სათავეშიც ედგა.

„აკადემიის" ყველაზე დადებითი მახასიათებელი ბოლომდე შეუპოვარი ბრძოლისუნარიანობა და დაცვაში გამართული თამაშია. ათი შეხვედრიდან გუნდს ექვსი გამარჯვება აქვს, რაც ურიგო შედეგი არაა, თუმცა პლეი ოფში მოხვედრის გარანტიას არ იძლევა, მით უფრო, რომ კალენდარი, შეიძლება ითქვას, თითქმის ყველაზე რთული აქვს.

თავად განსაჯეთ, ერთთვიანი შესვენების შემდეგ პირველივე შეხვედრა „ლოკომოტივთან" უწევს. მომდევნო მეტოქე გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „ლელოა". ბოლო ორ შეხვედრას კი აკადემიელები სტუმრად გამართავენ პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტებთან, ქუთაისში „აიასთან" და ბათუმში „ბათუმი XV"-ის წინააღმდეგ. ასე რომ, მიზნის მისაღწევად „აკადემიას" ლამის გმირობის ჩადენა მართებს.

ბევრად მეტს ელოდა ქომაგი „ვისოლი ყოჩებისგან", რომელიც ათიდან ხუთი გამარჯვებით მე-4 ადგილზეა და მოწინავე ოთხეულში ადგილის დასამკვიდრებლად, ურთულესი ბრძოლების გადატანა ელის.

გადამწყვეტი, შესაძლოა, ქუთაისის „აიასთან" ახლახან გადათამაშებულ შეხვედრაში გამარჯვება აღმოჩენილიყო, მაგრამ „ყოჩები" დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდნენ - 16:19. არადა, ეს გუნდი ბოლო წლებში მუდმივად მედლებისთვის იბრძოდა და შარშაწინ დუბლიც კი გაახერხა. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მას შემდეგ გუნდის თამაში მნიშვნელოვნად გაფერმკრთალდა, რაც ალბათ მოთამაშეთა გადინებას შეიძლება დავაბრალოთ. გასათვალისწინებელია ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორიც - დისციპლინა, რაც „ვისოლი ყოჩებში" საგრძნობლად მოიკოჭლებს.

„ვისოლი ყოჩებს" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება და მე-5 ადგილზეა „ბათუმი XV". საქართველოს ჩემპიონატის დებიუტანტმა თავი კარგად წარმოაჩინა და შანსი აქვს, პლეი ოფში მოხვდეს. ნებისმიერი სინჯის მედლის მოპოვება კი ბათუმური კლუბისთვის უდავოდ წარმატება იქნება.

საკმაოდ საინტერესო, მაგრამ ერთობ უცნაური გუნდია ქუთაისის „აია". მოთამაშეთა კლასით, ჟინით, თავდადებით ის არც ერთ მოწინააღმდეგეს არ ჩამოუვარდება. რეალურად „აია" თავისი შესაძლებლობებით მოწინავე ოთხეულის გუნდია, თუმცა ამ დროისთვის ათი ტურის შემდეგ სამი მოგებით მხოლოდ მე-6 ადგილზეა. მიუხედავად ამისა, ქუთაისელები პლეი ოფში მოხვედრის შანსს ჯერ კიდევ ინარჩუნებენ.

რიხით დაიწყო ჩემპიონატი რეგიონის კიდევ ერთმა გუნდმა, რუსთავის „ხარებმა". ამ გუნდმა სტარტზევე ქვეყნის ჩემპიონი და უმთავრესი ფავორიტი დაამარცხა. რუსთაველებს რეალურად მეტიც ძალუძთ, ვიდრე სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე ყოფნაა, ამის მიზეზი, ვგონებთ, მოკლე სათადარიგო სკამია. ხშირი ტრავმიანობის გამო „ხარები" იშვიათად თამაშობს ოპტიმალური შემადგენლობით. საბოლოოდ, რუსთაველებს ალბათ მაინც უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მოუწევთ ბრძოლა.

ყველაზე მოულოდნელი მიმდინარე გათამაშებაში „უნივერსიტეტის" სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილზე ყოფნაა. ის ჩემპიონატში ყველაზე ახალგაზრდული, მზარდი გუნდია. სწორედ არასაკმარისი გამოცდილება შეიძლება მივიჩნიოთ უნივერსიტეტელთა წარუმატებლობის მიზეზად. სხვა მხრივ, თუ ეს გუნდი უმაღლეს ლიგას დატოვებს, საქართველოს ჩემპიონატისთვის, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი დანაკარგი იქნება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 10 | 10 | 0 | 0 | +170 | 20 |
| 2.ლოკომოტივი | 10 | 7 | 0 | 3 | +21 | 14 |
| 3.აკადემია | 10 | 6 | 0 | 4 | +14 | 12 |
| 4.ვისოლი ყოჩები | 10 | 5 | 0 | 5 | +14 | 10 |
| 5.ბათუმი XV | 10 | 4 | 1 | 5 | -33 | 9 |
| 6.აია | 10 | 3 | 0 | 7 | -6 | 6 |
| 7.ხარები | 10 | 2 | 1 | 7 | -68 | 5 |
| 8.უნივერსიტეტი | 10 | 2 | 0 | 8 | -8 | 4 |

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭადრაკი

# არავითარი ყაიმი, მხოლოდ მოგება

დრეზდენში გრძელდება მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი (ZMD-open 2009), რომელშიც 30 ქვეყნის 278 წარმომადგენელი მონაწილეობს. მათ შორის 22 დიდოსტატია. საქართველოდან საპრიზო ადგილებისთვის **თორნიკე სანიკიძე** და **დავით არუთინიანი** იბრძვიან.

საგულისხმოა, რომ შეჯიბრებაზე შედეგიანად მხოლოდ მოგებული პარტია ითვლება. ყაიმის შემთხვევაში დროის შემცირებული კონტროლით დამატებითი შეხვედრები ინიშნება გამარჯვებულის გამოვლენამდე.

ხუთი ტურის შემდეგ 16-მა მოჭადრაკემ ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა. ლიდერთა ჯგუფში არიან ქართველი დიდოსტატებიც. დღეს მე-6 ტურში სანიკიძე თეთრი ფიგურებით **ვლადიმირ ბაკლანს** ეთამაშება, ხოლო არუთინიანი შავებით **ალექსანდრ გრაფს** დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# სენსაცია თუ კანონზომიერება?



მსოფლიოს ჩემპიონატის ცურვის პროგრამის მესამე დღე ყველაზე დიდი სენსაციით აღინიშნა. ამერიკელი **მაიკლ ფელპსი** თავის ერთ-ერთ საყვარელ დისტანციაზე დამარცხდა. ოლიმპიადის 14-გზის ჩემპიონმა 200 მეტრზე თავისუფალი სტილი წააგო. მაიკლს გერმანელმა **პაულ ბიდერმანმა** აჯობა, რომელმაც რომში უკვე ოქროს მეორე მედალი მოიპოვა. პირველ დღეს გერმანელმა 400 მეტრი მსოფლიოს რეკორდით მოიგო და საყოველთაო ვარაუდით, მას 200 მეტრზე ფელპსის ძლევის კარგი შანსი ჰქონდა. ეს ვარაუდი მას შემდეგ გამართლდა, რაც ნახევარფინალში ბიდერმანმა საუკეთესო დრო აჩვენა.

ფინალში ფელპსმა და ბიდერმანმა დაახლოებით ასი მეტრი ერთ ტემპში იცურეს, რის შემდეგაც გერმანელი აჩქარდა. მაიკლი ბევრს ეცადა, კონკურენტს დასწეოდა, მაგრამ საბოლოოდ, ორი მეტრი წააგო, ბიდერმანმა კი მსოფლიოს მორიგი რეკორდი დაამყარა.

ფელპსმა ათენის ოლიმპიადის შემდეგ (2004) პირველად წააგო ეს დისტანცია. ხუთი წლის წინ, მაიკლს ორმა ლეგენდამ - ავსტრალიელმა **იან ტორპმა** და ჰოლანდიელმა **პიტერ ვან დენ ჰუგენბანდმა** აჯობეს. ამის შემდეგ, ამერიკელმა მოიგო მონრეალისა (2005) და მელბურნის (2007) მსოფლიოს ჩემპიონატები და პეკინის ოლიმპიადა (2008). სხვათა შორის, პეკინში ფელპსი და ბიდერმანი ფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და მაშინ გერმანელმა მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა.

დღის ბოლოს, ფელპსმა კიდევ ერთ გაცურვაში მიიღო მონაწილეობა და ისევ წააგო. 200 მეტრზე ბატერფლაის ნახევარფინალში ამერიკელს იაპონელმა **ტაკეში მაცუდამ** აჯობა.

ეს იყო ერთადერთი ფინალი, რომელშიც მსოფლიოს რეკორდი დამყარდა. დაძაბული ბრძოლა იყო ქალებს შორის 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში. წინადღეს, რუსმა **ანასტასია ზუევამ** ნახევარფინალში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა და ფავორიტის სტატუსი მოიპოვა. ზუევამ ძალიან სწრაფი ტემპით დაიწყო ფინალური გაცურვა და ბოლოში ძალა აღარ ეყო, რაც კარგად გამოიყენა ბრიტანელმა **ჯემა სპოფორტმა** და ფინიშზე 6 მესამედი წამი მოიგო. მეორეზე რუსი გავიდა, ამ დისტანციაზე მსოფლიოს 2005 წლის ჩემპიონმა, ზიმბაბველმა **კირსტი ქოვენთრიმ** კი მოულოდნელად ბოლო ადგილი დაიკავა.

ქალებისთვის არაოლიმპიურ დისციპლინაში - 1500 მეტრზე ცურვაში ადგილობრივი მაყურებელი გაახარა იტალიელმა **ალესია ფილიპიმ**. მართალია, ის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა დანიელი **ლოტე ფრიისისგან**, მაგრამ ბოლოს მაინც ჩამოიტოვა წამ-ნახევრით სკანდინაველი. იტალიამ ამ ჩემპიონატზე მეორე ოქრო მოიგო. პირველი გამარჯვება **ფედერიკა პელეგრინიმ** 400 მეტრ დისტანციაზე მოიპოვა და ახლა, ეს იტალიელი მეორე ოქროს უმიზნებს. მან ნახევარფინალში 200 მეტრზე თავისივე რეკორდი გააუმჯობესა და ფინალში მის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარება.

ამერიკელი **აარონ პირსოლის** არყოფნაში კაცებს შორის 100 მეტრი გულაღმა ცურვა დამაჯერებლად მოიგო იაპონელმა იუნია კოგამ. ეს 22 წლის აზიელის პირველი ოქროა ასეთი მაღალი დონის ტურნირზე.

ამერიკის ნაკრებმა ერთადერთი ოქრო დღის ბოლო ფინალში მოიპოვა. 100 მეტრზე ბრასში **რებეკა სონიმ** ვერ შეძლო წინადღეს დამყარებული თავისივე რეკორდის გაუმჯობესება, მაგრამ წუთი და 4.93 წამიც იკმარა ოქროს მედლის მოსაპოვებლად.

**კაცები**

**200 მ. თავისუფალი**

1. **პაულ ბიდერმანი** (გერ) - 1:42.00 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **მაიკლ ფელპსი** (აშშ) - 1:43.22 (+1.22); 3. **დანილა იზოტოვი** (რუს) - +1:43.90 (+1.90).

**100 მ. გულაღმა**

1. **იუნია კოგა** (იაპ) - 52.26; 2. **ჰელგე მეუვი** (გერ) - 52.54 (+0.28); 3. **აშვინ ვილდბორერი** (ესპ) - 52.64 (+0.38).

**ქალები**

**100 მ. გულაღმა**

1. **ჯემა სპოფორტი** (ბრიტ) - 58.12 (მსოფლიოს რეკორდი); 2. **ანასტასია ზუევა** (რუს) - 58.18 (+0.06); 3. **ემილი სიბომი** (ავსტრა) - 58.88 (+0.76).

**1500 მ. თავისუფალი**

1. **ალესია ფილიპი** (იტა) - 15:44.93; 2. **ლოტე ფრიისი** (დან) - 15:46.30 (+1.37); 3. **კამელია პოტეკი** (რუმ) - 15:55.63 (+10.70).

**100 მ. ბრასი**

1. **რებეკა სონი** (აშშ) - 1:04.93; 2. **იულია ეფიმოვა** (რუს) - 1:05.41 (+0.48); 3. **კეისი კარლსონი** (აშშ) - 1:05.75 (+0.82).

# პაურზაური კოსტიუმების გამო

## მაიკლ ფელპსის მწვრთნელი ჩემპიონატის დატოვებით იმუქრება

**პაულ ბიდერმანთან მაიკლ ფელპსის** წაგებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამერიკელის დამარცხებას გერმანელი მოცურავის ულტრათანამედროვე საცურაო კოსტიუმს აბრალებენ. ბიდერმანი Arena-ს ახალი თაობის კომბინეზონით ცურავდა, იმ დროს, როცა ფელპსს Speedo-ს LZR Racer ეცვა, რომელიც უკვე მოძველებულ მოდელად მიიჩნევა, მაგრამ ამერიკელს ამ ფირმასთან საკონტრაქტო ვალდებულებები აქვს და არ შეუძლია სხვების მსგავსად, კოსტიუმების ხარჯზე გაზარდოს თავისი შედეგები.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ფელპსის მწვრთნელმა **ბობ ბოუმენმა** სპეციალური განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ აუკრძალავს თავის შეგირდს საერთაშორისო ტურნირებზე გამოსვლას, თუ ცურვის საერთაშორისო ფედერაცია არ აკრძალავს ტექნოლოგიურ კომბინეზონებს.

*„ცურვაში ქაოსია და უმჯობესი იქნება თუ ფედერაცია დროზე მოაგვარებს პრობლემას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი დაკარგავენ ბიჭს, რომელიც ტრიბუნებზე ყველაზე მეტ მაყურებელს იზიდავს.*

*ჩვენ სპორტის ისტორია დავკარგეთ. ფელპსს ხუთი წელი დასჭირდა იმისთვის, რომ ოთხი წამით გაეუმჯობესებინა თავისი შედეგი, ბიდერმანმა კი ეს 11 თვეში გააკეთა. შესანიშნავი საწვრთნელი პროგრამაა. საინტერესოა გავიგოთ, როგორ მუშაობს ის“*, - ამბობს ბოუმენი.

ამ პრობლემას გამოეხმაურა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ავსტრალიელი **გრანტ ჰეკეტი**, რომელმაც გააკრიტიკა ფედერაცია იმისთვის, რომ მან მსოფლიოს ჩემპიონატზე მოცურავეებს პოლიურეთანის კოსტიუმების გამოყენების უფლება მისცა.

*„ცურვაში ახალი ხელმძღვანელები უნდა მოვიდნენ. აღშფოთებული და უკმაყოფილო ვარ ფედერაციის საქციელით. ეს კოსტიუმი რომ არა, ბიდერმანის მსოფლიოს რეკორდი არ შედგებოდა. ის, რაც ფედერაციის ხელმძღვანელებმა გააკეთეს, დიდი სირცხვილია“*, - აცხადებს ცნობილი ავსტრალიელი.

როგორც ჩანს, ამ პრობლემის არსს ფედერაციაც ჩასწვდა და დაადგინა, რომ 2010 წლიდან მოცურავეებმა მხოლოდ ტექსტილისგან შექმნილი კოსტიუმები უნდა გამოიყენონ, რომელიც FINA-ის სპეციალური სტანდარტებით იქნება დამზადებული. კოსტიუმების ნებისმიერი სხვა მოდიფიკაცია აკრძალული იქნება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

**III საკვ. I მატჩები**

| | |
|---|---|
| ვენტსპილსი-ბატე | 1:0 |
| ლევადია-დებრეცენი | 0:1 |
| აპოელ-პარტიზანი | 2:0 |
| შერიფი-სლავია | 0:0 |
| შახტარი-ტიმიშოარა | 2:2 |
| სლოვანი-ოლიმპიაკოსი | 0:2 |
| კოპენჰაგენი-სტაბეკი | 3:1 |
| ციურიხი-მარიბორი | 2:3 |
| ზალცბურგი-დინამო (ზ) | 1:1 |
| სელტიკი-დინამო (მ) | 0:1 |
| სპორტინგი-ტვენტე | 0:0 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| კოსტა რიკა-ვენესუელა | 1:0 |
| ასტონ ვილა-ატლანტე | 3:1 |
| ბეშიქთაში-პორტუ | 0:0 |
| ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 0:1 |
| ბეიჯინგი-ჰალი | 1:1, პენ. 4:5 |
| კაპფენბერგი-პალერმო | 2:1 |
| ბოკა ხუნიორსი-მანჩესტერ იუნ. | 1:2 |
| ჰანოვერი-არსენალი | 0:1 |
| ლომელი-ეინდჰოვენი | 2:0 |
| ბაიერნი-მილანი | 4:1 |
| დაგენჰემი-ბირმინგემი | 0:1 |

**გერმანია**

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ერფურტი-ოფენბახი | 0:2 |
| ზანდჰაუზენი-კარლ ცაისი | 2:2 |
| კილი-ბურგჰაუზენი | 0:1 |
| შტუტგარტი A-ჰაიდენჰაიმი | 1:1 |
| ვუპერტალი-რეგენსბურგი | 2:2 |

**ნორვეგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალტა-ლოვ ჰამი | 3:1 |

**ფინეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ატლანტისი-პკ 35 | 0:1 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჩიტა-ლ. ენერგია | 1:6 |
| ნოსტა-ვიტიაზი | 1:1 |
| ურალი-სიბირი | 2:1 |
| ანჟი-ალანია | 0:0 |
| კამაზ-სალუტი | 0:0 |
| ვოლგა-მეტალურგი | 1:0 |
| გაზპრომი-ნიჟნი ნოვგოროდი | 2:3 |
| ჩერნომორეცი-შინიკი | 1:1 |
| კრასნოდარი-ბალტიკა | 0:0 |

**წყალბურთი**

**მს. ჩემპიონატი**

**ქალები. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| კანადა-რუსეთი | 8:7 |
| საბერძნეთი-აშშ | 7:8 |

**ჩოგბურთი**

**ATP. გშტაადი**

| | |
|---|---|
| გაბაშვილი-კრივოი | 4:6, 4:6 |
| გარსია ლოპესი-ბეკი | 6:7, 6:1, 6:7 |
| ანდრეევი-ჰერნიხი | 6:4, 6:1 |
| შარდი-იუჟნი | 6:3, 5:7, 6:3 |

**ATP. ლოს ანჯელესი**

| | |
|---|---|
| ტურსუნოვი-ბოლი | 4:6, 1:6 |

**ATP. უმაგი**

| | |
|---|---|
| მარტინი-კლიჟანი | 6:4, 6:4 |
| დავიდენკო-ხმენო ტრავერო | 6:2, 6:2 |
| ტროიცკი-მ. გონსალესი | 4:6, 6:3, 6:7 |
| ერნანდესი-სტახოვსკი | 7:6, 6:1 |
| ლუბიჩიჩი-ვოლანდრი | 6:1, 6:4 |
| კავჩიჩი-მასუ | 7:5, 3:6, 2:6 |
| ფერერი-კოლერერი | 6:1, 6:7, 6:3 |

**WTA. სტამბოლი**

| | |
|---|---|
| გოვორცოვა-კერბერი | 6:4, 6:7, 6:4 |
| დუშევინა-კამერინი | 6:0, 6:1 |
| ბაჩინსკი-კორიტცევა | 6:2, 3:6, 6:1 |
| რეზაი-დომახოვსკა | 3:6, 6:4, 4:6 |

**WTA. სტენფორდი**

| | |
|---|---|
| შარაპოვა-პეტროვა | 6:1, 6:2 |

TV პროგრამა

**29 ივლისი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:15 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლიონი.
08:05 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ.
09:55 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნ-ინტერი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლე მანი.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბარსელონა.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ვილიარეალი-არსენალი.
18:15 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ბაიერნი.
20:00 სასტვენი.
20:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რეალი.
23:00 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-არსენალი.
00:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:10 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-ბაიერნი.
03:10 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ იუნ.
05:00 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ჰოფენჰაიმი-ბაიერნი.

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

06:00 ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
06:05 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. III დღე. რომი. იტალია.
08:15 ფიგურული სრიალი. გრანპრი. ფინალი. იტალია.
10:00 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
10:20 დროთა კავშირი.
10:25 გოლფი. წესები და პრაქტიკა.
10:30 ამერიკული ფეხბურთი. სუპერბოული. 2006 წელი. პიტსბურგ სტილერსი-სიეტლ სიჰოქსი.
13:30 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
13:45 გოლფი. წესები და პრაქტიკა.
13:50 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალბურთი. კაცები. 1/4 ფინალი. ესპანეთი-კანადა. რომი. იტალია.
14:50 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. რომი. იტალია.
17:25 კალათბურთი. ევროლიგა. სეზონის საუკეთესო მატჩები. ცსკა (რუსეთი)-მონტეპასკი (იტალია).
19:40 პრეს-ცენტრი – საინფორმაციო პროგრამა.
19:55 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. IV დღე. რომი. იტალია (LIVE).
22:30 მძლეოსნობა.
23:15 ჰოკეი. NHL. სეზონის საუკეთესო მატჩები. ფილადელფია-პიტსბურგი.
01:35 დროთა კავშირი.
01:40 ფრენბურთი. სეზონის საუკეთესო მატჩები. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი. ფინალი. ბერგამო (იტალია)-დინამო (რუსეთი).
04:00 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. წყალბურთი. ქალები. 1/2 ფინალი. რუსეთი-კანადა. რომი. იტალია.
05:00 დროთა კავშირი.
05:20 ძველი გულშემატკივრის მოგონებები.
05:30 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. IV დღე. რომი. იტალია.

**EUROSPORT**

10:30 მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. მონ-სენანი. კანადა.
11:00 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. IV დღე. რომი. იტალია (LIVE).
13:30 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. III დღე. რომი. იტალია.
15:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. საუკეთესო მომენტები.
16:00 ველოსპორტი. „პლანეტა არმსტრონგი“. ტელეჟურნალი.
16:30 მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრანპრი. მონაკო.
18:30 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. III დღე. რომი. იტალია.
19:45 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. IV დღე. რომი. იტალია (LIVE).
22:00 მულტისპორტი.
22:05 ცხენოსნობა. ერთა თასი. ბრიტანეთი.
23:05 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
23:10 გოლფი. PGA-ის ტური.
00:20 გოლფი. ევროპის ტური.
00:45 გოლფ-კლუბი.
00:50 აფროსნობა. რეგატა Match Cup. პორტუგალია.
01:20 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:40 ველოსპორტი. „პლანეტა არმსტრონგი“. ტელეჟურნალი.
02:05 საწყლოსნო სპორტის სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. IV დღე. რომი. იტალია.
03:00 სანაოსნო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სან ბენედეტო. იტალია.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. შვეიცარია-ნორვეგია. მაინჰედი. ბრიტანეთი.
14:30 ახალი ამბები.
15:30 მაუნტინბაიკი. მსოფლიოს თასი. მონ-სენანი. კანადა.
16:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ტურნირი. უკრაინა-შვეიცარია. უკრაინა.
17:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. XIX ტური. კაშიმა-კაშივა.
18:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-პორტუგალია. მაინჰედი. ბრიტანეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 სპიდვეი. მსოფლიოს თასი. დანია.
21:30 ახალი ამბები.
22:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ჰოლანდია-ბელარუსი. ბეზიე. საფრანგეთი (LIVE).
23:15 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-ესპანეთი. ბეზიე. საფრანგეთი (LIVE).
00:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-პოლონეთი. ბეზიე. საფრანგეთი (LIVE).
01:30 ახალი ამბები.

ჩოგბურთი

# ეგზოტიკური მამების რეიტინგი



### IV ადგილი

საჩოგბურთო სამყაროში **დამირ დოკიჩს** „გიჟი მამიკოს“ სახელით იცნობენ. თავისი ქალიშვილის **ელენას** წვრთნის დროს, ყოფილი მოკრივე ახალგაზრდობას იხსენებდა და ხშირად გოგონას მუშტებს უშენდა. 2002 წელს, მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი სახლიდან გაიქცა, რათა ტირანი მამა აღარასოდეს ენახა. მაგრამ დამირ დოკიჩის მარწუხებიდან თავის დაღწევა არც ისე იოლია. ის მთვრალი ჩნდებოდა ტრიბუნებზე, დებოშს აწყობდა და ჟურნალისტებს სცემდა...

მამის გამოხდომებისგან დაღლილმა ელენამ მილიონი დოლარი გადაუხადა დამირს, რათა მას საბოლოოდ დაენებებინა თავი მისთვის. დღეს 26 წლის დოკიჩი 75-ე ადგილს იკავებს რეიტინგში, მამამისი კი სერბეთის ციხეში ზის ავსტრალიის ელჩის მისამართით გამოთქმული მუქარისა და იარაღის უკანონო შენახვისთვის.

### III ადგილი

**სერენა** და **ვენუს უილიამსების** ტრიუმფი ჯერ კიდევ მათ დაბადებამდე იყო დაგეგმილი. ოჯახში სამი გოგონა იზრდებოდა, როცა **რიჩარდ უილიამსმა** ტელევიზორში რომელიღაც საჩოგბურთო ტურნირის დაჯილდოების ცერემონია იხილა. საპრიზო თანხის ოდენობამ - 40 ათასმა დოლარმა ძალიან მოხიბლა შავკანიანი მუშა. არსებული ქალიშვილებიდან ჩემპიონის შექმნა დაგვიანებული იყო, მისის უილიამსმა კი შვილების გაჩენა არ მოისურვა. ამიტომაც, რიჩარდმა ჩუმად შეუცვალა მეუღლეს ჩასახვის საწინააღმდეგო აბები ჩვეულებრივი ვიტამინებით...

1980 წელს ვენუსი დაიბადა, ერთი წლის შემდეგ - სერენა. მამამ მთლიანად დაივიწყა უფროსი გოგონები და მთელი თავისი ყურადღება მომავალ ჩემპიონებზე გადაიტანა. არც შემცდარა: 10 წლის ასაკიდან უილიამსების ოჯახს ვენუსი და სერენა ინახავენ. დღეს, 67 წლის რიჩარდ უილიამსი ერთ-ერთი ყველაზე სასურველი სასიძოა მსოფლიოში. ის ცოლს გაშორდა და მასთან 330-მილიონიანი ქონება გაიყო. ახლა კი რომანი აქვს ვენუსის ასაკის გოგონასთან. თუმცა რიჩარდმა გამოაცხადა, რომ მხოლოდ თავისი ჩემპიონი ქალიშვილების თანხმობის შემდეგ გადაწყვეტს დაქორწინებას.

### II ადგილი

უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი **მარია შარაპოვა** თავის თავბრუდამხვევ კარიერას მხოლოდ მამამისს **იური შარაპოვს** უნდა უმადლოდეს. ყოფილმა სოჭელმა ტაქსისტმა გარისკა, მშობლიურ ქალაქში ყველაფერი მიატოვა და ქალიშვილთან ერთად ამერიკაში გაემგზავრა. დღეს იური მთლიანად აკონტროლებს მარიას პირად ცხოვრებასა და საბანკო ანგარიშებს. ის მუდმივად ტრიბუნაზე ზის და იქიდან ხმამაღლა ლანძღავს შვილის მეტოქეებს. ბოლო დროს, იური შარაპოვს აგრესიის გამოსახატავად მეტი საბაბი აქვს, რადგან მარია 73-ე ადგილამდე დაეშვა WTA-ის კლასიფიკაციაში.



### I ადგილი

ყოფილი ფრანგი ვარსკვლავის **მარი პირსის** მამა ერთადერთია საჩოგბურთო სამყაროში, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე აუკრძალეს ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის ეგიდით გამართულ მატჩებზე დასწრება. ყოფილი პატიმარი და ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტი **ჯიმი პირსი** ხშირად სცემდა ქალიშვილს, უკრძალავდა მას მოკლე კაბის ჩაცმას და თანატოლ ბიჭებთან ურთიერთობას. ტრიბუნებიდან უფროსი პირსი ასე ამხნევებდა თავის ქალიშვილს: *„მოკალი ეგ ძუკნა!“* 1993 წელს, როლან გაროსის ტრიბუნაზე ჯიმიმ ნოკაუტში გაგზავნა გერმანელი **შტეფი გრაფის** მამა. ბოლოს და ბოლოს, მერიმ მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა მამამისი და საბოლოოდ გაწყვიტა მასთან ურთიერთობა.

ფორმულა 1



# BMW ფორმულადან მიდის

## რობერტ კუბიცას ფერარიში გადასვლის შანსი მიეცა

გუშინ, ფორმულა 1-ის სამყარო გერმანული კონცერნის BMW-ს საგანგებო პრესკონფერენციის მოლოდინში იყო. ჟურნალისტებმა და ექსპერტებმა გამოთქვეს ვარაუდი იმის შესახებ, რომ „BMW-ზაუბერი“ „დიდი რბოლების“ დატოვებას აპირებდა.

მათი ვარაუდი გამართლდა. ავტოგიგანტის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელმა **ნორბერტ რეიტჰოფერმა** გამოაცხადა, რომ წლევანდელი სეზონის შემდეგ, BMW დატოვებს ფორმულა 1-ს, თუმცა სხვა სარბოლო სერიებში, სადაც ეს კონცერნი მონაწილეობს, გააგრძელებს მოღვაწეობას.

*„რა თქმა უნდა, ეს ძალიან რთული გადაწყვეტილებაა, მაგრამ ჩვენი კომპანია სტრატეგიულ გარდაქმნას საჭიროებს და ეს ნაბიჯი აუცილებლად გადასადგმელი იყო“*, - განაცხადა რეიტჰოფერმა.

ასე რომ, BMW იაპონური „ჰონდას“ გზას დაადგა, რომელმაც შარშანდელი სეზონის შემდეგ, უარი განაცხადა ფორმულა 1-ში გამოსვლაზე და მოგვიანებით იაპონური გუნდის ბაზაზე ახალი საჯინიბო - „ბრაუნ გრან-პრი“ შეიქმნა.

■ ■ ■

ბუნებრივია, რომ „BMW-ზაუბერის“ პილოტებს - გერმანელ **ნიკ ჰაიდფელდსა** და პოლონელ **რობერტ კუბიცას** ახალი სამუშაოს ძებნა მოუწევთ.

თავის მხრივ, „ფერარი“ აქტიურად ეძებს მრბოლელს, რომელიც სეზონის ბოლომდე ტრავმირებულ **ფელიპე მასას** შეცვლის. ბრიტანული გაზეთი Daily Mail-ი მიიჩნევს, რომ რობერტ კუბიცას დიდი შანსი აქვს, უკვე 23 აგვისტოს, ვალენსიაში ევროპის გრან-პრის დროს მიუჯდეს „ფერარის“ ბოლიდის საჭეს.

# შუმის დაბრუნებას არც მისი მენეჯერი გამორიცხავს



ამასობაში, სულ უფრო აქტიურად განიხილება ლეგენდარული **მიხაელ შუმახერის** „ფერარიში“ დაბრუნების საკითხი. როგორც კი ამ თემაზე პრესამ სპეკულაციები დაიწყო, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის უცვლელმა მენეჯერმა **ვილი ვებერმა** კატეგორიულად განაცხადა, რომ მიხაელი არასოდეს დაუბრუნდება ფორმულა 1-ს. ვებერის თქმით, ის ამაში 200 პროცენტით არის დარწმუნებული.

მაგრამ გუშინ, გერმანელის მენეჯერმა შუმის დაბრუნების მომხრეებისთვის დამაიმედებელი კომენტარი გააკეთა. ვებერმა თქვა, რომ მან მხოლოდ 23 აგვისტოს, ვალენსიას რბოლაში შუმის გამოჩენა გამორიცხა, თორემ რა იქნება მომავალში, ამაზე პასუხი მენეჯერს არ გააჩნია.

*„მე გამოვრიცხე მიხაელის ვალენსიაში გამოსვლა. რაც შეეხება ბელგიის სპაში და იტალიის მონცაში გასამართავ ეტაპებს, ამ მხრივ მე კომენტარის გაკეთება არ შემიძლია“*, - განაცხადა ვებერმა Auto Bild Motorsport-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



# ნადალმა სახლი იყიდა

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** დომინიკის რესპუბლიკაში სახლი შეიძინა, რომელიც ელიტურ კომპლექსში მდებარეობს. აქ შედის 1200 სახლი და ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, საიდანაც სანტიაგოს აეროპორტამდე 45 წუთის სავალია. პრესისთვის უცნობი დარჩა, თუ რა თანხად შეიძინა სახლი ნადალმა.

ამასობაში, რაფა და მისი შეყვარებული პაპარაცებმა კიდევ ერთხელ გამოიჭირეს. ფოტოგრაფებმა კარგად იციან, რომ თუ ესპანელი ჩოგბურთელი დასვენებას გადაწყვეტს, ის ან გოლფის მოედანზე უნდა ეძებონ, ან პლაჟზე.

ამჯერად ნადალმა ზღვა აირჩია და ორდღიანი განტვირთვისთვის პალმა დე მალიორკას ერთ-ერთი კურორტს მიაშურა.


თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge